წიგნში მოცემულია როგორც მოზარდების, ასევე ყველა მუსლიმანისათვის აუცილებლად საჭირო რელიგიური საკითხები

დასურათებული შემოკლებული

ილმიჰალი

(ხანეფი მეზჰების მიხედვით აუცილებელი რელიგიური საკითხები)

FAZİLET NEŞRİYAT

დასურათებული
შემოკლებული

ილმიჰალი

Arab: الفقه المختصر بالصور علي مذهب الإمام أبي حنيفة باللغة الجورجية
Eng: Primary knowledge according to Hanafi Mezheb in Georgian language
Geo: (ხანეფი მეზჰების მიხედვით აუცილებელი რელიგიური საკითხები)

ფაზილეთის გამომცემლობა
სტანბული 2021

ISBN: 978-605-9953-53-5

T.C. Kültür Bakanlığı Yayıncılık
Sertifika No: 16384

FAZİLET NEŞRİYAT VE TİCARET A.Ş. - İstanbul / TÜRKİYE
Web: www.fazilet.com.tr & E-mail: heyet@fazilet.com.tr

სარჩევი

بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَٰنِ الرَّحِيمِ

წინასიტყვაობა

კაცობრიობის და მთელი მატერიალური სამყაროს გამჩენ უზენაეს ალლაჰს უსაზღვრო (შუქური) მადლობა.

სამყაროსათვის წყალობად მოვლენილ, ბოლო და ყველაზე ძვირფას ხზ. ფეიღამბერ – მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ)-ს, მის ახლობლებს, სახაბეებს და ყველა მის მიმდევარს სელათუ სალამი (ლოცვა და მშვიდობა).

ილმიჰალი: მუსლიმანების რწმენისა და მოქმედებების მასწავლებელი მეცნიერებაა.

ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: **ყველა მუსლიმანი მამაკაცისა და ქალისათვის, მეცნიერების დაუფლება ფარძია (აუცილებელია)**“-! ხზ. ფეიღამბრის ამ ძვირფასი სიტყვებიდან გამომდინარე, მუსლიმანებისთვის მეცნიერებაზე დაუფლება ფარძი გახდარა. მათ ამქვეყნიური ცხოვრების გაადვილებაში და იმქვეყნიური ცხოვრების მოპოვებაში “ილმიჰალი“ დიდ დახმარებას გაუწევს. ამისათვის გინდ კაცი იყოს და გინდ ქალი, ყველა მუსლიმანისთვის, რწმენიდან და იბაადეთიდან, მისთვის საჭირო საკითხების შესწავლა ფარძია. ილმიჰალის, ამ მინიმალური საკითხების შესწავლისა და შესრულების გარეშე, პიროვნება სრულყოფილი მორწმუნე ვერ იქნება.

ამ საკითხების შესახებ არსებული ბევრი სხვადასხვა მოცულობის, დიდი და პატარა ილმიჰალის წიგნი არსებობს. ეს წიგნი კი იმისათვის რომ მუსლიმანმა რელიგიური უმთავრესი საკითხები ადვილად ისწავლოს და დაიმახსოვროს, ხანეფი მეზჰების წყაროებზე დაყრდნობით მოკლედ არის შედგენილი.

წარმატება უზენაესი ალლაჰისგანაა,უზენაესი ალლაჰი იყოს კმაყოფილი. (აამიინ)

შენიშვნა

შემოკლებული ილმიჰალი, ქართული ენის მცოდნე მკითხველისთვის არის გადათარგმნილი. ზოგიერთი არაბული ტერმინი უცვლელად იქნა გამოყენებული, რადგან ქართულ ენაში მათი ზუსტი მნიშვნელობის მქონე ტერმინები არ არსებობს. ასეთების სწორად გამოთქმისთვის, საჭიროა არაბული დამწერლობის მცოდნე პიროვნების დახმარება. ილმიჰალი დაგვეხმარება რელიგიური საკითხების შესწავლაში. წიგნში მოცემული აიათები დაწერილია არაბულად და ქართულადაც. ქართული ანბანის, ქართული ანბანის არაბულ ანბანთან შეუთავსებლობის გამო, ქართული ასოებით დაწერილი აიათების უშეცდომოდ დაზეპირება რთულია. ამისათვის არაბული ენის მცოდნის კონსულტაციაა საჭირო.

ქართული ასოებით დაწერილი არაბული ტექსტის სწორად წაკითხვისათვის გამოყენებული აღნიშვნები

ქართული ასოებით დაწერილ არაბულ სიტყვებში მძიმეები, რომლებითაც სიტყვის ასობგერები ერთმანეთისგან გამოყოფილია, იკითხება როგორც ძალიან სუსტი “ღ”.

1. (ض) მაგარი “დ“
2. (ظ) მაგარი “ზ“
3. (ذ) რბილი, ენის წვერით გამოსათქმელი “ზ“
4. (ص) მაგარი “ს“
5. (ث) რბილი, ენის წვერზე გამოსათქმელი “ს“
6. (ح) რბილი, ღრმა ყელში გამოსათქმელი “ხ“
7. (ع) რბილი, ღრმა ყელში გამოსათქმელი “ღ“

შემოკლებული სიტყვები:

(ჯ.ჯ) - ჯელლე ჯელაალუჰუ

(ხზ.) - ხაზრეთი (წმინდა, ძვირფასი)

(ს.ა.ვ.) - სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ.

(ა.ს.) - ალეიჰისსელამ.

(რახ.) - რახიმეჰულლაჰ

(რ.ა.) - რადიელლაჰუ ანჰ

(რ.ანჰა.) - რადიელლაჰუ ანჰა

ყურადღება: წიგნში არსებული აიათების გამო, ეს წიგნი შეუსაბამო ადგილას არ უნდა მოხვდეს.

ჩვენი რჯული ისლამი

დინი (რჯული)

ჭკვიანი კაცის მიერ ნებაყოფილობის საფუძველზე არჩეული, სუბთა და ალლაჰუ თეღალას მიერ დაკანონებული, ჯენნეთისკენ წამყვანი გზაა.

ალლაჰუ თეღალამ, პირველი ადამიანიდან - პირველი ფეიღამბრიდან ადემ (ა.ს.)-დან მოყოლებული, ადამიანებს ფეიღამბრების მეშვეობით რჯული შეასწავლა. ღმერთმა ჩვენი რჯული ჩვენი ფეიღამბრის მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ს მეშვეობით სრულყოფილი გახადა. ამ რელიგიას ისლამი ჰქვია. ისლამის მიმდევარს კი მუსლიმანი ჰქვია. ჩვენც ელხამდულილლაჰ (მადლობა ღმერთს) მუსლიმანი ვართ.

შერიათი

შერიათი ეწოდება როგორც რჯულს, ასევე რჯულის იბაადეთებს, ქმედებებსა და კანონებსაც. ე.ი. შერიათი და რჯული ერთი მნიშვნელობისაა.

იმარნი

იმანი

იმანი, ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) მეშვეობით უზენაესი ალლაჰის მხრიდან მოტანილი ბრძანებებისა და აკრძალულების გულით დაჯერებას ნიშნავს. იმისათვის რომ პიროვნებას სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც,როგორც მუსლიმანს ისე მოეპყრონ,ამ რწმენის ენით გამოხატვა საჭიროა.[1]

იმანის პირობები ექვსია. ეს ექვსი პირობა "ამენთუ"-შია მოცემული. რომლის ცოდნაც ყველა მორწმუნისათვის აუცილებელია.

اٰمَنْتُ بِاللّٰهِ وَمَلٰائِكَتِهٖ وَكُتُبِهٖ وَرُسُلِهٖ وَالْيَوْمِ الْاٰخِرِ
وَبِالْقَدَرِ خَيْرِهٖ وَشَرِّهٖ مِنَ اللّٰهِ تَعَالٰى وَالْبَعْثُ بَعْدَ
الْمَوْتِ حَقٌّ اَشْهَدُ اَنْ لٰا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاَشْهَدُ اَنَّ
مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

აამენთუ ბილლააჰი, ვემელაააააიქეთიჰი, ვექუთუბიჰი, ვერუსულიჰი, ველიევმილ აახირი, ვებილ ყადერი, ხაირიჰი ვე შერრიჰი მინელლააჰი თეღაალაა ველ ბეღსუ ბეღდელ მევთი ხაყყუნ.

---

[1] **ქელიმეი შეჰადეთი:**

ეშჰედუ ენ ლააააილააჰე ილლელლააჰ, ვე ეშჰედუ ენნე მუხამმედენ ღაბდუჰუ ვერესუულუჰუ.

მნიშვნელობა:

მე მჯერა უზენაესი ალლაჰის, მისი მელაიქების, (ანგელოზების), მისი ქითბების (წიგნების), მისი ფეიღამბრების,აახირეთის დღის (იმქვეყნიური ცხოვრების) ბედისწერის. ხეირისა და შერრის ალლაჰის მიერობის. სიკვდილის შემდეგ გაცოცხლება აუცილებლად არის. მე მოწმე ვარ, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მოწმე ვარ რომ მუხამმედი ალლაჰის მორჩილი და ფაეიღამბერია.

იმანის (რწმენის) პირობები

1. ალლაჰუ თელალაზე იმანი.

2. მელაიქებზე იმანი.

3. ქითბებზე იმანი.

4. ფეიღამბრებზე იმანი.

5. აახირეთის დღეზე: სიკვდილის შემდეგ გაცოცხლებაზე დაჯერება.

6. ბედისწერაზე იმანი: იმის დაჯერება რომ ყველაფერი უზენაესი ალლაჰის ცოდნით, სურვილითა და გაჩენით ხდება.

იმანის ამ ექვსი პირობიდან ერთის უარმყოფელი, ყველა (ექვსივე) პირობის უარმყოფელი იქნება. ესეიგი ვინც იმანის ხუთ პირობას დაიჯერებს ხოლო ერთს უარყოფს, მორწმუნე ვერ იქნება.

ალლაჰუ თეღალაზე იმანი (დაჯერება)

იმანის ექვსი პირობიდან პირველი ალლაჰუ თეღალაზე იმანია. უზენაესი ალლაჰი ყოველგვარი ნაკლოვანებისგან შორს არის. მას ყოველგვარი სრულყოფილი თვისებები აქვს. მისი თვისებები ორ ნაწილად იყოფა: **სიფათი ზაათიე და სიფათი სუბუთიე.**

სიფათი ზაათიე

უზენაესი ალლაჰის სიფათი ზაათიე ექვსია:

1. ვუჯუდ: არსებობა. ალლაჰუ თეღალა არსებობს;

2. ყიდემ: ალლაჰუ თეღალას არსებობის დასაწყისის არ არსებობა;

3. ბექა: ალლაჰუ თეღალას არსებობის მუდმივობა. დასასრულის არ არსებობა;

4. ვახდაანიიეთ: ალლაჰუ თეღალა ერთია. მას ტოლი და მოზიარე არ ჰყავს;

5. მუხაალეფეთუნ ლილ ხაავაადის: გაჩენილთაგან (არსებულთაგან) არავის და არაფერს არ ჰგავს.

6. ყიამ ბი ნეფსიჰი: მისი არსებობის სხვაზე დამოუკიდებლობა. ღმერთის არსებობა სხვა რამის არსებობაზე დამოკიდებული არ არის. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

სიფათი სუბუთიე

უზენაესი ალლაჰის სიფათი სუბუთიე რვაა:

1. ხაიათ: სიცოცხლე. უზენაესი ალლაჰი ცოცხალი და გამაცოცხლებელია;

2. ილიმ: ცოდნა. უზენაესმა ალლაჰმა ყველაფერი, გულებში დამალული განზრახვებიც კი იცის;

3. სემიღ: სმენა. ალლაჰუ თეღალას ყველაფერი ესმის;

4. ბასარ: მხედველობა. ალლაჰუ თეღალა ღამის წყვდიადში შავ ქვაზე მოსიარულე შავ ჭიანჭველას ხედავს და მისი ფეხის ხმაც ესმის;

5. ირაადე: სურვილი. ალლაჰუ თეღალა რასაც მოისურვებს, იმას თავისი სურვილისამებრ შეასრულებს;

6. **ყუდრეთ:** ძალა. ალლაჰუ თეღალა ყოვლისშემძლეა;

7. ქელამ: ლაპარაკი. უზენაესი ალლაჰი ბგერებსა და ხმაზე დამოუკიდებლად ლაპარაკობს, ყურანი მისი სიტყვებია;

8. თექვინ: არაფრისგან გამჩენი. ალლაჰუ თეღალა ყველა არსებულის გამჩენია.

მელაიქებზე იმანი

იმანის მეორე პირობა მელაიქების არსებობაზე დაჯერებაა.

მელაიქები ნურისგან (სინათლისგან) გაჩენილი სასურველ ფორმაში შემსვლელი, უცოდვილო სულიერი არსებები არიან.

მელაიქებში მდედრობითი და მამრობითი არ არსებობს. ისინი ალლაჰუ თეღალას ბრძანებას არ გადაუხვევენ, არ დაიღლებიან, არ მოსწყინდებათ, ჭამა-სმა არ სჭირდებათ. ზოგი ცაში, ზოგი ხმელეთზე, ზოგიც არშში არიან დასაქმებული. მათი რაოდენობა მხოლოდ ალლაჰუ თეღალამ იცის. მათ შორის ოთხი დიდი მელაიქეა, ისინი მელაიქების ფეიღამბრები არიან.

ოთხი დიდი მელაიქი და მათი მოვალეობა

1. ჯებრაილ (ა.ს.): ალლაჰუ თელალასა და ფეიღამბრებს შორის შუამავალი და მათთან ქითბების (წიგნების) მომტანია.

2. მიქაილი (ა.ს.): ზოგიერთი ბუნებრივი მოვლენების (ქარი, წვიმა და სხვა) საქმეებითაა დასაქმებული.

3. ისრაფილი (ა.ს.): სურის ჩაბერვით, ყიამეთის მოხდენით და ყიამეთის შემდეგ ადამიანების და ჯინების გაცოცხლებით არის დასაქმებული.

4. აზრაილი (ა.ს.): ადამიანებზე და ჯინებზე სიცოცხლის ბოლო ჟამს სულების ამრთმევია. იგი მათ სულებს უზენაესი ალლაჰის ბრძანებით ართმევს.

ყოველ ადამიანს სხეულში 384 მოსამსახურე მელაიქი ჰყავს. ამათგან "ქირაამენ ქაათიბინ" მელაიქები ადამიანის ყველა ნამოქმედარს წერენ.

ქითბებზე იმანი
(წიგნებზე დაჯერება)

იმანის მესამე პირობა ქითბებზე დაჯერებაა.

უზენაესმა ალლაჰმა თავისი მითითებების, ბრძანებების, აკრძალვების, სიბრძნეების ადამიანებზე გაგებინებისთვის დრო და დრო ფეიღამბრებს ქითბები გამოუგზავნა. ამ ქითბებს ყველას ილააჰი (ალლაჰის მიერი) წიგნები ჰქვია.

ჯებრაილ (ა.ს.)-ის მეშვეობით კაცობრიობისთვის გამოგზავნილი სუხუფების (გვერდების) და ქითბების (წიგნების) რაოდენობა 104-ია.

სუხუფები

10 სუხუფი ადემ ალეიჰისსელამს;

50 სუხუფი შით ალეიჰისსელამს;

30 სუხუფი იდრის ალეიჰისსელამს;

10 სუხუფი იბრაჰიმ ალეიჰისსელამს მიეცათ.

(სულ 100 სუხუფია გამოგზავნილი)

ქითბები (წიგნები)

1. **თევრათი** - მუსა ალეიჰისსელამს;

2. **ზებური** - დავუდ ალეიჰისსელამს;

3. **ინჯილი** - იისა ალეიჰისსელამს;

4. **ყურანი ქერიმი** - ჩვენს ფეიღამბერს, ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ს მიეცათ.

ე.ი. კაცობრიობაზე გამოგზავნილია 100 სუხუფი და 4 დიდი ქითაბი (წიგნი).

ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ის და ყურანი ქერიმის მოვლენით, დანარჩენი ფეიღამბრების უფლება-მოსილება და ქითბების მოქმედება გაუქმებულად ითვლება.

ყურანი ქერიმი 114 სურასგან (თავისაგან) და 6666 აიათისაგან შედგება. ორ გასაჩერებელ ნიშანს შორის მოთავსებულს აიათი ჰქვია. ყურანი ქერიმის მოვლენიდან დღემდე არცერთი ბგერა არ შეცვლილა. დედამიწაზე ყველა ყურანი ერთნაირია. ყურანი ქერიმი მუდმივად უზენაესი მფარველობაშია და არ შეიცვლება.

ფეიღამბრებზე იმანი

იმანის მეოთხე პირობა ფეიღამბრებზე იმანია.

ფეიღამბრები ალლაჰუ თეღალას რელიგიის (ბრძანებების, აკრძალულების, ამბების) ადამიანებამდე მიმტანი რჩეული პიროვნებები არიან. ფეიღამბრები ადამიანების ღმერთზე გატოლების, კერპებზე თაყვანისცემის და მსგავსი გზააცდენილობისგან გადამრჩენი და ადამიანების ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერების მოპოვების მიზეზი არიან.

გამომდინარე იქიდან რომ ადამიანების ჭკუა ნამდვილი ბედნიერების მოპოვებისათვის საკმარისი არ არის,ალლაჰუ თეღალამ სწორი გზის მაჩვენებლად და ადამიანების გადასარჩენად ფეიღამბრები გამოგზავნა. ფეიღამბრები ალლაჰუ თეღალას მიერ **"მუღჯიზათებით" (სასწაულებით)** არიან გაძლიერებულნი. უზენაესი ალლაჰის ნებით მათ უამრავი განმაცვიფრებელი სასწაული მოუხდენიათ.

პირველი ადამიანი და პირველი ფეიღამბერი ხზ. ადემ (ა.ს.)-ია. მცდარია თეორია, რომელიც ადამიანის წინაპრად მაიმუნს მიიჩნევს. უეჭველად უძვირფასესი ადამიანის წინაპარი მაიმუნი კი არა, ჯენნეთიდან გამოსული ადემ (ა.ს.)-ი და ხზ. ჰავაა.

ფეიღამბრების თვისებები

ფეიღამბრების 5 განსაკუთრებული თვისება, რომელთა ცოდნაც აუცილებელია:

1. სიდყი: სიმართლე. ფეიღამბრები არავითარ შემთხვევაში, არასდროს ტყუილს არ ისაუბრებენ;

2. ემაანეთ: სანდონი არიან (მათზე ნდობა ყოველთვის შეიძლება);

3. თებლიღ: ალლაჰუ თეღალას ბრძანებებსა და აკრძალვებს, ადამიანებს უნაკლოდ და მოურიდებლად გააცნობენ;

4. ფეტაანეთ: ჭკვიანი და ნიჭიერი არიან;

5. ისმეთ: ცოდვას არ ჩაიდენენ (ცოდვის ჩადენისაგან დაცული არიან).

ჩვენს ფეიღამბერს (ს.ა.ვ.), სხვა ფეიღამბრებისგან განმასხვავებელი ხუთი ნიშანი კიდევ ჰქონდა:

1. ყველა ფეიღამბერზე მაღლა დგას და ყველაზე ძვირფასია;

2. ყველა ადამიანისთვის და ჯინებისთვის ფეიღამბრად არის გამოგზავნილი;

3. ხაათემულ ენბია - ფეიღამბრების ჯაჭვის ბოლო რგოლია (ბოლო ფეიღამბერია). მის შემდეგ ფეიღამბერი არ მოვა;

4. მთელი მატერიალური სამყაროსთვის წყალობადაა გამოგზავნილი;

5. მისი შერიათი ყიამეთამდე იარსებებს.

ყურანი ქერიმში სახელით მოხსენებული ფეიღამბრები

ხზ. ადემ ფეიღამბრიდან (ა.ს.) ჩვენს ფეიღამბრამდე (ს.ა.ვ.) ბევრი ფეიღამბერია მოვლენილი. მათ შორის ყურანი ქერიმში სახელით მხოლოდ 28 ფეიღამბერია მოხსენებული. ყურანი ქერიმში მოხსენებული ფეიღამბრების სახელები შემდეგია:

1- ადემ	10- იააყუბ	19- ელიასა
2- იდრის	11- იუსუფ	20- ზულქიფლ
3- ნუჰ	12- ეიიუბ	21- იუნუს
4- ჰუდ	13- შუღაიბ	22- ზექერია
5- საალიხ	14- მუსა	23- იახია
6- იბრაჰიმ	15- ჰაარუნ	24- იისაა
7- ლუუტ	16- დაავუდ	25- უზეირ
8- ისმაილ	17- სულეიმან	26- ლოყმან
9- ისხაყ	18- ილიას	27- ზულყარნეინ

28- **ხზ. მუხამმედ მუსტაფა** (ს.ა.ვ.).

* უზეირი, ლოყმანი და ზულყარნეინი (ა.ს.) ფეიღამბრებია თუ ევლია სამსჯელო საკითხია.

ჩვენი ფეილამბერი (ს.ა.ვ.)

ჩვენი ფეილამბრის ძვირფასი წინაპარი:

ხზ. ისმაილის შთამომავლობიდან მყოფი, მამის მხრივ ჩვენი ფეილამბრის წინაპარი ადნანამდე შემდეგია: ხზ. მუხამმედ, აბდულლაჰ, აბდულმუტტალიბ, ხაშიმ, აბდიმენაფ, ყუსაი, ქილააბ, მურრე, ყააბ, ლუვეიი, ღაალიბ, ფიჰრ, მაალიქ, ნადრ, ქინაანე, ხუზეიმე, მუდრიქე, ილიას, მუდარ, ნიზარ, მეღედ, ადნან.

დედის მხრიდან ხზ. ფეილამბრის წინაპარი შემდეგია: ხზ. ემინეს მამა ვეჰბი, აბდიმენაფ, ზუჰრე, ქილაბი.

ფეილამბრებს შორის ყველაზე მაღლა მდგომი ჩვენი ფეილამბერი მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ია. ფეილამბრების უმეტესობა გარკვეული ხალხისათვის, გარკვეული ქალაქის ან სოფლისათვის იყვნენ გამოგზავნილი, ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.) კი მთელი კაცობრიობისთვის, მთელი სამყაროსთვისაა გამოგზავნილი. იმისათვის, რომ შევაფასოთ თუ რაოდენ დიდი წყალობაა იგი მთელი კაცობრიობისთვის, გადავხედოთ მის დაბადებამდე არსებულ ადამიანების მდგომარეობას.

როგორც ვიცით ჩვენი ფეილამბრის დაბადებამდე მთელ დედამიწაზე ყოველმხვრივ, ყოველგვარი ბოროტება და ქაოსი სუფევდა. იმ პერიოდის საზოგადოება ყოველგვარ გზააცდენილობასა და ურწმუნოებაში ცხოვრობდა.

სამართალსა და კულტურას მოკლებული კაცობრიობა, უგუნურების მორევში იყო ჩაფლული. გარყვნილება, ყაჩაღობა,ყოველგვარი მჩაგვრელობა და ძალადობა იმდენად იყო გავრცელებული,რომ თუ ვინმეს ვინმეზე ძალა შესწევდა მის ქონებას იტაცებდა, ნამუსსა და ღირსებას ულახავდა.

ასევე ზოგიერთი მცდარი რწმენის მიხედვით ადამიანები თავიანთ გოგო შვილებს ცოცხლად მარხავდნენ. ქალს საზოგადოებაში არავითარი დაფასება არ ჰქონდა,როგორც ნივთი ისე იყიდებოდა. ტომებად დაყოფილ ადამიანებს შორის ქიშპობა და მტრობა იყო გაბატონებული.

სწორედ ასეთ პერიოდში, მექქეი მუქერრემეში ჩვენი წელთაღრიცხვით 571 წელს, რებიულ ევველის თვის მეთორმეტე ღამეს, გამთენიისას სამყაროს მოევლინა ძვენი ძვირფასი ფეიღამბერი, მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.).

ფეიღამბერთა ჯაჭვის ბოლო რგოლი ხზ. მუხამმედ (ს.ა.ვ.)სანამ 40 წლის გახდებოდა და ფეიღამბრობა მოუვიდოდა, მანამდეც მისგან უამრავი სასწაული უხილავთ. უზენაესი ალლაჰის ბრძანების **(როგორც გებრძანა ისეთი სწორი გზით იარე) შესაბამისად მოქმედი** ეს ძვირფასი პიროვნება,თავისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე გულწრფელობისა და ნდობის მხრივ სამაგალითო იყო. ის ყოველგვარი თვალთმაქცობისა და სიცრუისგან შორს იყო. მაშინ,როცა ადამიანები ერთმანეთს არ ენდობოდნენ, მას ყველა ენდობოდა, მისი სიტყვის სჯეროდათ და სადავო საკითხების მოგვარებისათვის ხშირად მას მიმართავდნენ. მოწინააღმდეგეებსაც კი, რომლებიც მას ფეიღამბრად არ სცნობდნენ, მისი სჯეროდათ. მასში შეუდარებელ, სრულყოფილ მორალს ხედავდნენ და მას **მუხამმედულ ემინს (სანდო მუხამმედს)** უწოდებდნენ. სწორედ ასეთ ეპოქაში დაიბადა მუხამმედ ფეიღამბერი (ს.ა.ვ.), რომელმაც მანამადე არსებული ყველა რელიგია გააბათილა და კაცობრიობა იმანისა და ისლამის შუქით წყვიადიდან გამოიყვანა. ადამიანებს მისცა ამქვეყნიური და საიქიო ნამდვილი ბედნიერების გასაღები და უჩვენა ცივილიზებული ცხოვრების გზა.

დღეს ბევრი აღმოსავლეთმცოდნე, მიუმხრობელი და ნეიტრალური პიროვნება, იძულებულია აღიაროს მისი სიდიადე, მისი მორალი და ის დიდი ღვაწლი, რომელიც მან კაცობრიობას მოუტანა.

მუხამმედ ესადის მიერ ნათარგმნ ერთერთ წიგნში ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი თ.კარლაი შემდეგნაირად ამბობს: "ხზ. მუხამმედი (ს.ა.ვ.) თვალთმაქცობისგან შორს დგომის გამო მიყვარს. ხზ. მუხამმედ (ს.ა.ვ.)-ის ასაწონი სასწორი კაცობრიობაში არ არის, ის აუწონავი და დიდია."

არამუსლიმანების მიერ ხზ. ფეიღამბრის ასეთი შეფასებისა და სიყვარულის გამოხატვის შემდეგ, გასაგებია ჩვენ მის უმმეთს თუ რაოდენ უნდა გვიყვარდეს იგი.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ფეიღამბრის მობრძანებით, მანამდე არსებული ყველა ფეიღაბრის რელიგიებმა ძალა დაკარგა. ამჟამად ერთადერთი ჭეშმარიტება ისლამია.

სწორედ ამიტომ, როცა ხზ. ფეიღამბერმა (ს.ა.ვ.) ხზ. ომერის ხელში თევრათის ფურცლები შენიშნა, მას უთხრა: "თქვენც ებრაელებისა და ქრისტიანების მსგავსად ჩემი ფეიღამბრობა და ჩემზე მოცემული ყურანი ქერიმის ჭეშმარიტება გეეჭვებათ? ვფიცავ! მუსა ფეიღამბერი, რომელზეც თევრათია ჩამოსული, ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემზე მომხრობის გარდა სხვა გზა არ დარჩებოდა." შესაბამისად ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) მოსვლით ინჯილმა და თევრათმა ძალა დაკარგა. ყიამეთამდე მოქმედი მხოლოდ ყურანი ქერიმი და ჩვენი ფეიღამბრის ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ის სუნნეთია.

კარგად გავიცნოთ ჩვენი ფეიღამბერი

როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ბედნიერებისათვის, საჭიროა კარგად ვიცნობდეთ ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ს და ვიყოთ მისი უმმეთის ღირსეული წარმომადგენელი. პიროვნება თუ კარგად არ გაეცნობა და არ შეიყვარებს ხზ. ფეიღამბერს (ს.ა.ვ.), ღირსეული და დაფასებული ვერასდროს იქნება.

ჩვენი ფეიღამბრის სახელი მუხამმედია, მამის სახელი აბდულლაჰი, დედის სახელი კი ემინე. დედამისი მუხამმედ (ს.ა.ვ.)-ზე შვიდი თვის ფეხმძიმე იყო, როცა აბდულლაჰი გარდაიცვალა. ხზ. მუხამმედი (ს.ა.ვ.) ჩვენი წელთაღრიცხვით 571 წელს მექქეში, 20 აპრილს რებიულევველის თვის მეთორმეტე ღამეს, ორშაბათს გამთენიისას დაიბადა. დაბადებისთანავე არცერთ ბავშვს არ ჰგავდა. მისი ფეიღამბრობის ნური მნახველებს თვალებს სჭრიდა. მისი დაბადებით კაცობრიობას ახალი, ნათელი და ბედნიერი გზა გაეხსნა.

მაშინდელი არსებული წესის მიხედვით ოთხ წლამდე რძის დედობილთან, ხზ. ჰალიმესთან იზრდებოდა. შემდეგ თავის ოჯახს დაუბრუნდა. ექვსი წლის იყო, როდესაც დედა ხზ. ემინე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ის მისმა ბაბუამ, აბდულ-მუტტალიბმა წაიყვანა. დედის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, რვა წლის ასაკში ბაბუაც გარდაეცვალა. ამის შემდეგ გადავიდა თავის ბიძასთან ებუ-ტალიბთან.

ხზ. ფეიღამბრის ბავშვობის, ახალგაზრდობის, ქორწინებისა თუ შემდგომი პერიოდი, ზოგადად მთელი მისი ცხოვრება ღირსეულად და სამაგალითოდ ჩაიარა.

25 წლის ასაკში ხატიჯე-თულ ქუბრააზე დაქორწინდა. 40 წლამდე კერპთაყვანისმცემელ საზოგადოებაში იმყოფებოდა, მაგრამ არასდროს კერპებს თაყვანს არ სცემდა. ხზ. იბრაჰიმის (ა.ს.) რელიგიის მიხედვით უზენაესი ალლაჰის წინაშე იბაადეთს ასრულებდა. დროდადრო მექქეს მახლობლად, ჰირას მთაზე ადიოდა და ხზ. ალლაჰის ძალასა და სიდიადეზე ფიქრობდა. უზენაესი ალლაჰის მიერ მასზე მინიჭებული იმანის ნურით მას ევედრებოდა. (ზიქრს ასრულებდა).

ერთ დღეს, როდესაც ხზ. ფეიღამბერი ჰირას მთაზე გამოქვაბულში იმყოფებოდა,უზენაესი ალლაჰის მიერ მასზე დაკისრებული ფეიღამბრობის მოვალეობის საცნობლად ჯებრაილი (ა.ს.) გამოეცხადა და კაცობრიობისათვის წყალობად მოვლენილ, უზენაესი ალლაჰის საყვარელ პიროვნებას, მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ს უთხრა:

"წაიკითხე!" მუხამმედ (ს.ა.ვ.)-მა უპასუხა: **"მე კითხვა არ ვიცი"**, ან **"რა წავიკითხო?"**. ჯებრაილ (ა.ს.)-მა ხზ. ფეიღამბერს მკერდზე მოუჭირა. ეს პროცესი სამჯერ განმეორდა. ასე ხზ. ფეიღამბერს (ს.ა.ვ.) სულიერი ოპერაცია ჩაუტარდა. შემდეგ ჯერბრაილ (ა.ს.)-მა ყალემ სურას 1-5 აიათი წაიკითხა, რომლის მნიშვნელობა შემდეგი იყო: **"შენი არაფრისგან გამჩენი, აღმზრდელი და ამ ღირსებამდე მომყვანი ალლაჰის სახელით იკითხე, მან ადამიანი შედედებული სისხლისგან გააჩინა. შენი ალლაჰი, ყველაზე დიდი სიკეთის პატრონია. იკითხე! კალმით (წერა-კითხვის) მასწავლებელი, უცოდინარ კაცზე ცოდნის მიმცემი ალლაჰის სახელით"**.

ასეთნაირად ხზ. მუხამმედს (ს.ა.ვ.) ფეიღამბრობის მოვალეობა მიეცა. ყურანი ქერიმის ჩამოსვლა 23 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.)

13 წლის განმავლობაში მექქეში ხალხს სწორი გზისკენ მოუწოდებდა. ბევრი ვაივაგლახის გადატანა მოუხდა. ყველაფერი მოითმინა, ალლაჰუ თეღალას ცნობისა და ერთღმერთიანობის გავრცელებისთვის იბრძოლა. შემდეგ მედინეში გადავიდა. 10 წელი იქ ფეიღამბრობის მისია გააგრძელა. ადამიანებს ადამიანობა შეასწავლა. კულტურა დახვეწა, შავბნელი გულები ისლამის შუქით გაანათა. ასეთნაირად თავისი მოვალეობა სრულყო. 63 წლის ასაკში გარდაიცვალა, კაცობრიობას ნათელი გზის მაჩვენებელი ყურანი ქერიმი და სუნნეთი დაუტოვა.[1]

სიკეთე და ლოცვა შენთვის იყოს, ეიი!!! ალლაჰუ თეღალას ფეიღამბერო! თავკაცო! რესულო! შენი ლოცვა და ვედრება შენთვის იყო ეი ძვირფასო ფეიღამბერო. შენი სრულყოფილად მცოდნე და მაქებარი უზენაესი ალლაჰია. შენ სამყაროს წყალობა ხარ, ადამიანებისა და ჯინების ფეიღამბერი ხარ. შენ ხაათემულ ენბია (ბოლო ფეიღამბერი ხარ). შენს შესახებ თვით უზენაესი ალლაჰი ხადისი ყუდსიში შემდეგნაირად ბრძანებს: **"ლევლააქე ლევლააქ ლემაა ხელექთულ ეფლაქ"** (ეი საყვარელო ფეიღამბერო შენ რომ არ ყოფილიყავი მე ამ სამყაროს არ გავაჩენდი).

1 ჰიჯრეთის კალენდრის მიხედვით ხზ. ფეიღამბერმა (ს.ა.ვ.) 63 წელი იცოცხლა, რადგან ხზ. ფეიღამბერი ჰიჯრეთამდე 53 წლით ადრე დაიბადა და ჰიჯრეთის მე-10 წელს გარდაიცვალა, მზის კალენდრის მიხედვით ხზ. ფეიღამბერმა 61 წელი იცოცხლა (632-571=61). მათ შორის 2 წელი სხვაობა განაპირობა იმან, რომ მთვარის კალენდრით ერთი წელი 355 დღეს შეადგენს, ხოლო მზის კალენდრით კი 365 დღეს შეადგენს.

ესხაბი ქირამი

ესხაბი ჰქვიათ მათ, ვისაც ხზ. ფეიღამბერი ერთხელ მაინც რწმენის თვალით უნახავთ და მისი საუბარი მოუსმენიათ. ყველა სახაბე ძალიან ძვირფასია. რადგან მათ ხზ. ფეიღამბერი საკუთარი თვალით დაინახეს, ყველაზე რთულ პერიოდში მას მხარში დაუდგნენ. ფიზიკურად, მატერიალურად, მორალურად და მთელი თავიანთი საშუალებებით ისლამის გავრცელებისათვის ჯიჰადი შეასრულეს. ამგვარად მათ ფეიღამბრის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს და ყველა ისლამის ნურში ჩაეფლო.

ჩვენი ძვირფასი რელიგიის გავრცელებაში მათ უდიდესი წვლილი მიუძღვით. დღესდღეობით ერთმა პიროვნებამ, მთელი დედამიწა ოქროთი რომ აავსოს, შემდეგ კი ეს ოქრო სრულად სადაყად გასცეს, ესხაბის სულ მცირე დონესაც კი ვერ მიაღწევს. ჩვენ, მუსლიმანები, ვალდებული ვართ გვიყვარდეს ყველა ესხაბი, დავაფასოთ და პატივი ვცეთ მათ. მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის, ან თუნდაც უთანხმოების გამო, მათ საწინააღმდეგოდ სიტყვის თქმის უფლებაც არ გვაქვს, რადგან ისინი მუჯთეჰიდები არიან და იჯთიჰადით იმოქმედეს. მათ წინააღმდეგ ვინც ისაუბრებს იმანი დაუსუსტდება და დიდ ზიანს ნახავს. სანამ ის ადამიანი ამ მხრივ თავის რწმენას არ გამოასწორებს სრულყოფილი მუსლიმანი ვერ იქნება.

ესხაბი ორნაირია:

1. მუხააჯირინ;

2. ენსარ;

მუხააჯირინ არიან ისინი, ვინც თავიანთი ქონება და საარსებო წყარო უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებისათვის მიატოვეს და მექქედან მედინეში გადასახლდნენ.

ენსარ მედინეს მკვიდრი მუსლიმანები არიან. რომლებმაც მედინეში გადასახლებულ მუსლიმან ძმებს ალლაჰის კმაყოფილებისათვის მთელი შესაძლებლობებით დაეხმარნენ. შესაბამისად ორივე მხარემ დიდი მადლი და საფეხური დაიმსახურეს.

უზენაესი ალლაჰის წინაშე ფეიღამბრების შემდეგ ყველაზე ძვირფასები სახაბეები არიან. მათ შორის რიგის მიხედვით ყველაზე ძვირფასები არიან: ხზ. ებუ ბექირი, ხზ. ომერი, ხზ. ოსმანი და ხზ. ალი (რადიალლაჰუ ანჰუმ).

აახირეთის დღეზე იმანი

იმანის მეხუთე პირობა, აახირეთის დღის არსებობის დაჯერებაა.

სურას ჩაბერვის, ყველა გარდაცვლილის საფლავიდან აღდგომის, პიროვნებაზე ამელ დეფთერის (ნამოქმედარის სააღრიცხვო დავთარის) გადაცემის, მახშერის მოედანზე შეკრების და დაკითხვის ჩატარების, ცოდვა მადლის აწონის, შეფაღათის, სირატის ხიდის, ქევსერის, ჯენნეთისა და ჯეჰენნემის არსებობისა და მსგავსი საკითხების დაჯერებაა.

აახირეთი - ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგ, იმქვეყნიური მარადიული ცხოვრებაა. ალლაჰუ თეღალამ ეს ქვეყანა და ყველა არსება განსაზღვრული დროით გააჩინა. ისრაფილ (ა.ს.)-ის მიერ სურის პირველად ჩაბერვით ყიამეთი მოხდება და ყველა სულიერი მოკვდება. დედამიწასა და სრულიად სამყაროში არსებული, ყველაფერი მოისპობა. როცა ისრაფილ (ა.ს.) სურს მეორედ ჩაბერავს ყველა გაჩენილი ხელმეორედ გაცოცხლდება,

ანგარიშგებისათვის მახშერის მოედანზე შეიკრიბება და უზენაესი ალლაჰის წინაშე ყველა ადამიანი და ჯინი თავიანთი ნამოქმედარის ანგარიშს ჩააბარებს. ყველა წვრილმანი გაირკვევა, მართალი უსამართლოსგან თავის კუთვნილს აიღებს. ანგარიშსწორების შემდეგ, საჯენნეთოები ჯენნეთში, საჯეჰენნემოები კი ჯეჰენნემში შევლენ. მორწმუნეები ჯენნეთში უზენაეს ალლაჰს იხილავენ.

ვინც აახირეთის დღის არსებობას არ დაიჯერებს, მას უზენაესი ალლაჰისა და ხზ. ფეიღამბრისაც (ს.ა.ვ.) არ სჯერა.

ეჯელი

ეჯელი (უზენაესი ალლაჰის მიერ წინასწარ განსაზღვრულ) ადამიანის ბოლოჟამს ჰქვია. ეჯელი, როცა აღსრულების ჟამს მიაღწევს, არცეთი წუთით არც გადაიწევა და არც გადმოიწევა, არც დაჩქარდება და არც შენელდება. ადამიანი რა მიზეზითაც არ უნდა გარდაიცვალოს, მაინც ეჯელით მკვდარი იქნება.

ბედისწერის და ყაზას (შემთხვევის) დაჯერება

იმანის მეექვსე პირობა ბედისწერის და ყაზას დაჯერებაა.

ყადერის (ბედისწერის) და ყაზას (შემთხვევის) საკითხის უკეთესად გაგებისათვის, ჯერ ირადეი ჯუზიე განვმარტოთ.

ირაადეი ჯუზიიე

ირაადეი ჯუზიიე, უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანზე მიცემული განსაზღვრული ჭკუა და ამ ჭკუის ადამიანის სურვილის მიხედვით გამოყენების უფლებაა. მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგან თუ ადამიანი ამ ჭკუას სიკეთისათვის მოიხმარს, ალლაჰუ თეღალა სიკეთეს მისცემს და თუ სიგლახისთვის მოიხმარს,

სიგლახეს მისცემს. შესაბამისად ადამიანი ჯენნეთსაც და ჯეჰენნემსაც თვითონვე მოიპოვებს. ხაალიყი (გამჩენი) მხოლოდ ალლაჰუ თეღალაა. მან თუ არ ისურვა,არაფერი გაჩნდება. ადამიანს თავისუფალი არჩევანის ორი გზა აქვს: კარგი ან ცუდი, რის შედეგადაც რაიმე შედეგს აღწევს. გამოდის, რომ ადამიანი თვითონ მოიპოვებს თავისი არჩევანის მიხედვით, ალლაჰუ თეღალა კი გაუჩენს ადამიანს მისი ნამოქმედარის მიხედვით. ე.ი. ადამიანი ქაასიბია (მომპოვებელია) ალლაჰუ თეღალა კი ხაალიყია (გამჩენია).

ადამიანზე მიცემული ჭკუა, ავტომანქანის საჭეს ჰგავს, ადამიანი საითაც მიაბრუნებს, იქეთ წავა. ურწმუნო და გზააცდენილი პიროვნება "მე რავქნა, ღმერთმა ასე ისურვა და ასე გააჩინა" სიტყვებით, პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის. დიახ, უზენაესმა ალლაჰმა ასე მოინდომა, რადგან თვითონ პიროვნებამ ის გზა აირჩია. ალლაჰუ თეღალას ადამიანისთვის არჩევანის უფლება აქვს მიცემული. არჩევანის უფლება რომ არ მიეცა, მაშინ ალლაჰუ თეღალა ადამიანს არ გამოცდიდა და ხეირისკენ ან შარისკენ თვითონვე უბიძგებდა. მაგრამ ალლაჰუ თეღალა ადამიანს ძალით ცოდვას არ ჩაადენინებს და შემდეგშიც არ დასჯის, იგი მსგავსი ქმედებისგან შორსაა.

ზოგიერთები ამბობენ: "როდესაც უზენაესმა ალლაჰმა სულები გააჩინა, ნაწილმა სეჯდე შეასრულა, ნაწილმა კი არა. ვინც სეჯდე არ შეასრულა, ამქვეყნიდან ურწმუნოდ წავაო." ასეთი რამ არ არსებობს. ამის აღიარება ადამიანს რწმენას დააკარგვინებს. იქ ყველამ ნებით თუ უნებლიედ სეჯდე შეასრულა. ალლაჰუ თეღალამ სულებს ჰკითხა: **"ელესთუ ბირაბბიქუმ" (მე თქვენი ღმერთი არ ვარ?)**. სულებმა განურჩევლად, ერთხმად უპასუხეს: **"ბელაა" (დიახ ჩვენი ღმერთი ხარ)**.

ზოგიერთები ამბობენ: შენ რაც არ უნდა გააკეთო,ალლაჰუ თეღალა ვისაც ისურვებს სწორ გზაზე დააყენებს, ვისაც ისურვებს მცდარ გზაზე დააყენებსო. ეს აზრიც არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის. ამ საკითხის შესახებ არსებულ აიათებს ზოგიერთი არასწორად განმარტავს.

დიდი სწავლული (ალიმი) **სულეიმან ჰილმი თუნაჰანი (ყ.ს.)** ამ საკითხის შესახებ არსებულ აიათს ასე განმარტავს: **"ალლაჰუ თეღალა სწორი გზის მსურველსა და მთხოვნელს სწორ გზაზე, მცდარი გზის მსურველსა და მთხოვნელს მცდარ გზაზე დააყენებს."**

ასევე ბრძანებს: უზენაესი ალლაჰის მიერ სულების გაჩენისთანავე ახმედი საჯენნეთოა მეჰმედი საჯეჰენნემოაო, ასეთი კონკრეტული განაჩენი არ არსებობს. თუმცა არსებობს რწმენისა და მორჩილების სამოსი, ვინც მისით შეიმოსება საჯენნეთოაო უთქვამთ. ასევე არსებობს ურწმუნოებისა და ურჩობის სამოსიც ვინც მისით შეიმოსება საჯეჰენნემოაო უთქვამთ. ადამიანი ამ სამოსის არჩევანში სრულიად თავისუფალია. შესაბამისად იგი თავისი ირაადეი ჯუზიეს (არჩევანის) მიხედვით, რომელსაც აირჩევს სამუდამო სამყოფელსაც მის მიხედვით დაიმკვიდრებს."

ადამიანი თავის ნამოქმედარზე პასუხისმგებელი თვითონაა, შესაბამისად იგი უზენაესი ალლაჰის კანონებს არ უნდა შეეწინააღმდეგოს, უნდა დაემორჩილოს და რაც თავს გადახდება უნდა დასჯერდეს. ასევე ხილული და უხილავი უბედურებებისგან უზენაეს ალლაჰს უნდა მიეკედლოს და ჯანმრთელი და ბედნიერი ცხოვრება უნდა შეევედროს. ამ საკითხთან დაკავშირებით ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: **"სადაყის გაცემა უბედურებისგან დაგიცავს და სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებს."**

ყადერი

ყადერი (ბედისწერა) დასაბამიდან დასასრულამდე, კარგი თუ ცუდი ყოველი ასახდენი საკითხის, უზენაესი ალლაჰის მიერ თავისი უსაზღვრო ცოდნისა და სურვილის შესაბამისად წინასწარ დადგენაა.

ყაზა

ყაზა უზენაესი ალლაჰის მიერ წინასწარ დადგენილი შემთხვევის ჟამის დადგომისას, ალლაჰუ თეღალას ცოდნისა და სურვილის შესაბამისად ახდენაა. მაგ: ადამიანის ამა თუ იმ დღეს დაბადების, ალლაჰის მიერ წინასწარ განსაზღვრა ყადერია. მაგრამ ადამიანის იმ განსაზღვრულ დღეს დაბადება ყაზაა.

რიზყი

რიზყი - უზენაესი ალლაჰის მიერ ყველა სულიერზე ნაბოძები და სულიერების მიერ მიღებული საკვებია. ხოლო ადამიანი ამ საკვებს თავისი სურვილით,რომელი გზითაც აირჩევს (ჰალალით თუ ჰარამით) ალლაჰუ თეღალაც იმ გზით მისცემს. თუ ადამიანი ჰალალ გზას მიატოვებს და სარჩოს მოპოვებას ჰარამი გზით შეეცდება, ის ამით ცოდვას ჩაიდენს და ამაზე ალლაჰუ თეღალას წინაშე პასუხს აგებს. ყველა სულიერისთვის რიზყის მიმცემი "რეზზააყი აალემი – ალლაჰუ თეღალაა," შესაბამისად მისი უნდა გვჯეროდეს და მისგან უნდა მოვითხოვოთ. რადგან მისი ხაზინა უხვი და უსაზღვროა. მასზე ჭეშმარიტი რწმენით მინდობილნი გაჭირვებას არ ნახავენ. ვინც რიზყის მომცემ ალლაჰუ თეღალას დაივიწყებს

და სარჩოს მოპოვებას ისე შეეცდება, გაჭირვებასა და სირთულეს თავს ვერ დააღწევს.

თევექქული

თევექქული - მიზნის მიღწევისათვის საჭირო ყოველგვარი მატერიალური და სულიერი საშუალებების გამოყენების შემდეგ, ალლაჰუ თეღალაზე მინდობა და შედეგის მისგან მოლოდინია. თუ პიროვნება სასურველ შედეგს ვერ მიიღებს კი არ უნდა დამწუხრდეს, არამედ უნდა თქვას "შეიძლება ჩემთვის ასე სჯობს"-ო და ბედს უნდა შეეგუოს. რადგან უზენაესი ალლაჰი ძვირფას ყურანში ბრძანებს:

"შესაძლოა თქვენ რაღაც არ მოგეწონოთ და არ მოისურვოთ, მაგრამ ეს თქვენთვის უკეთესი იყოს. ასევე შესაძლოა თქვენ რაღაც მოგეწონოთ და მისი მოპოვებისათვის იზრუნოთ, მაგრამ ეს თქვენთვის საზიანო იყოს."

"ერთ დღეს ეს ჩვენი ბედი უთუოდ, რომ გაიხსნება

მიზეზებს გააჩენს ღმერთი და კარები მთლად გაიღება,

ჩემი ალლაჰისადმი ვედრება, რიზყისთვის არ ისაზღვრება.

რიზყს გააჩენს ღმერთი და ურიზყო არვინ იქნება".

იბრაჰიმ ჰაყყი (ყ.ს.)

რწმენის მუდმივად შენარჩუნების პირობები

რწმენის შენარჩუნებისათვის ყველა მუსლიმანი ვალდებულია დაიცვას ქვემოთ მოცემული საკითხები:

1. ღაიბზე დაჯერება. ღაიბი გრძნობის ხუთი ორგანოთი (მხედველობით, სმენით, გემოვნებით, ყნოსვით და შეხებით) რომ არ შეიგრძნობა, ისეთ რამეებზე დაჯერებას ნიშნავს. მაგ. ალლაჰუ თეღალა, მელაიქი, ჯენნეთი, ჯეჰენნემი, შეითანი, ჯინი...

2. ჰალალის ჰალალად დაჯერება. ე.ი. ჰალალზე ჰარამიაო არ უნდა ითქვას.

3. ჰარამის ჰარამად დაჯერება. ე.ი. ჰარამზე ჰალალი არ უნდა ითქვას. მაგ: ღუდის ჩათვლით, ყოველგვარ ალკოჰოლურ სასმელზე, პროცენტით ფულის მიცემაზე და სხვა ჰარამებზე ჰალალიაო არ უნდა ითქვას.

4. მუდმივად უზენაესი ალლაჰის შიში.

5. მუყადდესათზე (ისლამის სიწმინდეებზე) **პატივისცემა და სათანადოდ დაფასება.**

6. უზენაესი ალლაჰის წყალობისგან იმედის უწყვეტობა.


7. ქააფირის ქააფირად, მუმინის მუმინად ცნობა. მაგ: წერილობით, სიტყვიერად ან ქმედებით ისლამის მიმართ მტრული დამოკიდებულების მქონე ადამიანზე თუ პიროვნება იტყვის, რომ ეს კაცი მუსლიმანიაო, თვითონაც ურწმუნო გახდება. ასევე ისლამის მსახურს, გამავრცელებელს, ვინც ქააფირს უწოდებს, თვითონ ქაფირი გახდება.

8. უზენაესი ალლაჰისთვის ადგილის არ მიჩნევა. მაგ: ალლაჰი ზეცაშიაო თქმა, ადამიანს რწმენას დაუკარგავს.

9. ყურანი ქერიმის სრულყოფილების დაჯერება. მაგ: ყურანი ქერიმი ნაკლებია, მეტია, ჯებრაილ (ა.ს.)-მა შეცდომა დაუშვა - მსგავსი სიტყვების თქმა, ადამიანს რჯულიდან გამოიყვანს.

იმანის (რწმენის) დამცავი სიმაგრეები

იმანი უზენაესი ალლაჰის მიერ მუ'მინის გულში ანთებული მაშხალაა, სინათლეა. მისი დამცავი სიმაგრეები ქვემოთ მოცემული ნახაზის მიხედვითაა: ფარძები, ვააჯიბები, სუნნეთები, მუსთეხაბები, მენდუბები და ნააფილეები.



იმანი ზემოხსენებული იბადეთების შესრულებით იქნება დაცული. ვინც იმანის დამცავ ამ იბადეთებს არ შეასრულებს რწმენას ვერ დაიცავს.

(ფარძი, ვააჯიბი, სუნნეთი, მუსთეხაბი, მენდუბი, ნააფილე მომდევნო გვერდებში დეტალურად არის განმარტებული).

ყველა მუსლიმანის მიერ ყურადღების გასამახვილებელი და მოსარიდებელი საკითხები

1. ეჰლი სუნნეთზე შეუსაბამო მცდარი რწმენა;
2. ღვთისმსახურებისა და კეთილი საქმის შეუსრულებლობა;
3. გადაწყვეტილებასა და საქმიანობაში სიმართლისგან აცდენა;
4. გამუდმებით ცოდვების ჩადენა;
5. უზენაესი ალლაჰის მიერ ნაბოძებ ისლამის ნიღმეთზე უმადურობა;
6. უიმანოდ გარდაცვალების შიშის არ ქონა;
7. სხვების მიმართ უსამართლობა და მჩაგვრელობა;
8. სუნნეთით ნაკითხი ეზნის მოუსმენლობა;
9. თუ რჯულს არ ეწინააღმდეგება დედ-მამის სიტყვის დაუჯერებლობა;
10. ტყუილუბრალოდ და ბევრჯერ დაფიცება;
11. ნამაზის ლოცვისას უყურადღებობა და თადილი ერქანზე გაუფრთხილებლობა;
12. ჰარამი (ალკოჰოლური) სასმელების დალევა;
13. მუსლიმანების ჩაგვრა და შევიწროება;
14. ტყუილად თავისთავის ევლიად (წმინდანად) გამოცხადება;
15. თავისი ცოდვების დავიწყება და არად ჩათვლა;
16. თავმომწონეობა და საკუთარი თავის დიდ სწავლულად მოჩვენება;
17. ჭორაობა და სიტყვის მიტან-მოტანა;
18. მორწმუნე ძმის მიმართ შურიანობა და გაუტანლობა;

19. შერიათით მოლაპარაკე ხელმძღვანელზე დაუმორჩილებლობა;
20. პიროვნების შესახებ რომელსაც არ იცნობ, კარგია ან ცუდია თქმა;
21. ტყუილის თქმა;
22. რელიგიის შესწავლაზე თავის არიდება. (შესაძლებლობის პირობებში უსწავლელობა)
23. კაცების მიერ ქალებზე, ქალების მიერ კაცებზე დამსგავსების მცდელობა;
24. ისლამისა და მუსლიმანების მტრების მიმართ სიყვარულის გამოხატვა;
25. ისლამის ნამდვილ სწავლულებზე გადამტერება.

ედილლეი შერღიიე (შერიათის დებულებები)

ედილლეი შერღიიე ის წყაროებია, რომლებზე დაყრდნობითაც მუჯთეჰიდებს რელიგიური კანონები გამოუყვანიათ. ედილლეი შერღიიე ოთხია:

1. **ქითაბი-** ყურანი ქერიმი;

2. **სუნნეთი-** ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) ძვირფასი სიტყვები, თავისი ქმედებები და სახაბეების ის ქმედებები, რომელთა მიმართაც ხზ. ფეიღამბერმა თანხმობის ნიშნად დუმილი გამოხატა.

3. **იჯმაღი უმმეთი-** ერთი საუკუნის მუჯთეჰიდების მიერ, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაა;

4. ყიასი ფუყაჰა- აიეთებში-ხადისებსა და იჯმაღში განმარტების არმქონე რომელიმე საკითხის გადაწყვეტისთვის, აიეთებში-ხადისებსა და იჯმაღში განმარტების მქონე მსგავს საკითხზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებაა.

იჯთიჰადი- შერიათის დებულებებიდან კანონების გამოყვანისათვის, ცოდნის ყველა გზისა და საშუალების მაქსიმალურად გამოყენებაა.

მუჯთეჰიდი- აიათებიდან და ხადისებიდან წესდების გამომყვან დიდ სწავლულს ჰქვია. მუჯთეჰიდი ამავდროულად ისლამურ მეცნიერებას სრულად უნდა ფლობდეს და უზენაესი ალლაჰისგან ღილმი ლედუნნით უნდა იყოს დაჯილდოებული.

ცოდნის გზები და საშუალებები

ცოდნის გზები სამია:

1. ხავაასი სელიმე- ხუთი გრძნობის ორგანოს მიერ (მხედველობა, სმენა, გემოვნება, შეხება და ყნოსვა) აღქმული მონაცემები.

2. ხაბერი საადიყ- უტყუარი ინფორმაციები. ესეც ორად იყოფა:

ა. ფეიღამბრების მიერ გადმოცემული უტყუარი ინფორმაციები,

ბ. ისეთი საზოგადოების მიერ გადმოცემული ინფორმაცია, რომელთა მიერ ტყუილის თქმისათვის ერთიანად შეკრება და ტყუილის თქმა შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

3. ჭკუა-გონება.

მეზჰები

მეზჰები: შერიათის ერთ-ერთი გზაა, რომელიც მუჯთეჰიდების მიერ ედილლეი შერღიედან (ისლამის დებულებებიდან) გამოყვანილი კანონების ერთობლიობაა. ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) სიცოცხლეში მუსლიმანები ყველა საკითხს მისგან, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მოწინავე სახაბეებისგან სწავლობდნენ. მეზჰების იმამებს რელიგიური საკითხები სახაბეებისგან და თააბიღინისგან შეუსწავლიათ და ერთად შეუკრიბავთ. საკითხები რომლებიც აიათში, ხადისში და იჯმაღში არ იყო მოცემული თავიანთი იჯთიჰადით განუმარტავთ. ამგვარად მეზჰები წარმოშობილა.

მეზჰები ორ ნაწილად იყოფა:

1 - ითიყადში (რწმენისა და დაჯერების საკითხებში) მეზჰები

2 - ამელში (მოქმედების საკითხებში) მეზჰები.

ითიყადში ჭეშმარიტი მეზჰები, ეჰლი სუნნეთ ველ ჯემააღეთ მეზჰებია. ეს ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) და სახაბეების დაჯერებასა და ქმედებაზე დაფუძნებული მეზჰებია.

ეჰლი სუნნეთ ველ ჯემააღეთ მეზჰების იმამი ორია:

1 - იმამი ებუ მანსურ მაათურიდი

2 - იმამი ებულ ხასენილ ეშარი.

ხზ. იმამი ებუ მანსურ მუხამმედ მათურიდი ჰიჯრი წ.ა. 280 (ჩვ.წ.ა. 894) წელს, უზბეკეთში, ქალაქ სემერყანდის სოფელ მათურიდში დაიბადა და ჰიჯრეთით 333 (ჩვ.წ.ა. 945) წელს სემერყანდში გარდაიცვალა.

იმამი ეშარი ჰიჯრი წ.ა. 260 (ჩვ.წ.ა. 873) წელს ბასრაში დაიბადა და ჰიჯრით 324 (ჩვ.წ.ა. 936) წელს ბაღდადში გარდაიცვალა.

ამელში ჭეშმარიტი მეზჰები ოთხია

1. **ხანეფი მეზჰები:** ამ მეზჰების იმამი (დამაარსებელი), იმამი აზამ ებუ ხანიფეა. სახელი ნუმანი, მამის სახელი სააბითია. ჰიჯრი წ.ა. 80 (ჩვ.წა. 669) წელს ქუუფეში დაიბადა და ჰიჯრი წ.ა. 150 (ჩვ.წ.ა. 767) წელს ბაღდადში გარდაიცვალა.

2. **მაალიქი მეზჰები:** ამ მეზჰების იმამი (დამაარსებელი), იმამი მაალიქ ბინ ენესია. ჰიჯრი წ.ა. 93 (ჩვ.წ.ა. 711) წელს მედინეი მუნევვერეში დაიბადა და მედინეშივე გარდაიცვალა.

3. **შააფი მეზჰები:** ამ მეზჰების იმამი (დამაარსებელი), იმამი მუხამმედ ბინ იდრის შააფია. ჰიჯრი წ.ა. 150 (ჩვ. წ.ა. 767) წელს პალესტინის ქალაქ ღაზაში დაიბადა და ჰიჯრი წ.ა. 204 (ჩვ.წ.ა. 820) წელს ეგვიპტეში გარდაიცვალა.

4. **ხანბელი მეზჰები:** ამ მეზჰების იმამი (დამაარსებელი) იმამი ახმედ ბინ ხანბელია. ჰიჯრი წ.ა. 164 (ჩვ. წ.ა. 780) წელს ბაღდადში დაიბადა და ჰიჯრი წ.ა. 240 (ჩვ.წ.ა. 855) წელს ბაღდადში გარდაიცვალა.

ზემოხსენებული ამ ძვირფასი იმამების მეზჰებები ყურანი ქერიმზე, სუნნეთზე, იჯმაღი უმმეთსა და ყიასი ფუყაჰაზე დაყრდნობით არის ჩამოყალიბებული.

ისლამი

ისლამის პირობები

ისლამი ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ) მიერ მოტანილი რელიგიის გულით დაჯერებისა და ენით დასტურის შემდეგ, ალლაჰუ თეღალაზე მორჩილებას ნიშნავს.

ისლამის პირობა ხუთია, ე.ი. "ისლამი ხუთ ძირითად საფუძველზეა აგებული."

1. **ქელიმეი შეჰადეთის (სიტყვით დამოწმების) წარმოთქმა;**
2. **ნამაზის ლოცვა;**
3. **ზექათის გაცემა;**
4. **რამაზნის თვეში მარხვა;**
5. **ჰაჯობის შესრულება.**

ისლამის პირობების შემსრულებელს მორწმუნე და მუსლიმანი ეწოდება.

პიროვნებამ ამ პირობებიდან ერთიც რომ უარყოს ურწმუნო გახდება.

ქელიმეი შეჰადეთი (სიტყვით დამოწმება)

ისლამის პირველი პირობა ქელიმეი შეჰადეთი (სიტყვით დამოწმება) შემდეგია:

اَشْهَدُ اَنْ لٰا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاَشْهَدُ اَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

ეშჰედუ ენ ლაა ილააჰე ილლელლაჰ, ვე ეშჰედუ ენნე მუხამმედენ ღაბდუჰუ ვე რესუულუჰუ:

მნიშვნელობა:

მე მოწმე ვარ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და ასევე მოწმე ვარ, რომ მუხამმედი (ს.ა.ვ.) მისი მორჩილი და ფეიღამბერია.

ეფღაალი მუქელლეფინ

ისლამი ჭკვიან და ზრდასრულ ყველა მუსლიმანს ზოგიერთი რაღაცის შესრულებას უბრძანებს და ზოგიერთ რაღაცას უკრძალავს. ამ ბრძანებებსა და აკრძალვებს "**თექლიფი**," ხოლო შემსრულებელ მუსლიმანებს "**მუქელლეფი**" ეწოდებათ. მუქელლეფებზე დაკისრებულ ბრძანებებსა და აკრძალულებს **ეფღაალი მუქელლეფინი** ეწოდება.

ეფღაალი მუქელლეფინი რვაა:

1. **ფარძი** - უტყუარი მტკიცებულებებით დადასტურებული კანონებია და ორნაირია:

ა. ფარძი აინი – ყოველი მუსლიმანის მიერ პირადად შესასრულებელი ქმედებებია. ხუთი დროის ნამაზის ლოცვის და რამაზნის თვეში მარხვის მსგავსად.

ბ. ფარძი ქიფაიე - მუსლიმანი საზოგადოების საერთო ვალდებულებაა, თუმცა ზოგიერთის შესრულებით დანარჩენებს პასუხისმგებლობა ეხსნებათ. მაგ: ჯანაზა ნამაზის, ლოცვა, სელამის აღება და სხვა. თუ ასეთ ფარძებს არცერთი მუსლიმანი არ შეასრულებს, პასუხისმგებლობა ყველას დაეკისრება.

2. **ვააჯიბი** - ფარძთან ახლოს მყოფი ღიბადეთებია. მაგ: ვითრი ნამაზი და ბაირამ ნამაზი.

3. **სუნნეთი** - ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) ძვირფასი სიტყვები, თავისი ქმედებები და სახაბეების ის ქმედებები, რომელთა მიმართაც ხზ. ფეიღამბერმა თანხმობის ნიშნად დუმილი გამოხატა.

სუნნეთი ორად იყოფა:

ა. სუნნეთი მუექქედე - ხზ. ფეიღამბრის მიერ ხშირად შესრულებული და იშვიათად გამოტოვებული ქმედებებია. საბახნამაზისა და ევლანამაზის სუნნეთების მსგავსი.

ბ. სუნნეთი ღაირი მუექქედე - ხზ. ფეიღამბრის მიერ ზოგჯერ შესრულებული ქმედებებია. იქინდი ნამაზისა და იასი ნამაზის პირველი სუნნეთის მსგავსი

4. მუსთეხაბი - ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) მიერ ზოგჯერ შესრულებული ქმედებებია. მაგ: სადაყის გაცემა, ნაფილე მარხვა...

5. მუბახი - შესრულების შემთხვევაში მადლი არ არის, გამოტოვების შემთხვევაში კი ცოდვა არ არის. მაგ: დაჯდომა, ადგომა, სმა, ჭამა და მსგავსი ქმედებები.

6. მექრუჰი - გაკეთების შემთხვევაში მოუწონარი და მადლის შემამცირებელი ქმედებებია. მაგ: ნამაზის ლოცვისას იქეთ-აქეთ ცქერა.

7. მუფსიდი - დაწყებული ღიბაადეთის მომშლელი საქმეებია. მაგ: აბდესიანობის შემთხვევაში ორგანიზმიდან სისხლის ან ჩირქის დენა, ნამაზის ლოცვისას ლაპარაკი ან სიცილი, მარხულ მდგომარეობაში რაღაცის ჭამა.

8. ჰარამი - უზენაესი ალლაჰის მიერ აკრძალული საქმეებია. მაგ: ალკოჰოლური სასმელების მიღება, დედ-მამის დაუფასებლობა და სხვა.

ნამაზი

უზენაეს ალლაჰზე და ხზ. ფეიღამბერზე (ს.ა.ვ.) იმანის შემდეგ, ისლამის პირობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძანება ნამაზია (ლოცვაა). ნამაზი რწმენის ნიშანია. ყველა ფეიღამბერმა თავიანთ უმმეთს აცნობა, რომ ნამაზი ყველაზე ძვირფასი იბადეთია.

ნამაზის ფარძი თორმეტია. 6 გარეთა და 6 შიგნითა. ნამაზის გარეთა ფარძებს (პირობებს) შართი, შიგნითა ფარძებს კი რუქუნი ეწოდება.

ნამაზის გარეთა ფარძები

1. ჰადესიდან თაჰარეთი;
2. ნეჯასეთიდან თაჰარეთი;
3. სეთრი ავრეთი;
4. ისთიყბაალი ყიბლე;
5. ვაქით;
6. ნიეთი.

ნამაზის შიგნითა ფარძები

1. იფთითახ თექბირი;
2. ყიამი;
3. ყირაათი;
4. რუქუღი;
5. სეჯდე;
6. ყაადეი აახირე.

ჰადესიდან თაჰარეთი

ნამაზის ლოცვის გარეთა პირობებიდან პირველი ჰადესიდან თაჰარეთია.

ჰადესი ორნაირია:

პატარა ჰადესი- უაბდესო ყოფნა.

დიდი ჰადესი- ჯუნუბობა, ასევე ნიფასი (მშობიარობის შემდეგი პერიოდი - ლოგინობის ხანა) და ჰაიზი (მენსტრუაცია).

პიროვნებამ ნამაზის ლოცვამდე თუ უაბდესოა აბდესი უნდა აიღოს, თუ ჯუნუბია ღუსლის აბდესი უნდა აიღოს, ესეიგი მთელი ტანი გულდასმით უნდა დაიბანოს. ქალების მენსტრუაციისა და ლოგინობის ხანის გასვლის შემდეგ ღუსლის აბდესის აღება (ტანის დაბანა) აუცილებელია (ფარძია).

აბდესი

აბდესი სხეულის კონკრეტული ორგანოების წესისამებრ დაბანით და მესის გაკეთებით შესასრულებელი რელიგიური სისუფთავეა. უაბდესოდ ადამიანი ნამაზს ვერ ილოცავს, ქააბეს ტავაფს ვერ გააკეთებს, ყურანი ქერიმს ვერ შეეხება.

აბდესის ფარძები

1. პირისახის დაბანა;

2. მკლავების იდაყვების ჩათვლით დაბანა;

3. თავის ოთხი ნაწილიდან ერთ-ერთის მესჰის გაკეთება (სველი ხელით შეხება);

4. ფეხების კოჭების ჩათვლით დაბანა.

აბდესის სუნნეთები:

1. ნიეთის გაკეთება;

2. ეღუზუ-ბისმილით დაწყება;

3. აბდესის აღების ხელების დაბანით დაწყება და მაჯების ჩათვლით დაბანა;

4. მისვაქის გამოყენება;

5. აბდესის აღებისას სხეულის ერთი ორგანოს გაშრობამდე მიყოლებით მეორეს დაბანა.

6. პირში და ცხვირში სამჯერ წყლის მიწოდება;

7. ყურებზე მესჰი;

8. თითების გადაჭდობით დაბანა (თითებს შორის თითების მოსმა);

9. ორგანოების სამ-სამჯერ დაბანა;

10. თავზე სრულად მესჰის გაკეთება;

11. აბდესის აღებისას თანმიმდევრობის დაცვა;

12. ხელებისა და ფეხების დაბანვის თითებიდან დაწყება;

აბდესის აღებისას საკითხავი დუები არსებობს. თუმცა ყველა ორგანოს დაბანვისას ბისმილისა და ქელიმეი შეჰადეთის კითხვა უკეთესია.

აბდესის მექრუჰები:

1. მარჯვენა ხელით ცხვირის მოწმენდა;

2. აბდესის აღებისას ერთი ორგანოს სამზე მეტი ან ნაკლები დაბანვა;

3. წყლის სახეზე მიშხეფება;

4. ღია ცის ქვეშ დაგუბებული და მზეზე გამთბარი წყლით აბდესის აღება;

5. აბდესის აღებისას ძალიან ცოტა, ან ზედმეტი წყლის გამოყენება.

6. აბდესის აღებისას ლაპარაკი;

7. აბდესის სუნნეთების შეუსრულებლობა.

აბდესის მომშლელი ფაქტორები

1. საპირფარეშოს პროცესები და სასქესო ორგანოებიდან სისხლის, ჩირქის, სპერმის და სხვა სახის გამონადენი;

2. ორგანიზმიდან სისხლის, ჩირქის ან ყვითელი სითხის გამოსვლა;

3. პირსავსე ღებინება;

4. ჭკვიდან შეშლა;

5. სიმთვრალე;

6. ზნედა;

7. ორგანიზმიდან გაზების გამოყოფა;

8. მიყრდნობით, დაწოლით, ფეხების გამოწევით ჩათვლემა (ასეთ შემთხვევაში თუ საჯდომი ძირს არის შეხებული აბდესი არ იშლება, თუ ძირს არ არის შეხებული იშლება)

9. თუ პიროვნება ნამაზის ლოცვისას გაიცინებს ნამაზი მოიშლება, და თუ გვერდზე მდგომის გაგონების დონეზე გაიცინებს აბდესიც მოიშლება;

10. კბილებიდან გამომავალი სისხლი თუ ნერწყვის რაოდენობისაა, ან ნერწყვს აღემატება აბდესი მოიშლება. თუ ნაკლებია აბდესი არ მოიშლება.

ფრჩხილების მოჭრით და პირის გაპარსვით აბდესი არ მოიშლება მაგრამ დაბანა საჭიროებს.

აბდესი როგორ აიღება

1. თუ შესამლებელია ყიბლისკენ მიბრუნებით, შემაღლებულ ადგილზე დაჯდომით, გულით აბდესისათვის ნიეთი გაკეთდება და ეღუზუ ბისმილით დაიწყება;

2. ხელები მაჯებამდე დაიბანება, თითები გადაჭდობით დაიბანება (თითები ერთმანეთს შორის მოისმება), ბეჭდის ქვეშ წყალი გატარდება. **(სურათი 1)**;

3. თუ გვაქვს მისვაქით, თუ არა ცერი და საჩვენებელი თითით კბილები გაიწმინდება **(სურათი 2)**. პირი ორჯერ კიდევ გამოივლება;

4. ბისმილით პირში წყალი 3-ჯერ გამოივლება **(სურათი 3)**;

5. ბისმილით ცხვირში წყალი 3-ჯერ მიიწოდება **(სურათი 4)**. თუ მარხული არ არის, წყალი ცხვირში ღრმად მიიწოდება და მარცხენა ხელით მოიწმინდება.

6. თმების დასაწყისიდან ნიკაპის ბოლომდე და ყურების ბიბილოებამდე პირისახე სამჯერ დაიბანება **(სურათი 5)**, წარბების ძირები უნდა დასველდეს;

7. ბისმილით მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავი იდაყვის ჩათვლით სამჯერ დაიბანება, ასევე მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავი დაიბანება **(სურათი 6-7)**;

8. ბისმილით მარჯვენა ხელით თავის ოთხი ნაწილიდან ერთზე მესჰი გაკეთდება **(სურათი 8)**. შემდეგ საჩვენებელი თითით ყურის შიგნითა ნაწილი და ცერა თითით ყურის უკანა ნაწილის მესჰი კეთდება, **(სურათი 9)** ცერი და საჩვენებელი თითის გარდა დანარჩენი სამი თითით კისრის მესჰი კეთდება **(სურათი 10)**.

თავის მთლიანი მესჰის გაკეთება სუნნეთია.

თავის მთლიანი მესჰი შემდეგნაირად კეთდება:

ხელები დაისველება, ცერისა და საჩვენებელი თითის გარდა დანარჩენი სამი თითი წვეროებით შეერთდება, შუბლზე თმის დასაწყისში დაიდება და თითების შიგნითა ნაწილით თავზე ბოლომდე გადაისმება. ხელის გულით, თავის გვერდებზე უკნიდან წინისკენ გადმოისმება. შემდეგ საჩვენებელი თითით ყურის შიგნითა ნაწილის და ცერი თითით უკანა ნაწილის მესჰი, დანარჩენი სამი თითის გარეთა ნაწილით კისერზე მესჰი კეთდება. მესჰი ყელზე არ კეთდება;

9. ფეხები მარცხენა ხელით დაიბანება. დაბანას, ბისმილით მარჯვენა ფეხის თითის წვერებიდან დავიწყებთ. მარცხენა ხელის ნეკა თითს ფეხის თითებს შორის ქვემოდან ზემოთ გავატარებთ. ფეხის თითების დაბანას მარჯვენა ფეხზე ნეკა თითიდან, მარცხენა ფეხზე დიდი თითიდან ვიწყებთ. ასეთნაირად ორივე ფეხი კოჭების ჩათვლით დაიბანება. **(სურათი 11-12)**;

აბდესის აღების დროს ყოველი ორგანოს დაბანვისას ქელიმეი შეჰადეთი იკითხება.

აბდესის შემდეგ ფეხზე მდგომი, ყიბლის მიმართულებით რამდენიმე ყლუპი წყლის დალევა მადლია.

აბდესის შემდეგ სამი რამ მენდუბია:

* ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმა;

* შემდეგი დუის კითხვა:

سُبْحَانَكَ اللّٰهُمَّ وَبِحَمْدِكَ اَشْهَدُ اَنْ لَا اِلٰهَ اِلَّا اَنْتَ
اَسْتَغْفِرُكَ وَاَتُوبُ اِلَيْكَ

სუბხაანექელლააჰუმმე ვებიხემდიქ ეშჰედუ ენ ლაა ილააჰე ილლაა ენთე ესთეღფირუქე ვეეთუუბუ ილეიქე;

* 1, 2 ან 3-ჯერ ყადირ სურას კითხვა.

ყადირ სურა

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ
اِنَّٓا اَنْزَلْنَاهُ فٖى لَيْلَةِ الْقَدْرِ ۚ۞ وَمَٓا اَدْرَاكَ مَا لَيْلَةُ الْقَدْرِ ۜ۞
لَيْلَةُ الْقَدْرِ خَيْرٌ مِنْ اَلْفِ شَهْرٍ ۜ۞
تَنَزَّلُ الْمَلٰٓئِكَةُ وَالرُّوحُ فٖيهَا بِاِذْنِ رَبِّهِمْ ۚ مِنْ كُلِّ اَمْرٍ ۛ۞
سَلَامٌ ۛ هِىَ حَتّٰى مَطْلَعِ الْفَجْرِ ۞

ბისმილლაჰირრახმაანირრახიიმ

1. ინნაააა ენზელნააჰუ ფიი ლეილეთილ ყადრ. 2. ვემაააა ედრააქე მაა ლეილეთულ ყადრ! 3. ლეილეთულ ყადრი ხაირუნ მინ ელფი შეჰრ! 4. თენეზზელულ მელაააიქეთუ ვერრუუხუ ფიიჰაა ბი იზნი რაბბიჰიმ მინ ქულლი ემრ. 5. სელაამუნ ჰიე ხეთთაა მეტლეღილ ფეჯრ.

მნიშვნელობა: ნამდვილად ჩვენ იგი (ყურანი) ყადირის ღამეს გარდმოვავლინეთ. შენ იცი რა არის ყადირის ღამე? ყადირის ღამე, ათას თვეზე უფრო ხეირიანია. იმ ღამეს ალლაჰის ნებით მელაიქები და ჯებრაილი, ყოველი ბრძანების შესრულებისათვის ჩამოვლენ. ის ღამე გარიჟრაჟამდე მშვიდობისა და ბედნიერების ღამეა.



სურათი 1

ხელები მაჯებამდე დაიბანება. თითები გადაჭდობით დაიბანება (თითები ერთმანეთს შორის მოისმება), ბეჭდის ქვეშ წყალი გატარდება.



სურათი 2

მისვაქის გამოყენება აბდესის სუნნეთებიდანაა. მისვაქს მარჯვენა ხელით, ნეკი თითის ზევიდან ცერითა და სხვა თითებით დავიჭერთ და დასველების შემდეგ კბილებზე მარჯვნიდან მარცხნივ გავუსვამთ.



სურათი 3

პირში მარჯვენა ხელით წყლის გამოვლება. მარხულებმა წყალი ბლომად არ უნდა გამოივლონ რათა ყელში არ გადასცდეთ.



სურათი 4

ცხვირში მარჯვენა ხელით წყლის მიწოდება და მარცხენათი მოწმენდა. მარხულებმა ცხვირში წყალი ღრმად არ უნდა გამოივლონ.



სურათი 5

თმების დასაწყისიდან ნიკაპის ბოლომდე და ყურების ბიბილოებამდე პირისახის დაბანა.



სურათი 6

მარჯვენა ხელის მუჭით წყლის აღება და იდაყვისაკენ გადავლება. მარცხენა ხელით, მარჯვენა მკლავის იდაყვის ჩათვლით დაბანა (ისე, რომ მშრალი ადგილი არ დარჩეს).



სურათი 7

მარცხენა ხელის მუჭით წყლის აღება და იდაყვისკენ გადავლება. მარჯვენა ხელით, მარცხენა მკლავის იდაყვის ჩათვლით დაბანა (ისე, რომ მშრალი ადგილი არ დარჩეს).



სურათი 8

მარჯვენა ხელი დაისველება და თავის წინა მხარეს, თმის დასაწყისიდან თავის ერთ მეოთხედზე მესჰი კეთდება (სველი ხელით შეხება).



სურათი 9

საჩვენებელი თითით ყურების შიგნითა ნაწილის, ცერა თითით კი გარეთა ნაწილის მესჰი კეთდება.



სურათი 10

საჩვენებელი და ცერა თითის გარდა, დანარჩენი სამი თითით კისერზე მესჰი კეთდება. ხელის ზურგი არათუ ყელის მიმართულებით, არამედ ყურების გასწვრივ უნდა გავუსვათ.



სურათი 11

მარჯვენა ფეხი მარცხენა ხელით დაიბანება. დაბანას ნეკა თითის წვერიდან დავიწყებთ. მარცხენა ხელის ნეკა თითს ფეხის თითებს შორის ქვემოდან ზემოთ გავატარებთ. ასეთნაირად ფეხი კოჭების ჩათვლით დაიბანება.



სურათი 12

მარცხენა ფეხი მარცხენა ხელით დაიბანება. დაბანას დიდი თითის წვერიდან დავიწყებთ. მარცხენა ხელის ნეკა თითს ფეხის თითებს შორის ქვემოდან ზემოთ გავატარებთ. ასეთნაირად ფეხი კოჭების ჩათვლით დაიბანება.

ღუსლი

ღუსლი - ძილში ან სხვა შემთხვევაში ორგაზმის შემდეგ, მენსტრუაციისა და ლოგინობის ხანის გასვლის შემდეგ, პირისა და ცხვირის ღრუს ჩათვლით მთელი სხეულის გულდასმით დაბანას ნიშნავს.

ღუსლი სქესობრივი კავშირის, ძილში და სხვა შემთხვევაში ორგაზმის, ქალური ციკლის დამთავრების და ლოგინობის ხანის დასრულების შემდეგ გასუფთავების მიზნით აუცილებლად შესასრულებელი სისუფთავეა.

ღუსლის ფარძები

ღუსლის ფარძი სამია:

1. პირის წყლით კარგად გამოვლება.

2. ცხვირის წყლით კარგად გამოვლება.

3. მთელი სხეულის გულდასმით დაბანა.

ღუსლის სუნნეთები

1. ნიეთის გაკეთება
2. ბისმილის თქმა
3. პირველად სასქესო ორგანოების დაბანა
4. ჯერ თავზე, შემდეგ მარჯვენა და მარცხენა მხარზე წყლის სამ-სამჯერ დასხმა და მთლიანად ტანის გულდასმით დაბანვა.

ღუსლის აბდესი როგორ აიღება

სუნნეთის მიხედვით ღუსლის აბდესი ასე აიღება:

1. ნიეთი გაკეთდება. ხელები დაიბანება. პირველ რიგში (სუფთაც რომ იყოს) სასქესო ორგანოები დაიბანება.

2. ბისმილით ნამაზის აბდესის მსგავსად აბდესი აიღება. თუ ფეხებთან წყალი გროვდება, ფეხები ბოლოს დაიბანება, თუ არა და ფეხების დაბანაც საჭიროა.

3. ამ აბდესის აღებისას პირისა და ცხვირის გამოვლების დროს წყალი ბლომად მიიცემა. ამრიგად ღუსლის დროს პირში და ცხვირში ბლომად წყლის მიცემის ფარძიც შესრულებული იქნება.

4. თავზე სამჯერ წყალი დაისხმება და დაიბანება. დაბანისას თმის, ულვაშის და წვერის ქვეშაც წყალი უნდა გატარდეს და დასველდეს.

5. მარჯვენა მხარზე წყალი სამჯერ დაისხმება და დაიბანება.

6. მარცხენა მხარზე წყალი სამჯერ დაისხმება და დაიბანება. მთელი სხეული (ჭიპის ღრუს ჩათვლით), გულდასმით დაიბანება.

ღუსლის აბდესი და კბილის გადაკვრის საკითხი

გამომდინარე იქიდან რომ ხანეფი მეზჰების მიხედვით პირი და ცხვირი სხეულის გარე ნაწილებად ითვლება, ღუსლის აბდესის აღებისას მათი დაბანა (პირისა და ცხვირის წყლით გამოვლება) ფარძია. შაფი მეზჰების მიხედვით კი სუნნეთია.

პიროვნებას რომელსაც კბილი გადაკვრული ან დაპლომბილი აქვს, ღუსლის აბდესის აღებისას დაპლომბილი ან გადაკრული კბილის მხოლოდ გარეთა ნაწილის დაბანა საკმარისია. მაგრამ თუკი მოსახსნელი პროთეზი ექნება, მისი გამოღება და პირის კარგად გამოვლებაა საჭირო.

ეს (დაპლომბილი და გადაკრული კბილის) საკითხი, ისევე დაშვებულია როგორც ჭრილობის სახვევზე მესჰი. როგორც ჭრილობაზე შეხვეული სახვევის შიგნითა ნაწილის დაბანა აუცილებელი არ არის, დაპლომბილი და გადაკრული კბილის შიგნითა ნაწილის დაბანა აუცილებელი არ არის.

კბილის დაპლომბვის საკითხი

გაფუჭებული ან მოტეხილი კბილის დაბჟენა (დაპლომბვა) და გადაკვრა დაშვებულია, მაგრამ უმიზეზოდ, მხოლოდ სილამაზისთვის გადაკვრა დაშვებული არ არის.

ხანეფი მეზჰების მუჯთეჰიდებიდან იმამი მუხამმედის (რახ.) მიხედვით მორყეული კბილის ოქროს მავთულით დამაგრება და ამოღებული კბილის ნაცვლად ოქროს კბილის ჩასმა დაშვებულია. იმამი აღზამ ებუ ხანიფეს მიხედვით კბილზე ოქროს გადაკვრა დაშვებული არ არის, ვერცხლი კი დაშვებულია. იმამი ებუ იუსუფსაც იმამი მუხამმედის (რ.ანჰუმა) მსგავსად უბრძანებია. ოქროს გადაკვრის საკითხში შეგვიძლია იმამი მუხამმედის იჯთიჰადით ვიმოქმედოთ. სწავლულებს ფეტვა იმამი მუხამმედისა და იმამი ებუ იუსუფის იჯთიჰადის (გადაწყვეტილების) მიხედვით გაუციათ.

გამარტივების მიზნით, რელიგიურად მიუღებელ რამეზე დაშვებულიაო ვერ ვიტყვით, ასევე რელიგიურად დაშვებულ რამეზე ეს დაუშვებელიაო ვერ ვიტყვით და ვერ გავართულებთ.

თეიემმუმი

თეიემმუმი ისეთ ადგილზე სადაც წყალი არ მოიპოვება ან გამოყენება შეუძლებელია, ნიეთის შესრულებით (განწმენდის მიზნით) მიწაზე ან მიწური წარმოშობის საგანზე ხელების ორჯერ შეხებას და ჯერ სახეზე, შემდეგ კი მკლავებზე მოსმას ნიშნავს.

თეიემმუმის ფარძები

თეიემმუმის ფარძი ორია:

1 - ნიეთი, 2 - ხელების მიწაზე ორჯერ შეხება და მესჰი.

როგორ კეთდება თეიემმუმი

პიროვნება ღუსლისათვის, ან აბდესის აღებისათვის თუ წყალს ვერ ნახავს ან სხვადასხვა (ავადმყოფობის, მტრის საშიშროების და სხვა) მიზეზის გამო ვერ გამოიყენებს, თეიემმუმს გააკეთებს.

1. თეიემმუმი შემდეგნაირად კეთდება: თეიემმუმის დაწყებისას ნიეთი კეთდება. ეღუზუ-ბისმილა ითქმება. ორივე ხელის გაშლილი თითებით მიწას ან მიწური წარმოშობის საგანს შეეხება, და ხელებს წინ და უკან ამოძრავებს **(სურათი 1).** ხელების აღების შემდეგ, ერთმანეთზე მსუბუქად მირტყმით ზედმეტ მტვერს ჩამოიცილებს **(სურათი 2)**, ორივე ხელს, როგორც აბდესის აღებისას, მთელი სახის ყველა ნაწილზე (წარბებს შორის და თვალების ჩათვლითაც) მოისვამს (**სურათი 3**), ხელებით კვლავ მიწას შეეხება და წინ-უკან ამოძრავებს. ზედმეტი მტვერის მოსაცილებლად ხელებს ისევ ერთმანეთზე მსუბუქად მიარტყამს. მარცხენა ხელის ცერა თითის განცალკევებით, თითების შიგნითა ზედაპირით, მარჯვენა ხელის ზურგზე თითის წვერებიდან იდაყვამდე

მოისვამს (მესჰს გააკეთებს) **(სურათი 4)**, მარცხენა ხელის ცერა და ნეკი თითით გააკეთებს რკალს და მოისვამს მარჯვენა მკლავის შიგნითა მხარეს იდაყვიდან მაჯებამდე. ხოლო მარცხენა ხელის ცერა თითით მარჯვენა ხელის ცერა თითის ზემოდან მესჰს გააკეთებს **(სურათი 5)**, მარჯვენა ხელის შიგნითა ნაწილით, მარცხენა მკლავის გარეთა ნაწილზე იგივე ფორმით მესჰს გააკეთებს **(სურათი 6).** მარჯვენა ხელის ცერა და ნეკი თითის რკალით მარცხენა მკლავის შიგნითა ნაწილზეც იგივე ფორმით მესჰს გააკეთებს **(სურათი 7)**.



სურათი 1

თეიემმუმის დაწყებისას ნიეთს გააკეთებს. ეღუზუ-ბისმილას იტყვის. ორივე ხელის გაშლილი თითებით მიწას ან მიწური წარმოშობის საგანს შეეხება, და ხელებს წინ და უკან ამოძრავებს.



სურათი 2

ხელების აღების შემდეგ, ხელების ერთმანეთზე მსუბუქად მირტყმით ზედმეტ მტვერს ჩამოიცილებს.



სურათი 3

ორივე ხელს, როგორც აბდესის აღებისას, მთელი სახის ყველა ნაწილზე (წარბებს შორის და თვალების ჩათვლითაც) მოისვამს.



სურათი 4

ხელებით კვლავ მიწას შეეხება და წინ-უკან ამოძრავებს. ზედმეტი მტვერის მოსაცილებლად ხელებს ისევ ერთმანეთზე მსუბუქად მიარტყამს. მარცხენა ხელის ცერა თითის განცალკევებით, თითების შიგნითა ზედაპირით, მარჯვენა ხელის ზურგზე თითის წვერებიდან იდაყვამდე მოისვამს (მესჰს გააკეთებს).



სურათი 5

მარცხენა ხელის ცერა და ნეკი თითით გააკეთებს რკალს და მოისვამს მარჯვენა მკლავის შიგნითა მხარეს იდაყვიდან მაჯებამდე. ხოლო მარცხენა ხელის ცერა თითით მარჯვენა ხელის ცერა თითის ზემოდან მესჰს გააკეთებს.



სურათი 6

მარჯვენა ხელის შიგნითა ნაწილით, მარცხენა მკლავის გარეთა ნაწილზე იგივე ფორმით მესჰს გააკეთებს.



სურათი 7

მარჯვენა ხელის ცერა და ნეკი თითის რკალით მარცხენა მკლავის შიგნითა ნაწილზეც იგივე ფორმით მესჰს გააკეთებს.

მესებზე მესჰის გაკეთება

აბდესის აღებისას ფეხზე ჩაცმულ მესებზე მესჰის გაკეთება დაშვებულია.

ამისათვის შემდეგი პირობების დაცვაა საჭირო:

1. მესები აბდესიანზე უნდა იყოს ჩაცმული;

2. მესები ფეხზე ისე უნდა იყოს მორგებული რომ ქუსლსა და კოჭებსაც ფარავდეს. მისით არანაკლებ 12000 ნაბიჯის (დაახლოებით 5 კმ-ის) გავლა უნდა შეიძლებოდეს.

3. მესები სამი (ნეკა) თითის ტოლად გახეული ან გახვრეტილი არ უნდა იყოს;

4. წყალს არ უნდა ატარებდეს და იმდენად სქელი უნდა იყოს რომ შეუკვრელად ფეხზე უნდა ჩერდებოდეს;

5. თუ ფეხის ტერფი მოჭრილი აქვს, ხელის სამი თითის ტოლი მაინც უნდა იყოს დარჩენილი. (თუ ერთი ფეხი მოჭრილი აქვს, მეორე ფეხზე მესჰს ვერ გააკეთებს.)

მესებზე სამი თითის ტოლ ფართობზე სველი ხელით შეხება ფარძია. დასველებული და გაშლილი თითებით, ფეხის თითების წვერებიდან ტერფის მიმართულებით მესჰის გაკეთება კი სუნნეთია.

მესჰის მომშლელი ფაქტორები

აბდესის მომშლელი ფაქტორები მესჰსაც მოშლის. თუ მესჰის ხანგრძლივობის დრო არ არის გასული, აბდესის აღების დროს მესებზე მესჰის გაკეთება შეიძლება.

მესის მომშლელი ფაქტორებია:

1. მესჰის გაკეთების შემდეგ, მესის ფეხიდან გაძრობა.

2. მესებიანი რომელიმე ფეხის უმეტესი ნაწილის დასველება.

3. მესჰის დროის გასვლა (სეფერის გარეშე 24 და მგზავრისა და სტუმრისთვის 72 საათი).

ჭრილობაზე მესჰი

მოტეხილი, ამოვარდნილი, ჭრილობაზე შეხვეული, ან თაბაშირში ჩასმული ორგანოს დაბანვა თუ შეუძლებელია, შეხვეულის უმეტეს ნაწილზე მესჰი კეთდება. თუ მესჰის გაკეთება საზიანო იქნება, მაშინ ესეც არ კეთდება.

შეხვეულზე მესჰი, მესების მსგავსად დროით არ განისაზღვრება. ჭრილობის მორჩენამდე მესჰის გაკეთება დაშვებულია.

შეხვევის წინ აბდესიანი ყოფნა სავალდებულო არ არის. მესჰის შემდეგ თუ შეხვეული გაიხსნება, ან მოიშვებს და ჭრილობიდან გადაიწევს, ან მესჰის შემდეგ თუ სახვევის ზევიდან სახვევის დამატება დაჭირდება, ხელმეორედ მესჰი არ საჭიროებს.

თუ ერთი ფეხი შეხვეული აქვს, მაშინ მეორე ფეხი დაიბანება, შეხვეულზე კი მესჰი გაკეთდება.

ქალებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა

ქალებისათვის დამახასიათებელი სამი მდგომარეობა არსებობს:

1. - ჰაიზი;
2. - ნიფასი;
3. - ისთიჰააზა.

1. ჰაიზი (მენსტრუაცია) - ზრდასრულ ქალებში საშვილოსნოდან ყოველთვიურად გარკვეულ პერიოდში სისხლდენას ნიშნავს. ეს მოწიფულობის პერიოდიდან (არანაკლებ 9 წლიდან) იწყება და 55 წლამდე გრძელდება.

2. ნიფასი - მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოდან სისხლდენას ნიშნავს.

3. ისთიჰააზა - ჰაიზისა და ნიფასის გარდა, საშვილოსნოდან სისხლდენას ნიშნავს. ანუ სისხლდენას რომელიც ჰაიზის დროს სამ დღეზე ნაკლები ან 10 დღეზე მეტი ხნით, ან კიდევ ნიფასის დროს 40 დღეზე მეტი ხნით სისხლდენას ნიშნავს. ასეთი მდგომარეობა, არც ლოცვას და არც მარხვას ხელს არ უშლის. ყოველი ნამაზის დროს აბდესს აიღებს და ნამაზს ილოცავს. ეს ცხვირიდან სისხლდენის მსგავსია.

ჰაიზის ყველაზე მცირე პერიოდი სამი დღე-ღამე და ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი ათი დღე-ღამეა (ათ დღეზე მეტს თუ გაგრძელდება, მაშინ ეს ავადმყოფობად ითვლება). ორ ციკლს შორის პერიოდს "ტუჰური" (სისუფთავის პერიოდი) ჰქვია, რომელიც არანაკლებ 15 დღეა. სისუფთავის ყველაზე დიდი პერიოდი კი განსაზღვრული არ არის. ქალი შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში უჰაიზო, ე.ი. სუფთა იყოს.

ნიფასის ყველაზე მოკლე პერიოდისთვის საზღვარი არ არის დადგენილი. ზოგიერთ ქალს მშობიარობის შემდეგ სისხლდენა მალე უწყდება. ასეთ შემთხვევაში უნდა

დაიბანოს და ლოცვა და სხვა ღიბაადეთი გააგრძელოს. ნიფასის ხანგრძლივობა მშობიარობიდან არაუმეტეს 40 დღეა.

თუ ქალს ტყუპები შეეძინება, ნიფასის დრო პირველი ტყუპის დაბადებიდან განისაზღვრება.

ყველა ქალისთვის ჰაიზის დღეების რაოდენობა განსაზღვრულია. თუ ამ დროის განმავლობაში ზოგ დღეს სისხლდენა არ აქვს, მაინც ჰაიზიანად ითვლება. მაგ: თუ ჰაიზი ხუთი დღეა, მაგრამ მესამე ან მეოთხე დღეს სისხლდენა შეწყდა, ეს დღეებიც ჰაიზიანად ითვლება.

ჰაიზის დამთავრების ნიშნად გამონადენის გათეთრებაა საჭირო. გამონადენი შეიძლება იყოს როგორც სისხლის ფერი, ასევე მიწის ფერი, მწვანე, ყვითელი და შავიც.

ზოგიერთი ქალის მენსტრუაციის დღეთა რაოდენობა ცვალებადია. მაგ: შეიძლება ერთ თვეს იყოს 6 დღე, მეორე თვეს 5 დღე. ამ შემთხვევაში სისხლდენის შეწყვეტის დღეს ქალი გასუფთავდება, ნამაზს ილოცავს, იმარხავს, მაგრამ ჰაიზის დროის გასვლამდე ქმართან სქესობრივი კავშირისგან თავს შეიკავებს.

ზოგიერთი ქალის მენსტრუაციის დღეთა რაოდენობა უცვლელია. მაგალითად, შეიძლება იყოს ექვსი, შვიდი, ან ცხრა დღე... ციკლის ხანგრძლივობა პირველი ციკლიდან განისაზღვრება. ე.ი. გოგოს პირველი მენსტრუაცია თუ 7 დღე გაგრძელდა, მისი მენსტრუაციის ხანგრძლივობა 7 დღით განისაზღვრება.

ზოგჯერ ქალების მენსტრუაციის ხანგრძლივობა იცვლება. მენსტრუაციის დღეთა რაოდენობის განსაზღვრისთვის, ორჯერ ზედიზედ ხანგრძლივობა აიღება. მაგ: ყოველ თვეს ექვსდღიანი ხანგრძლივობის მქონე ქალს, ზედიზედ ორ თვეს თუ 8 დღე მენსტრუაციის ხანგრძლივობა ექნება, მაშინ მისი მენსტრუაციის დღეთა რაოდენობა 8 დღით განისაზღვრება.

ჰაიზიანი და ნიფასიანი რის გაკეთება არ შეიძლება (ჰარამია)

1. ნამაზის ლოცვა. ჰაიზიანი და ნიფასიანი ქალები ნამაზს ვერ ილოცავენ. ჰაიზისა და ნიფასის დროს გამოტოვებული ნამაზები შემდეგში არ ილოცვება (ანაზღაურება არ არის საჭირო). თილავეთისა და შუქურის სეჯდეც არ კეთდება. მაგრამ თუ სურვილი აქვს, შეუძლია ნამაზის დროის მოსვლისას სალოცავზე დაჯდეს და თესბიხები (ესთეღფირულლაჰ, სუბხაანელლაჰ, ელხამდელილლაჰ და სხვა) იკითხოს.

2. მარხვა. ჰაიზიანი და ნიფასიანი მარხვა დაუშვებელია. მაგრამ დროის გასვლისა და გასუფთავების შემდეგ, ხელსაყრელ დროს უწყვეტად ან ნაწილნაწილ რამაზნის მარხვის გამოტოვებულ დღეებს აანაზღაურებს.

3. ყურანიდან რომელიმე აიათის კითხვა. მხოლოდ ვედრების აიათები და დუა აიათები დუის ნიეთით იკითხება. ბრძანებისა და ამბის გადმომცემი აიათები დუის ნიეთითაც რომ იყოს, არ იკითხება.

4. ყურანი ქერიმზე შეხება - ყურანი ქერიმის ან რომელიმე აიათის ხელში აღება დაუშვებელია. ქაღალდზე, ტილოზე ან კედელზეც, რომ იყოს დაწერილი, შიშველი ხელით ვერ შეეხება. რაიმე საგნით ან ნაჭრით შეხება დაშვებულია. ჩაცმული ტანსაცმლის ბოლოთი შეხება კი თახრიმენ მექრუჰია.

5. ჯამეში ან მესჯიდში შესვლა.

6. ქააბეს ირგვლივ ტავაფის შესრულება.

7. მეუღლესთან სქესობრივი კავშირის დამყარება.

8. ქმრის მიერ, ქალის ჭიპიდან მუხლებამდე შიშველ სხეულზე შეხება (მოფერება) დაუშვებელია.

ჰაიზიანი და ნიფასიანი მეუღლესთან ერთ ლოგინში დაწოლა შეიძლება, საჭმლის გაკეთებაც შეიძლება.

ნეჯასეთიდან თაჰარეთი (სიბინძურისგან გასუფთავება)

ნამაზის (ლოცვის) მეორე პირობა ნეჯასეთიდან თაჰარეთია. ნამაზის სალოცავ ადგილზე, სხეულზე, ან ტანსაცმელზე ნამაზისათვის მიუღებელი სიბინძურე თუ არის, მისი გასუფთავებაა საჭირო.

ნეჯასეთი ორნაირია:

1. მძიმე ნეჯასეთი (ღალიზა): ადამიანის წინიდან და უკნიდან გამოსული სიბინძურეები; ხორცი რომ არ იჭმება ისეთი ცხოველების შარდი, ფეკალები, დორბლი; ქათმის ბატისა და იხვის სკინტლი; სისხლი; ჩირქი; მენი; მეზი; ვედი; პირსავსე ღებინება; ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები. შარდის, სისხლის და ჩირქის მსგავსი სითხეები ხელის გულზე მეტი თუ იქნება, ხოლო ფეკალები (3,2 გრამზე) მეტი თუ იქნება - ნამაზს ხელს შეუშლის. სიბინძურეები ერთ ადგილას იქნება თუ ცალ-ცალკე მნიშვნელობა არ აქვს, დასუფთავება ფარძია.

2. მსუბუქი ნეჯასეთი (ხაფიფე): ცხენის შარდი; ისეთი შინაური და გარეული ცხოველების განავალი, რომელთა ხორცი იჭმება; ისეთი ფრინველების სკინტლი, რომელთა ხორცი არ იჭმება. თუ ამ სიბინძურეებით დასვრილია სხეულის რომელიმე ორგანო ან ტანსაცმლის 1/4 -ზე მეტი, ნამაზის ლოცვას ხელს შეუშლის და დასუფთავება ფარძია.

ისთინჯა, ისთინყა, ისთიბრა

ისთინჯა: ტუალეტის პროცესების შემდეგ სიბინძურის გამოსული ადგილების გასუფთავებაა.

ისთინყა: ისთინჯაზე დამატებით სისუფთავის გაკეთებაა. ე.ი. ჯერ მშრალი საგნით (ქაღალდით) სიბინძურის მოწმენდა, შემდეგ წყლით დაბანვა და შემდეგ გამშრალებაა.

ისთიბრა: მამაკაცის მიერ მოშარდვის შემდეგ, შარდსადენი მილის სრულად გასუფთავებაა. ეს კი დახველებით, გვერდზე გადახრითა და დაყრდნობით, რამდენიმე ნაბიჯის გავლით(და სხვა ხერხებით)-აა შესაძლებელი.

სეთრი ავრეთი

ნამაზის მესამე პირობა სეთრი ავრეთია. ე.ი. ლოცვაში, დასაფარავი ადგილების დაფარვაა. ეს, სხეულის ის ნაწილებია რომლების სხვაზე ჩვენებაც და სხვების მიერ შეხედვაც ჰარამია. კაცებისთვის ეს ჭიპიდან მუხლების ჩათვლითაა. ქალებისთვის კი მაჯებამდე ხელები, კოჭებამდე ფეხები და პირისახის გარდა მთელი სხეულია

ისთიყბალი ყიბლე (ყიბლისკენ მიბრუნება)

ნამაზის მეოთხე პირობა ისთიყბალი ყიბლეა. ე.ი. ნამაზის ლოცვისას ყიბლეს (ქაბეს) მიმართულებით დგომა.

ისთიყბალი ყიბლე ვინც მექქეში იმყოფება და ქააბეს ხედავს, მათთვის ზუსტად ქააბესკენ მიბრუნებაა. შორს მყოფებისათვის (ქააბეს ვინც ვერ ხედავს), ქააბეს მიმართულებით მიბრუნება საკმარისია.

ვაქით

ნამაზის მეხუთე პირობა ვაქით (დროა). ე.ი. ყველა ნამაზის თავის დროზე ლოცვაა. ნამაზის ყველა დრო კალენდრებში მოცემულია. დროის მოსვლამდე ნალოცი ნამაზი შესრულებულად არ ჩაითვლება.

ქერააჰეთი (მექრუჰი) დროები

სამი დრო არსებობს, როდესაც ნამაზის ლოცვა მექრუჰია:

1. მზის ამოსვლის შემდეგ, (დაახლოებით 40-50 წუთის განმავლობაში)

2. როცა მზე ზენიტში იმყოფება, (შუადღის ნამაზის დროის დადგომამდე დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში)

3. მზის ჩასვლისას, (საღამოს ნამაზის დროის დადგომამდე 45 წუთის განმავლობაში). ამ დროს მხოლოდ იმ დღის იქინდი ნამაზის ფარძი ილოცება.

ამ სამ დროში: გავლილი ფარძი ნამაზები, ვააჯიბი ნამაზები და მექრუჰის დრომდე მომზადებული ჯანაზა ნამაზი არ ილოცვება. ასევე, ადრე ნაკითხი თილაავეთ სეჯდეც არ გაკეთდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელმეორედ გაკეთებას საჭიროებს. ამ სამ დროში ნააფილე ნამაზიც არ ილოცვება, თუმცა ლოცვის შემთხვევაში ხელმეორედ ლოცვას არ საჭიროებს.

მექრუჰის დროებში ყურანის კითხვა და ზიქრის გაკეთება შეიძლება.

დილის ნამაზის ლოცვის დროის დადგომიდან მზის ამოსვლამდე (დილის ნამაზის სუნნეთის გარდა) ნააფილე ნამაზის ლოცვა მექრუჰია.

იქინდი ნამაზის ლოცვის შემდეგაც მზის ჩასვლამდე ნააფილე ნამაზის ლოცვა მექრუჰია.

ეზანი და ყამეთი

ნამაზისათვის ეზნის კითხვა ვაჯიბის ტოლფასი სუნნეთი მუექქედეა. ნამაზის დროის მოსვლა ეზნით იტყობინება. დღე-ღამეში 5 დროის ნამაზისთვის 5-ჯერ ეზანი იკითხება.

اَللّٰهُ اَكْبَرُ اَللّٰهُ اَكْبَرُ. اَللّٰهُ اَكْبَرُ اَللّٰهُ اَكْبَرُ.

اَشْهَدُ اَنْ لٰا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ. اَشْهَدُ اَنْ لٰا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ.

اَشْهَدُ اَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللّٰهِ. اَشْهَدُ اَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللّٰهِ.

حَيَّ عَلَى الصَّلٰاةِ. حَيَّ عَلَى الصَّلٰاةِ.

حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ. حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ.

اَللّٰهُ اَكْبَرُ اَللّٰهُ اَكْبَرُ. لٰا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ.

ეზანი

ელლაჰუ ექბერ	(4-ჯერ)
ეშჰედუ ენ ლააილააჰე ილლელლააჰ	(2-ჯერ)
ეშჰედუ ენნე მუხამმედენ რასულულლააჰ	(2-ჯერ)
ხაია ღალესსელააჰ	(2-ჯერ)
ხაია ღალელფელაახ	(2-ჯერ)
ელლაჰუ ექბერ	(2-ჯერ)
ლააილააჰე ილლელლააჰ	(1-ჯერ)

მნიშვნელობა: ელლაჰუ თეღალა უდიდესია,

მოწმე ვარ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა,

მოწმე ვარ, რომ მუხამმედი ალლაჰის რესულია (მოციქულია),

მოდით ნამაზზე (ლოცვაზე),

მოდით ფელახზე (გადარჩენაზე),

ელლაჰუ თეღალა უდიდესია,

არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა.

დილის ნამაზის ეზნის კითხვისას ხაია ღალელფელაახის შემდეგ ორჯერ **„ესსელაათუ ხაირუნ მინენ ნევმ“**, (ნამაზი ძილზე ხეირიანია) ითქმება.

ყამეთიც ეზნის მსგავსია, მაგრამ ხაია ღალელფელაახის შემდეგ **„ყედყაამეთისსალააჰ“** (ნამაზი დაიწყო) ითქმება.

სახლში, ან გარეთ ნამაზისათვის თან ეზნის, თან ყამეთის კითხვა უკეთესია. ნამაზის დროის შესვლამდე ეზანი არ იკითხება. ეზანი დროის კი არა, ნამაზის სუნნეთია. ამიტომ გავლილი ნამაზებისთვის ეზნისა და ყაამეთის კითხვაც სუნნეთია. უცოდინრებისა და ფაასიყების (აშკარად ცოდვების ჩამდენის) მიერ ეზნის კითხვა მექრუჰია. ბავშვი რომელიც კარგსა და ცუდს, სწორსა და არასწორს გაარჩევს, ეზნის კითხვა შეუძლია.

ქალების მიერ ეზნისა და ყამეთის კითხვა მექრუჰია.

ეზნისა და ყამეთის კითხვის დროს, წინადადებების ბოლოში არსებული ბგერები ჯეზიმით უნდა ვიკითხოთ. ეზნის კითხვისას მსმენელმა თექბირები და შეჰადეთი უნდა გაიმეოროს, ყურადღებით უნდა მოისმინოს და დასრულების შემდეგ, შემდეგი დუა იკითხოს:

اَللّٰهُمَّ رَبَّ هٰذِهِ الدَّعْوَةِ التَّامَّةِ وَالصَّلٰاةِ الْقَائِمَةِ
اٰتِ مُحَمَّدًا اِلْوَسِيلَةَ وَالْفَضِيلَةَ
وَابْعَثْهُ مَقَامًا مَحْمُودًا اِلَّذِى وَعَدْتَهُ
اِنَّكَ لَا تُخْلِفُ الْمِيعَادَ ۞

ელლაჰუმმე რაბბე ჰააზიჰიდ-დაღვეთით თაამმეჰ ვესსალაათილ-ყააიმეჰ, აათი მუხამმედენილ-ვესიილეთე ველ-ფადიილეთე ვებღასჰუ მეყაამენ მახმუუდენილლეზიი ვეღათთეჰუუ, ინნექე ლაა თუხლიფულ-მიიღაად.

მნიშვნელობა:

ჰეი ჩემო ალლაჰო, ამ სრულყოფილი მიპატჟების (ეზნის) და სალოცავი ნამაზის პატრონო. ჩვენ ფეიღამბერს ხზ. მუხამმედ (ს.ა.ვ)-ს ვესილე (ჯენნეთში ყველაზე მაღალი საფეხური) და ფაზილეთი (ადამიანებს შორის ყველაზე დიდი სიმვირფასე) მიეცი და აამაღლე. მასზე დაპირებული მაყამი მახმუდი (შეფაღეთის გაწევის უფლება) არგუნე. უეჭველად! შენ დანაპირებს არ გადაუხვევ.

ნიეთი

ნამაზის მეექვსე პირობა ნიეთია, ე.ი. ალლააჰუ თეღალას წყალობისათვის, უნდა ვიცოდეთ რომელი ნამაზი უნდა ვილოცოთ და ნიეთი უნდა გავაკეთოთ.

ნიეთი გულით კეთდება. ამასთან ერთად ენით წარმოთქმაც დაშვებულია. მაგრამ ნიეთს თუ მხოლოდ ენით ვიტყვით და გულით არა, მაშინ ნამაზისათვის ნიეთი გაკეთებულად არ ჩაითვლება.

ხზ. იმამი რაბბანი ბრძანებს: “ადამიანთა უმრავლესობა ნიეთს მხოლოდ ენით აკეთებს და გულით არა. ასეთნაირად ნამაზის ფარძებიდან ერთერთი, გულით ნიეთი არ სრულდება და ნამაზი მიღებული არ არის. შესაბამისად, ნიეთი გულით უნდა გაკეთდეს." (მექთუბაათი, პირველი ტომი, 186-ე წერილი)

ფარძი ნამაზების, ბაირამის და ვითრი ნამაზებისთვის ნიეთის გაკეთებისას, რომელ ნამაზსაც ლოცულობს აღნიშვნა საჭიროა.

ნაფილე ნამაზების დროს მხოლოდ ნამაზის ნიეთი საკმარისია.

ნამაზის შიგნითა ფარძები

ნამაზის შიგნითა ფარძები ექვსია:

1) იფთითახ თექბირი;
2) ყიამი;
3) ყირაათი;
4) რუქუღი;
5) სეჯდე;
6) ყაადეი აახირე.

იფთითახ თექბირი (ელლაჰუ ექბერ თქმით დაწყება)

ნამაზის შიგნითა ფარძებიდან პირველი იფთითახ თექბირი, ე.ი. ნამაზის ’’ალლააჰუ ექბერ‘‘ თქმით დაწყებაა. თექბირის დაწყებისას სიტყვის პირველი მარცვალი გაგრძელებით (ანუ ააალლაჰუ) არ უნდა ვთქვათ. ამის გამკეთებელი ნამაზის დამწყებად არ ითვლება და თუ ნამაზის ლოცვისას იტყვის, ნამაზი მოეშლება. ე.ი. უნდა თქვას ,,ელლააჰუ ექბერ’’ და არა ,,ააელლაჰუ ექბერ’’.

ყიამი (ფეხზე დგომა)

ნამაზის შიგნითა ფარძებიდან მეორე ყიამი, ე.ი. ფეხზე დგომაა. ფეხზე დგომა ფარძი და ვაჯიბი ნამაზებისთვის აუცილებელია. თუ საპატიო მიზეზით მლოცველს ფეხზე დგომა არ შეუძლია, დამჯდარი ან დაწოლილიც ნამაზი ილოცვება, ვისაც ფეხზე დგომის შესაძლებლობა აქვსმისთვის დამჯდარი ლოცვა დაუშვებელია.

ყირაათი (ყურანის კითხვა)

ნამაზის შიგნითა ფარძებიდან მესამე ყირაათია. ესეც მლოცველის თავის გასაგონად ყურანის აიეთების კითხვაა. იკითხება არანაკლებ სამი პატარა აიეთი, ან სამი აიეთის ტოლი ერთი დიდი აიეთი.

ყურანის კითხვა ვითრისა და ნაფილე ნამაზების და ორ რექაღათიანი (მუხლიანი) ფარძების ყველა რექაღათზე ფარძია. ოთხ რექაღათიან ფარძი ნამაზების დროს კი მხოლოდ ორ რექაღათზეა ფარძი.

ნამაზის ლოცვისას საკითხავი ზოგიერთი სურეები და აიეთები

სურა ფათიხა

اَعُوذُ بِاللّٰهِ مِنَ الشَّيْطَانِ الرَّجِيمِ بِسْـمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمِينَۙ ۞ اَلرَّحْمٰنِ الرَّحِيمِۙ ۞

مَالِكِ يَوْمِ الدِّينِؕ ۞ اِيَّاكَ نَعْبُدُ وَاِيَّاكَ نَسْتَعِينُؕ ۞

اِهْدِنَا الصِّرَاطَ الْمُسْتَقِيمَۙ ۞ صِرَاطَ الَّذِينَ اَنْعَمْتَ

عَلَيْهِمْۙ غَيْرِ الْمَغْضُوبِ عَلَيْهِمْ وَلَا الضَّٓالِّينَ ۞

اٰمِينَ

ეღუუზუ ბილლააჰი მინეშშეიტაანირრაჯიიმ ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1. ელხამდუ ლილლააჰი რაბბილ ღაალემიინ. 2. ერრახმაანირრახიიმ. 3. მაალიქი იევმიდდიინ. 4. იიაქე ნეღბუდუ ვეიიაქე ნესთეღიინ. 5. იჰდინე სსირაატელ მუსთეყიიმ. 6. სირაატელლეზიინე ენღამთე ღალეიჰიმ ღაირილ მეღდუუბი ღალეიჰიმ ველედდააააალლიინ. აამიინ.

მნიშვნელობა:

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით.

ქება-დიდება სამყაროთა ბატონ-პატრონს, მოწყალესა და მწყალობელს, რელიგიის დღის (განკითხვის დღის) პატრონს. მხოლოდ და მხოლოდ შენს წინაშე იბადეთს

შევასრულებთ და დახმარებას მხოლოდ და მხოლოდ შენგან მოვითხოვთ. ჩვენ სწორ გზაზე დაგვაყენე, მათ გზაზე ვისაც შენ სიკეთე უბოძე. და არა მათ გზაზე, ვისაც შენი რისხვა დაატყდა და ვინც მცდარ გზაზე იმყოფება. აამიინ.

აიეთუ'ლ ქურსი

بِسْــمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اَللّٰهُ لَٓا اِلٰهَ اِلَّا هُوَۚ اَلْحَيُّ الْقَيُّومُۚ لَا تَأْخُذُهُ سِنَةٌ وَلَا نَوْمٌۜ لَهُ مَا فِي السَّمٰوَاتِ وَمَا فِي الْاَرْضِۜ مَنْ ذَا الَّذ۪ي يَشْفَعُ عِنْدَهُٓ اِلَّا بِاِذْنِه۪ۜ يَعْلَمُ مَا بَيْنَ اَيْد۪يهِمْ وَمَا خَلْفَهُمْۚ وَلَا يُح۪يطُونَ بِشَيْءٍ مِنْ عِلْمِه۪ٓ اِلَّا بِمَا شَٓاءَۚ وَسِعَ كُرْسِيُّهُ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضَۚ وَلَا يَؤُ۫دُهُ حِفْظُهُمَاۚ وَهُوَ الْعَلِيُّ الْعَظ۪يمُ ۞

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

ელლააჰუ ლაააა ილააჰე ილლააჰუ ველხაიიულ ყაიიუუმუ, ლაა თე'ხუზუჰუუ სინეთუნ ველაა ნევმ. ლეჰუუ მააფისსემაავაათი ვემაა ფილ ერდ. მენზელლეზიი იეშფეღუ ღინდეჰუუუუ ილლაა ბი'იზნიჰ. იეღლემუ მაა ბეინე ეიდიიჰიმ ვემაა ხალფეჰუმ, ველაა იუხიიტუუნე ბიშეი'ინ მინ ღილმიჰიიიი ილლაა ბიმააშააააე, ვესიღე ქურსიიუჰუ სსემაავაათი ველ ერდ, ველაა იე'უუდუჰუუ ხიფზუჰუმაა, ვეჰუველ ღალიიულ ღაზიიმ.

მნიშვნელობა:

არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა. ის მუდმივად ცოცხალია და ყაიიუუმია (ყოველი გაჩენილი მასზეა დამოკიდებული). მას არც თვლემა მოერევა, და არც დაეძინება. რაც ცასა და დედამიწაზეა ყველაფერი მას ეკუთვნის. მისი ნებასურვილის გარეშე მის წინაშე ვერავინ იშუამდგომლებს. მან მისი მორჩილის გაკეთებული თუ გასაკეთებელი ყველაფერი იცის. ისინი მისი ცოდნისგან მხოლოდ იმდენს მიიღებენ რამდენსაც თვითონ ისურვებს. მისი ძლევამოსილება ცასა და დედამიწას მოიცავს. მათი დაცვა მას არ გაურთულდება. ის უზენაესია, დიდებულია.

სურა ინშირახ (ელემ ნეშრახ ლექე...)

بِسْـمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّح۪يمِ

اَلَمْ نَشْرَحْ لَكَ صَدْرَكَۙ ۝ وَوَضَعْنَا عَنْكَ وِزْرَكَ ۝ اَلَّذ۪ٓي

اَنْقَضَ ظَهْرَكَۙ ۝ وَرَفَعْنَا لَكَ ذِكْرَكَۜ ۝

فَاِنَّ مَعَ الْعُسْرِ يُسْرًاۙ ۝ اِنَّ مَعَ الْعُسْرِ يُسْرًاۜ ۝

فَاِذَا فَرَغْتَ فَانْصَبْۙ ۝ وَاِلٰى رَبِّكَ فَارْغَبْ ۝

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

ელემ ნეშრახლექე სადრაქ. ვევედელნაა ღენქე ვიზრაქ. ელლეზიი ენყადაზაჰრაქ. ვერეფელნა ლექე ზიქრაქ. ფეინნე მეღელ ღუსრი იუსრაა. ინნე მეღელ ღუსრი იუსრაა. ფეიზაა ფერაღთე ფენსაბ. ვე ილაა რაბბიქე ფერღაბ.

მნიშვნელობა:

ჩვენ შენ გული არ გაგიხსენით? შენ მძიმე ტვირთი არ ჩამოგხსენით? შენი ღირსება არ ავამაღლეთ? ე.ი. ყოველ სირთულესთან (ერთი) სიადვილეც არის. დიახ ერთ სირთულესთან, (ორი) სიადვილეც არის. ამიტომ როცა მოიცლები ისევ ადექი და იშრომე. და მხოლოდ შენი ღმერთისკენ ისწრაფე.

სურა ფილ (ელემ თერა...)

بِسْــمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اَلَمْ تَرَ كَيْفَ فَعَلَ رَبُّكَ بِاَصْحَابِ الْفِيلِ ۜ ۞ اَلَمْ يَجْعَلْ كَيْدَهُمْ فٖى تَضْلٖيلٍ ۙ ۞ وَاَرْسَلَ عَلَيْهِمْ طَيْرًا اَبَابٖيلَ ۙ ۞ تَرْمٖيهِمْ بِحِجَارَةٍ مِنْ سِجّٖيلٍ ۙ ۞ فَجَعَلَهُمْ كَعَصْفٍ مَاْكُولٍ ۞

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1. ელემთერა ქეიფე ფეღელე რაბბუქე ბი'ესხააბილ ფიილ. 2. ელემ იეჯღელ ქეიდეჰუმ ფიი თედლიილ. 3. ვე'ერსელე ღელეიჰიმ ტაირან ებააბიილ. 4. თერმიიჰიმ ბიხიჯაარათინ მინ სიჯჯიილ. 5. ფეჯეღელეჰუმ ქეღესფინ მე'ქუულ.

მნიშვნელობა:

(ქაბეს გასანადგურებლად მოსულ) სპილოს პატრონებს ღმერთი როგორ მოექცა ვერ დაინახე? მათი ცუდი ზრახვები ამაოდ არ დატოვა? მათ თავს ებაბილის ჩიტები ჯგუფ-ჯგუფად გაუგზავნა (შეუსია). ის ჩიტები მათ გამომწვარ თიხის ქვებს უშენდენ. ბოლოს ისინი ღმერთმა ყანის შეჭმული ნათესის ფოთლებს დაამსგავსა.

სურა ყურეიშ (ლი იილააფი...)

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

لِاِيلَافِ قُرَيْشٍ ۝ اِيلَافِهِمْ رِحْلَةَ الشِّتَاءِ وَالصَّيْفِ ۝ فَلْيَعْبُدُوا رَبَّ هٰذَا الْبَيْتِ ۝ اَلَّذٖى اَطْعَمَهُمْ مِنْ جُوعٍ وَاٰمَنَهُمْ مِنْ خَوْفٍ ۝

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1, ლი იილააფი ყურაიიშ. 2. იილააფიჰიმ რიხლეთე შშითაააა'ი ვესსაიიფ. 3. ფელიელბუდუუ რაბბე ჰააზელ ბეით. 4. ელლეზიიიი ეტღემეჰუმ მინ ჯუუღინ ვე აამენეჰუმ მინ ხავფ.

მნიშვნელობა:

ყურეიშლების სიკეთისათვის. იმისათვის რომ ზამთარ-ზაფხულს უსაფრთხოდ გადაადგილდებიან. ამ სახლის (ქაბეს) პატრონს იბადეთი გაუკეთონ, რომელმაც ისინი როდესაც შიოდათ დააპურა და დაიცვა შიშისაგან.

სურა მააუნ (ერაეითელლეზი...)

بِسْـمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اَرَاَيْتَ الَّذٖى يُكَذِّبُ بِالدّٖينِۜ ۞ فَذٰلِكَ الَّذٖى يَدُعُّ الْيَتٖيمَۙ ۞ وَلَا يَحُضُّ عَلٰى طَعَامِ الْمِسْكٖينِۜ ۞ فَوَيْلٌ لِلْمُصَلّٖينَۙ ۞ اَلَّذٖينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَۙ ۞ اَلَّذٖينَ هُمْ يُرَاۤؤُ۫نَۙ ۞ وَيَمْنَعُونَ الْمَاعُونَ ۞

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1. ერაეითელლეზიი იუქეზზიბუ ბიდდიინ. 2. ფეზაალიქელლეზიი იედუღღულ იეთიიმ. 3. ველაა იეხუდდუ ღალაა ტაღაამილ მისქიინ. 4. ფევეილუნ ლილ მუსალლიინ. 5. ელლეზიინე ჰუმ ღან სალაათიჰიმ სააჰუუნ. 6. ელლეზიინე ჰუმ იურააააუუნ. 7. ვეიემნეღუუნ ელმააღუუნ.

მნიშვნელობა:

დაინახე ის ვინც რელიგიას უარყოფს? სწორედ ის არის ვინც ობოლს ხელს კრავს და არ მოუწოდებს ღარიბნი დააპუროს. სირცხვილი იმ ნამაზის მლოცველებს. ისინი ვინც ნამაზის მიმართ უგულისყურონი არიან. ისინი რომლებიც (ღვთისმსახურებას) სხვის დასანახად ასრულებენ და ზექათს არ გასცემენ.

სურა ქევსერ (ინნაა ეღტაინა...)

بِسْــمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّح۪يمِ

اِنَّٓا اَعْطَيْنَاكَ الْكَوْثَرَۜ ❁ فَصَلِّ لِرَبِّكَ وَانْحَرْۜ ❁

اِنَّ شَانِئَكَ هُوَ الْاَبْتَرُ ❁

ბისმილლაჰირრახმაანირრახიიმ

1, ინნაააა ეღტაინაა ქელ ქევსერ. 2. ფესალლი ლირაბბიქე ვენხარ. 3. ინნე შაანი’ექე ჰუველ ებთერ.

მნიშვნელობა:

უეჭველად ჩვენ შენ ქევსერი გიბოძეთ. ასე რომ შენი ღმერთის წინაშე ილოცე და ყურბანი დაკალი. უეჭველად შენი მოძულეა უშთამომავლო.

სურა ქააფირუნ (ყულ იაა...)

بِسْــمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّح۪يمِ

قُلْ يَٓا اَيُّهَا الْكَافِرُونَۙ ❁ لَٓا اَعْبُدُ مَا تَعْبُدُونَۙ ❁

وَلَٓا اَنْتُمْ عَابِدُونَ مَٓا اَعْبُدُۚ ❁ وَلَٓا اَنَا عَابِدٌ مَا عَبَدْتُمْۙ ❁

وَلَٓا اَنْتُمْ عَابِدُونَ مَٓا اَعْبُدُۜ ❁ لَكُمْ د۪ينُكُمْ وَلِيَ د۪ينِ ❁

ბისმილლაჰირრახმაანირრახიიმ

ყულ’იაააა ეიიუჰელ ქააფირუუნ. 2. ლაააა ეღბუდუ მა თეღბუდუუნ. 3. ველაააა ენთუმ ღააბიდუუნე მაააა ეღბუდ. 4. ველაააა ენე ღააბიდუნ მაა ღაბედთუმ. 5. ველაააა ენთუმ ღააბიდუუნე მაააა ეღბუდ. 6. ლექუმ დიინუქუმ ველიიედიინ.

მნიშვნელობა:

(ეი მუხამმედ) უთხარი, რომ ეი ურწმუნოებო! თქვენს სათაყვანოს მე თაყვანს არ ვსცემ. ჩემს სათაყვანოზეც თქვენ თაყვანისმცემელი არ ხართ. მეც თქვენს სათაყვანოზე, თაყვანისმცემელი არ ვარ. ჩემს სათაყვანოზეც, თქვენ თაყვანს არ სცემთ. თქვენი რჯული თქვენთვისაა, ჩემი რჯული ჩემთვისაა.

სურა ნასრ (იზაა ჯაა'ე...)

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

اِذَا جَٓاءَ نَصْرُ اللّٰهِ وَالْفَتْحُ ۝ وَرَاَيْتَ النَّاسَ يَدْخُلُونَ فٖى دٖينِ اللّٰهِ اَفْوَاجًا ۝ فَسَبِّحْ بِحَمْدِ رَبِّكَ وَاسْتَغْفِرْهُ اِنَّهُ كَانَ تَوَّابًا ۝

ბისმილლაჰირრახმანირრახიიმ

1, იზააჯააააე ნესრულლააჰი ველფეთხ. 2. ვერა ეითე ნნაასე იედხულუუნე ფიი დიინილლააჰი ეფვააჯა. 3. ფესებბიხ ბიხამდი რაბბიქე ვესთეღფირჰუ! ინნეჰუუ ქაანე თევვააბაა.

მნიშვნელობა:

როცა ალლაჰის დახმარება მოვა და გამარჯვების დღე დადგება, როცა ალლაჰის სარწმუნოებაში ადამიანების ჯგუფ-ჯგუფად შესვლას დაინახავ, ალლაჰი ხამდით (დიდებით) მოიხსენე, მისგან პატიება ითხოვე, უეჭველად ის თევბეების (მონანიების) ყოველთვის მიმღებია.

სურა თებბეთ (თებბეთ იედაა...)

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّح۪يمِ

تَبَّتْ يَدَٓا اَب۪ي لَهَبٍ وَتَبَّۜ ❁ مَٓا اَغْنٰى عَنْهُ مَالُهُ وَمَا كَسَبَۜ ❁

سَيَصْلٰى نَارًا ذَاتَ لَهَبٍۚ ❁ وَامْرَاَتُهُۜ حَمَّالَةَ الْحَطَبِۚ ❁

ف۪ي ج۪يدِهَا حَبْلٌ مِنْ مَسَدٍ ❁

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1, თებბეთ იედაააა ებიი ლეჰებინ ვეთებბ. 2. მაააა ეღნაა ღენჰუ მაალუჰუუ ვემაა ქესებ. 3. სეიესლაა ნარენ ზაათელეჰებ. 4. ვემრაეთუჰუ! ხემმა ლეთელ ხეტაბ. 5. ფიიჯიიდიჰაა ხებლუნ მინ მესედ.

მნიშვნელობა:

ებუ ლეჰებს ორივე ხელი გაუხმეს. გაუხმა კიდეც. მას ვერც ქონებამ და ვერც მონაპოვარმა სარგებელი ვერ მისცა. ის აგიზგიზებულ ცეცხლში უნდა დაიწვას. შეშის მზიდავი მისი ცოლიც (ცეცხლში უნდა დაიწვას), კისერზე საბელ ჩამოკიდებული.

სურა იხლასი (ყულჰუველლაჰუ...)

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

قُلْ هُوَ اللّٰهُ اَحَدٌ ۚ ۞ اَللّٰهُ الصَّمَدُ ۚ ۞ لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ ۙ ۞

وَلَمْ يَكُنْ لَهُ كُفُوًا اَحَدٌ ۞

ბისმილლააჰირრახმაანირრაახიიმ

1, ყულ ჰუველლააჰუ ეხედ. 2. ელლააჰუ სსამედ. 3. ლემ იელიდ ველემ იუულედ. 4. ველემ იექუნლეჰუუ ქუფუვენ ეხედ.

მნიშვნელობა:

(ეი მუხამმედ) თქვი, რომ ალლაჰი ერთია. ალლაჰი სამედია (ის არაფერზეა დამოკიდებული, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული). ის არ დაბადებულა და არც დაუბადებია. და არაფერია მისი ბადალი.

სურა ფელეყ (ყულ ეღუზუ ბი რაბბილ ფელეყ)

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

قُلْ اَعُوذُ بِرَبِّ الْفَلَقِ ۙ ۞ مِنْ شَرِّ مَا خَلَقَ ۙ ۞

وَمِنْ شَرِّ غَاسِقٍ اِذَا وَقَبَ ۙ ۞ وَمِنْ شَرِّ النَّفَّاثَاتِ فِى الْعُقَدِ ۙ ۞

وَمِنْ شَرِّ حَاسِدٍ اِذَا حَسَدَ ۞

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1. ყულ ეღუუზუბი რაბბილ ფელეყ. 2. მინ შერრი მაა ხალეყ. 3. ვემინ შერრი ღაასიყინ იზაა ვეყაბ. 4. ვემინ შერრი ნნეფფაასაათი ფილღუყად. 5. ვემინ შერრი ხაასიდინ იზაა ხესედ.

მნიშვნელობა:

(ეი მუხამმედ) თქვი, რომ მივეკედლები დილის ღმერთს გაჩენილების სიავისაგან, ღამის სიავისაგან როდესაც წყვდიადი ჩამოწვება, კვანძებზე შემლოცველი ქალების სიავისაგან, და შურიანის სიავისაგან როდესაც შურს.

სურა ნას (ყულ ეღუზუ ბი რაბბინნაას...)

بِسْــمِ اللّٰهِ الرَّحْمٰنِ الرَّحِيمِ

قُلْ اَعُوذُ بِرَبِّ النَّاسِۙ ❁ مَلِكِ النَّاسِۙ ❁

اِلٰهِ النَّاسِۙ ❁ مِنْ شَرِّ الْوَسْوَاسِ الْخَنَّاسِۙ ❁

اَلَّذٖى يُوَسْوِسُ فٖى صُدُورِ النَّاسِۙ ❁

مِنَ الْجِنَّةِ وَ النَّاسِ❁

ბისმილლააჰირრახმაანირრახიიმ

1, ყულ ეღუზუ ბირაბბი ნნაას. 2. მელიქინნაას. 3. ილააჰი ნნაას. 4. მინ შერრილ ვესვაასილხანნაას. 5. ელლეზიი იუვესვისუ ფიი სუდუურინნაას. 6. მინელ ჯინნეთი ვენნაას.

მნიშვნელობა:

(ეი მუხამმედ) თქვი, რომ მივეკედლები კაცობრიობის ღმერთს, ადამიანთა ბატონ-პატრონს, ადამიანთა ღმერთს, იმ მაცდურის ფარული სიავისგან, რომელიც ადამიანთა გულებს სიგლახისკენ უბიძგებს. (თუნდაც ეს მაცდური) ჯინებისგან და ადამიანებისგან (იყოს).

ნამაზის დროს საკითხავი ზოგიერთი დუა

თექბირი და სუბხანექე

اَللّٰهُ اَكْبَرُ

سُبْحَانَكَ اللّٰهُمَّ وَبِحَمْدِكَ وَتَبَارَكَ اسْمُكَ

وَتَعَالٰى جَدُّكَ (وَجَلَّ ثَنَاؤُكَ) وَلَا اِلٰهَ غَيْرُكَ ❁

ელლაჰუ ექბერ

სუბხაანექელლააჰუმმე ვე ბიხემდიქ, ვეთებაარა ქესმუქ, ვეთეღაალაა ჯედდუქ. (ვეჯელლე სენაააა'უქ) ველაა ილააჰე ღაირუქ.

მნიშვნელობა:

ალლაჰი უდიდესია.

ღმერთო ჩემო, შენ ყოველგვარი ნაკლული თვისებებისგან შორს ხარ და ქება-დიდებით მოგიხსენებთ. შენი სახელი უძვირფასესია, შენი სიდიადე და მრისხანება უმაღლესია. (შენი ქება მაღალია). და შენს გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს.

ეთთეხიათუ

اَلتَّحِيَّاتُ لِلّٰهِ وَالصَّلَوَاتُ وَالطَّيِّبَاتُ

اَلسَّلَامُ عَلَيْكَ اَيُّهَا النَّبِىُّ وَرَحْمَةُ اللّٰهِ وَبَرَكَاتُهُ

اَلسَّلَامُ عَلَيْنَا وَعَلٰى عِبَادِ اللّٰهِ الصَّالِحِينَ

اَشْهَدُ اَنْ لَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاَشْهَدُ اَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ ۞

ეთთეხიიაათუ ლილლააჰი ვესსელევაათუ ვეტტაიიბაათუ ესსელაამუ ღალეიქე ეიიუჰენნებიიუ ვერახმეთულლააჰი ვებერექაათუჰ, ესსელაამუ ღალეინაა ვეღელაა ღიბაადილლააჰი სსაალიხიინ. ეშჰედუ ენ ლააააილააჰე ილლელლააჰ, ვეეშჰედუ ენნე მუხამმედენ ღებდუჰუ ვე რასუულუჰუ.

მნიშვნელობა:

ყოველგვარი ფიზიკური, ქონებრივი თუ სიტყვიერი ღიბადეთი მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. ეი ძვირფასო ფეიღამბერო! ალლაჰის სალამი, წყალობა და ბარაქა შენთვის იყოს. სალამი და მშვიდობა ჩვენთვის და ალლაჰის გულწრფელი მორჩილებისთვის იყოს. მე მოწმე ვარ, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მოწმე ვარ, რომ მუხამმედი ალლაჰის მორჩილი და ფეიღამბერია.

ეთთეხიათის შემდეგ საკითხავი სელავათები
(ელლაჰუმმესალლი და ელლაჰუმმებარიქ)

اَللّٰهُمَّ صَلِّ عَلٰى مُحَمَّدٍ وَعَلٰى اٰلِ مُحَمَّدٍ كَمَا صَلَّيْتَ
عَلٰى اِبْرَاهِيمَ وَعَلٰى اٰلِ اِبْرَاهِيمَ اِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ ۞

ელლააჰუმმე სალლი ღელაა მუხამმედინ ვეღელაა აალი მუხამმედ, ქემაა სალლეითე ღელაა იბრააჰიიმე ვეღელაა აალი იბრააჰიიმე ინნექე ხამიიდუნ მეჯიიდ.

მნიშვნელობა:

ჩემო ალლაჰო, ხზ. მუხამმედი და მისი ახლობლები შეიწყალე, ისე როგორც იბრაჰიმი და მისი ახლობლები შეიწყალე. უეჭველად შენ სანაქებო და უდიდესი ხარ.

اَللّٰهُمَّ بَارِكْ عَلٰى مُحَمَّدٍ وَعَلٰى اٰلِ مُحَمَّدٍ كَمَا بَارَكْتَ
عَلٰى اِبْرَاهِيمَ وَعَلٰى اٰلِ اِبْرَاهِيمَ اِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ ۞

ელლააჰუმმე ბაარიქ ღელაა მუხამმედინ ვეღელაა აალი მუხამმედ, ქემაა ბარექთე ღელაა იბრააჰიიმე, ვეღელაა აალი იბრააჰიიმე ინნექე ხამიიდუნ მეჯიიდ.

მნიშვნელობა:

ჩემო ალლაჰო, ხზ. მუხამმედს და მის ახლობლებს სიძვირფასე მიეცი, ისე როგორც იბრაჰიმი და მისი ახლობლები გახადე ძვირფასი. უეჭველად შენ სანაქებო და უდიდესი ხარ.

სელავათების შემდეგ საკითხავი დუები

رَبَّنَا اٰتِنَا فِى الدُّنْيَا حَسَنَةً وَفِى الْاٰخِرَةِ حَسَنَةً

وَقِنَا عَذَابَ النَّارِ۞

რაბბენაააა აათინაა ფიდდუნიაა ხასენეთენ ვეფილ აახირეთი ხესენეთენ ვეყინაა ღეზააბენნაარ.

მნიშვნელობა:

ეი ჩვენო ღმერთო, ჩვენ ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც სიკეთე მოგვეცი, იმ ცეცხლის აზაბისგან (ჯეჰენნემისგან) დაგვიფარე.

رَبَّنَا اغْفِرْ لِى وَلِوَالِدَىَّ وَلِلْمُؤْمِنِينَ يَوْمَ يَقُومُ الْحِسَابُ۞

რაბბენაღფირლიი ველივაალიდეიე ველილ მუ'მინიინე იევმე იეყუუმულ ხისააბ.

მნიშვნელობა:

ეი ჩვენო ღმერთო, ანგარიშსწორების დღეს მე, ჩემს დედ-მამას და ყველა მორწმუნეს გვაპატიე.

اَللّٰهُمَّ اِنّٖى اَعُوذُ بِكَ مِنْ عَذَابِ جَهَنَّمَ وَاَعُوذُ بِكَ

مِنْ عَذَابِ الْقَبْرِ وَاَعُوذُ بِكَ مِنْ فِتْنَةِ الْمَسِيحِ الدَّجَّالِ

وَاَعُوذُ بِكَ مِنْ فِتْنَةِ الْمَحْيَا وَالْمَمَاتِ ۞

ელლააჰუმმე ინნიი ეღუუზუ ბიქე მინ ღეზააბი ჯეჰენნემ. ვე'ეღუუზუ ბიქე მინ ღეზააბილ ყაბრი. ვე'ეღუუზუ ბიქე მინ ფითნეთილ მესიიხიდდეჯჯაალ. ვე'ეღუუზუ ბიქე მინ ფითნეთილ მეხ'იაა ველმემაათ.

მნიშვნელობა:

ჩემო ალლაჰო, მოგეკდლები ჯეჰენნემის სასჯელისგან, მოგეკდლები საფლავის სასჯელისგან, მოგეკედლები დეჯჯალის არეულობისგან და მოგეკედლები სიცოცხლებისა და სიკვდილის არეულობისგან.

აბდულლაჰ იბნი აბბასი (რ.ანჰუმა) გადმოგვცემს: "ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ამ (ზემოხსენებულ) დუას ისე გვასწავლიდა როგორც ყურანიდან რომელიმე აიათს." (ვინც იცის სელამის წინ ეს დუაც უნდა იკითხოს).

ყუნუთის დუები

اَللّٰهُمَّ اِنَّا نَسْتَعِينُكَ وَنَسْتَغْفِرُكَ وَنَسْتَهْدِيكَ وَنُؤْمِنُ بِكَ وَنَتُوبُ اِلَيْكَ وَنَتَوَكَّلُ عَلَيْكَ وَنُثْنِى عَلَيْكَ الْخَيْرَ كُلَّهُ نَشْكُرُكَ وَلَا نَكْفُرُكَ وَنَخْلَعُ وَنَتْرُكُ مَنْ يَفْجُرُكَ ۞

ელლააჰუმმე ინნაა ნესთეღიინუქე, ვენესთეღფირუქე, ვენესთეჰდიიქე, ვენუ’მინუბიქე ვენეთუუბუ ილეიქე ვენეთევექქელუ ღელეიქე, ვენუსნიი ღელეიქელ ხაირა ქულლეჰუუ ნეშქურუქე, ველაა ნექფურუქე. ვენეხლეღუ .ვენეთრუქუ მენ იეფჯურუქ

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, ჩვენ შენგან დახმარებას, შეწყალებას და სწორ გზაზე დაყენებას ვითხოვთ, შენი გვწამს. შენგან პატიებას ვითხოვთ, შენ მოგენდობით და მოგეკედლებით. ყოველგვარი საუკეთესოთი შენ გაქებთ. მადლობას გიხდით და შენს წინაშე უმადური არ ვართ. გავერიდებით და შორს ვიქნებით მათგან ვინც არ გემორჩილება.

اَللّٰهُمَّ اِيَّاكَ نَعْبُدُ وَلَكَ نُصَلّٖى وَنَسْجُدُ وَاِلَيْكَ نَسْعٰى

وَنَحْفِدُ نَرْجُو رَحْمَتَكَ وَنَخْشٰى عَذَابَكَ

اِنَّ عَذَابَكَ بِالْكُفَّارِ مُلْحِقٌ ۞

ელლაჰუმმე იიიააქე ნეღბუდუ. ველექე ნუსალლი ვენესჯუდუ. ვეილეიქე ნესღაა ვენეხფიდუ, ნერჯუუ რახმეთექე ვენხშაა. ღაზააბექე ინნე ღაზააბექე ბილქუფფარი მულხიყ.

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, იბადეთს, ნამაზსა და სეჯდეს მხოლოდ და მხოლოდ შენს წინაშე შევასრულებთ. მხოლოდ შენზე მორჩილებისათვის ვშრომობთ და შენსკენ მოვისწრაფით. შენი წყალობის იმედი გვაქვს და შენი სასჯელის გვეშინია. უეჭველად შენი სასჯელი ურწმუნოებს მოუწევთ.

რუქუღი

ნამაზის შიგნითა ფარძებიდან მეოთხე რუქუღია.

რუქუღი ნამაზის ლოცვისას ყიამისა (ფეხზე დგომის) და ყირაათის (ფათიხასა და ზემში სურას კითხვის) შემდეგ, წელში მართკუთხად (90 გრადუსით) მოხრა და თავის, ზურგის გასწვრივ სწორად დაჭერაა. რუქუღის დროს მამაკაცები ხელის თითების გაშლილი მდგომარეობით მუხლებზე ეყრდნობიან, ქალები კი შეერთებული თითებით ხელებს მუხლებზე დაიდებენ. რუქუღის დროს ფეხის თითებს უნდა ვუყუროთ.

მჯდომარე მდგომარეობაში ნამაზის მლოცველმა რუქუღის დროს თავი მუხლებამდე უნდა დაიტანოს.

(რუქუღის დროს სამჯერ „სუბხანე რაბბიელ ღაზიიმ" თქმა სუნნეთია.)

სეჯდე

ნამაზის შიგნითა ფარძებიდან მეხუთე სეჯდეა.

სეჯდე რუქუღიდან გასწორების შემდეგ შუბლის, ცხვირის, ფეხის თითის წვერების, მუხლებისა და ხელების ე.ი. შვიდი ორგანოს ძირს დადებაა. სეჯდეში თვალები ცხვირის ორივე მხარეს უყურებს, ხელები გაშლილი თითებით პირისახის ორივე მხარეს, ყიბლისკენ მიმართული ძირს დაიდება.(სეჯდეს დროს სამჯერ „სუბხანე რაბბიელ ეღლა" თქმა სუნნეთია.)

ყაადეი აახირე

ნამაზის შიგნითა ფარძებიდან მეექვსე ყაადეი აახირეა.

ყაადეი აახირე ნამაზის ბოლოს ეთთეხიათის კითხვის ტოლი დროით დაჯდომაა.

ყაადეში (ეთთეხიათზე დაჯდომისას) მამაკაცები მარჯვენა ფეხის თითებს ყიბლისკენ მიმართავენ, ხოლო მარცხენა ფეხზე დაჯდებიან.

ქალები ფეხებს მარჯვნივ განალაგებენ და ისე ჯდებიან. ქალების ასეთ დაჯდომას „თევერრუქი“ ეწოდება.

ყაადეში (ეთთეხიათზე) ხელები ყიბლის მიმართულებით, თითები გაშლილი მდგომარეობით მუხლებზე დაიდება. ყაადეს დროს ხელის თითებს ვუყურებთ.

ნამაზის ვაჯიბები

1. ნამაზის „ალლააჰუ ექბერ“ თქმით დაწყება.

2. ფარძი ნამაზების პირველ ორ მუხლზე ნაფილე ნამაზების ყველა მუხლზე ფათიხას კითხვა.

3. ფათიხას შემდეგ ერთი მოკლე სურას, ან მოკლე სურას ტოლი აიეთის კითხვა.

4. ფარძ ნამაზებზე ფათიხას და ზემმი სურას პირველ ორ რექაღათზე კითხვა.

5. ორი სეჯდეს ერთიმეორეზე მიყოლებით გაკეთება.

6. თაადილი ერქანზე ყურადღების გამახვილება. ე.ი. ყიამის, რუქუღის და სეჯდეს მსგავსი რუქუნების (მოქმედების) მშვიდად და აუჩქარებლად შესრულება. მაგ: რუქუღიდან სრულად გასწორება, გამართულ მდგომარეობაში „სუბხაანელლააჰილ ღაზიიმ“ თქმის ტოლი დროით გაჩერება და შემდეგ სეჯდეზე წასვლაა საჭირო. სეჯდეებს შორისაც ანალოგიური დროით გაჩერებაა საჭირო.

7. დაჯდომისას ეთთეხიათის კითხვა.

8. ნამაზის ბოლოს სელამის მიცემა.

9. შუადღის და იქინდი ნამაზების ფარძებისას ფათიხას და სხვა სურეების ხმადაბლა კითხვა.

10. დილის ნამაზის, საღამოს ნამაზის, იასინამაზის ფარძებისას, ჯუმა და ბაირამ ნამაზების ლოცვისას იმამის მიერ ფაათიხას და სურეების ხმამაღლა კითვა.

11. სამ და ოთხ რექაღათიანი ნამაზებისას, პირველი ორი მუხლის შემდეგ (ეთთეხიათის კითხვის ტოლი დროით) დაჯდომა.

12. სურამდე ან აიათამდე პირველად ფათიხას კითხვა.

13. ნამაზის ლოცვისას შეცდომით გამოტოვებული ვაჯიბების გამო სეჰივ სეჯდეს გაკეთება.

14. ვითირ ნამაზისას ყუნუთის კითხვა.

15. სეჯდეს დროს შუბლთან ერთად ცხვირითაც ძირს შეხება.

ნამაზის სუნნეთები

1. ეზნის კითხვა;
2. ლოცვის დაწყებისას, პირველ თექბირზე კაცების მიერ ცერა თითების ყურებამდე, ქალების მიერ მხრებამდე აწევა. ამ დროს ცერის გარდა თითები შეერთებულია და ხელის გულები ყიბლისკენაა მიმართული;
3. თექბირის შემდეგ ხელების შეკვრა; (ქალები მარჯვენა ხელს მარცხენა ხელის ზემოდან, მკერდზე დაიდებენ. კაცები მარცხენა ხელზე მარჯვენა ხელის ცერა და ნეკა თითით რკალს გააკეთებენ და ჭიპის ქვემოთ მუცელზე დაიდებენ);
4. სუბხანეს კითხვა;
5. ეღუზუ ბისმილის თქმა;
6. ყველა რექაღათზე (მუხლზე) ფათიხას კითხვამდე ბისმილის თქმა;
7. ფათიხას შემდეგ „აამიინ“ თქმა;
8. სამ და ოთხ მუხლიანი ფარძების ლოცვისას მესამე და მეოთხე მუხლზე ფათიხას კითხვა;
9. რუქუღზე და სეჯდეზე ჩასვლისას და ადგომისას თექბირის - (ელლაჰუ ექბერ) თქმა;
10. რუქუღის დროს კაცების მიერ ხელის თითების განცალკევებული მდგომარეობით მუხლებზე დადება (ზურგი და თავი სწორად არის. ქალები წელში ცოტათი იხრებიან და შეერთებული თითებით ეხებიან მუხლებს);

11. რუქუღზე სამჯერ თესბიხის (სუბჰანე რაბბიელ ღაზიიმ) თქმა;

12. იმამის მიერ რუქუღიდან გასწორებისას „სემიღელლაჰუ ლიმენ ხამიდეჰ“ თქმა,

13. ჯემაღათის რუქუდან გასწორებისას „რაბბენა ლექელ ხამდ“ თქმა,

14. მარტო მლოცველის მიერ ორივეს თქმა,

15. სეჯდეს დროს სამჯერ „სუბხანე რაბბიელ ეღლა“ თქმა;

16. სეჯდეს დროს ხელის თითების ერთმანეთთან მიტყუპება;

17. კაცები სეჯდეს დროს მკლავებს მუცლისგან შორს იკავებენ და ძირს არ დებენ,

18. ქალები სეჯდეს დროს მკლავებს გვერდებზე მიიკრავს და ძირს დებს;

19. თეხიათის (ყაადეს) დროს მკლავების ტანზე მიკვრა და თითების თავისუფლად დაჭერა,

20. თეხიათის დროს კაცი მარჯვენა ფეხის ტერფს გამართულად იჭერს, მარცხენაზე ზის;

21. ქალი ორივე ფეხებს მარჯვნივ განალაგებს და მარცხენა ფეხზე ზის;

22. სელამის ჯერ მარჯვნივ მიცემა;

23. ბოლო ყადეზე ფეიღამბერზე სელავათის კითხვა.

ნამაზში მოწონებული ქცევები

1. მუეზინის მიერ ყაამეთის კითხვისას, „ხაიიაღალელ ფელახ“ თქმისას ფეხზე ადგომა;

2. იფთითახ თექბირის დროს ცერა თითით ყურის ბიბილოებზე შეხება;

3. ყიამის დროს სეჯდეს ადგილზე შეხედვა;

4. რუქუღის დროს ფეხის თითებზე შეხედვა;

5. რუქუღისა და სეჯდეს თესბიხების ხუთჯერ ან შვიდჯერ თქმა (კითხვა);

6. სეჯდეს დროს შუბლზე ადრე ცხვირით ძირს შეხება;

7. სეჯდეს დროს ცხვირის ორივე მხარეს შეხედვა;

8. სელამის მიცემისას მხრებზე შეხედვა;

9. დამთქნარებისას მარჯვენა ხელის გულის ან ზურგის, ან მარცხენა ხელის ზურგის პირზე მიფარება;

10. შესაძლებლობის შემთხვევაში კარგი და სუფთა ტანსაცმლით ნამაზის ლოცვა;

11. მარჯვნივ სელამის მიცემისას, მარჯვნივ მყოფ ჯემაღათზე და მელააიქებზე სელამის მიცემაზე გულით ნიეთი;

12. მარცხნივ სელამის მიცემისას, მარცხნივ მყოფ ჯემაღათზე და მელააიქებზე სელამის მიცემაზე გულით ნიეთი;

13. თუ მარტოა, სელამის მიცემისას ქირაამენ ქაათიბიინ (დამწერ) და ხაფაზა (დამცავ) მელაიქებზე სელამის მიცემაზე ნიეთი.

14. ნამაზის დროს რაც შეიძლება დახველებისგან თავის შეკავება.

ნამაზის მექრუჰები

1. ნამაზის ლოცვისას იქეთაქეთ ცქერა;

2. ტანსაცმლით ან სხვა რაღაცით თამაში;

3. არასაპატიო მიზეზით თითის გატკაცუნება;

4. სეჯდეს ადგილიდან ლოცვისას ქვების აღება;

5. ლოცვისას დოინჯის გაკეთება;

6. ერთი ადგილის ერთხელ ან ორჯერ მოფხანა;

7. ლოცვისას უმიზეზოდ ფეხების შემოკეცვა;

8. ადამიანის სახის პირდაპირ ლოცვა;

9. ცეცხლის (გავარვალებული ნაკვერჩხლის) პირდაპირ ლოცვა;

10. სულიერი ნახატის (სურათის) ზედ სეჯდეს გაკეთება. სურათიანი ტანსაცმლით ნამაზის ლოცვა;

11. ზმორება;

12. დამთქნარება;

13. ორივე ფეხის ტერფის გამართული მდგომარეობით დაჯდომა;

14. ჯდომისას მუხლების ნაცვლად ხელებზე დაყრდნობა;

15. ახალი და ლამაზი ტანსაცმლის ქონების შემთხვევაში, ძველი და ცუდი ტანსაცმლით ლოცვა;

16. თავღია ლოცვა;

17. სეჯდეს ან თეხიიათის დროს ხელის ან ფეხის თითების ყიბლიდან შებრუნება;

18. ჯემაღეთით ლოცვისას, თუ წინ ადგილია უკან დგომა;

19. საფლავის მიმართულებით ლოცვა;

20. ფარდის გარეშე ნეჯასეთის მიმართულებით ლოცვა;

21. ქალების ერთად ერთ მწკრივში ფარდის გარეშე ცალცალკე (და სხვადასხვა) ნამაზის ლოცვა;

22. გაჭირვებით შეკავებული აბდესით (საპირფარეშოში წასვლის საჭიროებით) ლოცვა;

23. სეჯდედან ადგომისას ხელებზე ადრე მუხლების აწევა;

24. სეჯდეს დროს ფეხის აწევა;

25. იმამზე ადრე რუქუღზე წასვლა;

26. იმამზე ადრე რუქუღიდან ადგომა;

27. იმამზე ადრე სეჯდეზე წასვლა;

28. იმამზე ადრე სეჯდედან ადგომა;

29. სეჯდეზე წასვლისას არასაპატიო მიზეზით ხელების მუხლებზე ადრე ძირს დადება;

30. არასაპატიო მიზეზით ძირს ან კედელზე დაყრდნობით ადგომა;

31. ლოცვისას შუბლიდან მიწის ან მტვერის მოწმენდა;

32. ზემმი სურეებს შორის მხოლოდ ერთი სურეს გამოტოვება;

33. ზემმი სურეების არათანმიმდევრობით (ქვევიდან ზევით) კითხვა;

34. ერთი რექაღათის დროს სურეს განმეორებით კითხვა, ან პირველ რექათზე ნაკითხი ზემმი სურას მეორე რექაღათზე განმეორებით კითხვა.

35. ფარძის მეორე რექაღათზე, პირველ რექაღათზე ნაკითხ ზემმი სურასთან შედარებით სამი აიეთით მეტის კითხვა;

36. ჯემაღეთით ლოცვისას იმამზე მიმყოლის მიერ იმამთან ერთად ყურანის კითხვა;

37. არასაპატიო მიზეზით შუბლზე არსებული სარუღით (სახვევით) სეჯდეს გაკეთება, (შუბლი დაფარული არ უნდა იყოს);

38. ყიამის დროს არასაპატიო მიზეზით კედელზე მიყრდნობა;

39. ყიამის დროს მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრილი დგომა;

40. არასაპატიო მიზეზით ცალ ფეხზე დგომა;

41. ნამაზის ლოცვისას აიეთების ან თესბიხების თითებით დათვლა;

42. ჯემაღეთით ლოცვის შესაძლებლობის შემთხვევაში, ჯემაღეთზე არ მიყოლა და მარტოდ ლოცვა;

43. იმამის მიერ მიხრაბის (იმამისთვის განკუთვნილი ადგილი) გარდა სხვა ადგილზე დგომა;

44. იმამის მიერ ჯემაღეთზე (50 სმ-ით) დაბლა დგომა;

45. მხოლოდ იმამის (50 სმ-ით) მაღლა დგომა, და ჯემაღათის დაბლა დგომა. (ერთი კაცი იმამთან თუ არის შეიძლება);

46. „ბისმილის“ და „ამინის“ ხმამაღლა თქმა;

47. ყირაათის რუქუღზე ჩასვლისას დამთავრება;

48. თექბირების თავიანთ ადგილზე შეუსრულებლობა, ყველა ზიქრის და ყირაათის თავიანთ ადგილზე შეუსრულებლობა;

49. რუქუღისა და სეჯდეს თესბიხების თავის აწევის შემდეგ თქმა;

50. არასაპატიო მიზეზით მხრებისა და მკლავების დაუფარავად ლოცვა. (განსაკუთრებით პერანგის სახელოების ამოკეცილი მდგომარეობით ლოცვა);

51. რომელიმე სულიერის გასავლელ ადგილზე, რაიმე საგნის აღმართვის გარეშე ნამაზის ლოცვა;

52. რაღაცის დაყნოსვა;

53. სხვის გასაგონადაც, რომ არ იყოს, შებერვა (გასაგონად თუ შეუბერავს ნამაზი მოიშლება);

54. თავზე რაღაცის წაკვრის შემთხვევაში, თავის ზედაპირის ღიად დატოვება;

55. ცხვირ-პირის შეხვევით ლოცვა;

56. მეორედ ჯემაღათის შედგომის შემთხვევაში, იმამის მიერ იმავე ადგილზე (მიხრაბზე) ლოცვა.

ნამაზის მომშლელი ფაქტორები

1. ლაპარაკი, ან თავის გასაგონად სიცილი. თუ გვერდით მდგომის გასაგონად გაიცინებს, ნამაზთან ერთად აბდესიც მოიშლება;

2. „ააჰ“ თქმა, კვნესა;

3. ტირილი. (თუ ტირილი გამოწვეულია ჯენნეთის ან ჯეჰენნემის გაგონების მიზეზით, ან ღმერთის შიშით, ნამაზი არ მოიშლება);

4. უმიზეზოდ დახველება ან ყელის გაწმენდა;

5. კევის ღეჭვა;

6. ერთ მდგომარეობაში სამჯერ ბეწვის მოწყვეტა;

7. ერთ მდგომარეობაში რომელიმე ადგილის, ხელის აღებით სამჯერ ხელით მოფხანა;

8. ერთ რექაღათში ორი მწკრივი მანძილის ტოლი სიარული;

9. თმის ან წვერის დავარცხნა;

10. ერთი და იგივე იმამით, ერთი და იგივე ნამაზის ლოცვისას, ქალებსა და კაცებს შორის, ერთი კაცის გასაჩერებელ მანძილზე ნაკლები მანძილის არსებობა;

11. არასაპატიო მიზეზით, პირისახის ტანთან ერთად ყიბლიდან შეტრიალება;

12. ნამაზის ლოცვისას იმამის შეცდომის გარდა სხვისი შეცდომის შესწორება;

13. მნიშვნელობის შეცვლით ყურანის კითხვა;

14. შეგნებით სელამის მიცემა და აღება, (თუ ნამაზის ბოლო ჰგონია და სელამს მისცემს, ნამაზი არ მოიშლება, მაგრამ სეჰივ სეჯდე საჭიროა);

15. რომელიმე საფარავი ადგილის ერთი მეოთხედი ნაწილის, სამი თესბიხის ტოლი დროით გამოჩენა. (თუ შეგნებით საფარავ ადგილს გავხსნით, ნამაზი მოიშლება);

16. სეჯდეს დროს ორივე ფეხის ერთ დროულად აწევა.

როგორ ილოცება ნამაზი?

პიროვნებამ რომელმაც ნამაზი უნდა ილოცოს, უნდა დაუკვირდეს სხეულზე, ტანისამოსზე და ნამაზის სალოცავ ადგილზე ნამაზის ლოცვისათვის ხელის შემშლელი სიბინძურე არ იყოს. აბდესი უნდა აიღოს და ყიბლის მიმართულებით უნდა დადგეს. არ იფიქრებს ამქვეყნიურ არაფერზე, წარმოიდგენს, რომ დგას ელლაჰუ თეღალას წინაშე და გააკეთებს გულით ნიეთს:

მაგ: თუ დილის ნამაზის სუნნეთი უნდა ილოცოს, იტყვის **"იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი დილის ნამაზის სუნნეთის სალოცავად"**. თუ ფარძი უნდა ილოცოს, იტყვის: **"დილის ნამაზის ფარძის სალოცავად"**, თუ ნაფილე ნამაზია: **"იარაბბი ნიეთს ვაკეთებ ნაფილე ნამაზის სალოცავად"** დავდექ ყიბლისკენ. შემდეგ აიღებს ხელებს ხელის გულით ყიბლისკენ, ცერა თითებით შეეხება ყურის ბიბილოებს **(სურათი 1.)** ხელების აღებით იტყვის **"ალლააჰუ ექბერ"** (იფთითახ თექბირი), ქალები ხელის თითების წვეროებს მხრებს გაუსწორებენ **(სურათი 2)**. შემდეგ მარცხენა ხელს დაიდებს ჭიპის ქვევით და მარჯვენა ხელის ცერით და ნეკით მაჯაზე შეიკრავს **(სურათი 3)**, ქალები მარჯვენა ხელს ზევიდან, მარცხენას ქვევიდან მკერდზე დაიდებენ. თვალებით სეჯდეს ადგილს უყურებენ **(სურათი 4)**.

ხელების შეკვრის შემდეგ **"სუბხანეს"** და ეღუზუ ბისმილით ფათიხას სურას იკითხავს. შემდეგ **"აამიინ"** იტყვის. შემდეგ ერთ სურას, ან სურას ტოლ არანაკლებ ერთ აიათს იკითხავს. შემდეგ ხელებS ჩამოუშვებს, თან **"ალლააჰუ ექბერ"** იტყვის და რუქუღს გააკეთებს, რუქუღის დროს კაცები წელში მართკუთხად (90 გრადუსით) იხრებიან, თავი და ზურგი სწორად უჭირავთ. გაშლილი თითებით მუხლებს ეყრდნობიან

(სურათი 5) ქალები წელში ცოტათი იხრებიან **(სურათი 6)**. რუქუღისას არანაკლებ სამჯერ **„სუბხანე რაბბიელ ღაზიმ“** ითქმება. რუქუღის დროს მლოცველი თვალებით ფეხის თითებს უნდა უყურებდეს. შემდეგ, რუქუღიდან გასწორებისას **„სემიღელლაჰუ ლი მენ ხამიდეჰ“ იტყვის**, წელში გამართულ მდგომარეობაში კი **„რაბბენაა ლექელ ხამდ“** იტყვის. შემდეგ **„ალლააჰუ ექბერ“** თქმით სეჯდეზე წავა. სეჯდეზე ჯერ მუხლებით, შემდეგ ხელებით და შემდეგ ცხვირითა და შუბლით შეეხება ძირს. (ცხვირით და შუბლით ძირის სიმაგრე უნდა იგრძნობოდეს). ხელის და ფეხის თითები ყიბლისკენ უნდა იყოს მიმართული. კაცები სეჯდეს დროს იდაყვებს მაღლა და გვერდით იჭერენ. ფეხის თითები ყიბლისკენ შებრუნებულია **(სურათი 7)** ქალები სეჯდეს დროს, ხელებს იდაყვებთან ერთად ძირს დებენ და მკლავები ფერდებზე აქვთ მიკრული. ფეხის ტერფის ზედა ნაწილს დებენ ძირს **(სურათი 8)**. სეჯდეს დროს სამჯერ **„სუბხანე რაბბიელ ეღლა“**-ს იტყვის. შემდეგ **„ელლააჰუ ექბერ“** თქმით სეჯდედან გაიმართება. ერთხელ **„სუბხაანელლაჰ“** თქმის ტოლი დროით მუხლებზე დაჯდება. ისევ **„ალლააჰუ ექბერ“** იტყვის და მეორე სეჯდეს გააკეთებს. ასევე სამჯერ **„სუბხანე რაბბიელ ეღლა“**ს იტყვის. ისევ **„ალლააჰუ ექბერ“** თქმით მეორე რექაღათზე ადგება. ხელებს ისევ შეიკრავს. ბისმილით ფათიხას და ერთ სურას ან გრძელ აიათს იკითხავს. შემდეგ როგორც პირველი რექაღათის დროს, რუქუღს და სეჯდეს შეასრულებს. მეორე სეჯდეს შემდეგ მარცხენა ფეხის ტერფზე დაჯდება, მარჯვენა ფეხის ტერფი კი გამართულია და თითები ყიბლისკენაა მიმართული **(სურათი 9)**. ქალები ორივე ფეხს მარჯვნივ განალაგებენ და ძირს ზიან **(სურათი 10)**. ეთთეხიათს, საალლი ბარიქს, შემდეგ რაბბენა ათინა, რაბბენეღფირლი დუებსაც იკითხავს. შემდეგ თავს მარჯვნივ მიაბრუნებს, მხარს შეხედავს და იტყვის: **„ესსელაამუ ღალეიქუმ ვე რახმეთულლაჰ“ (სურათი 11-12)**. შემდეგ იგივეს მარცხვნივ გაიმეორებს **(სურათი 13-14)**. ამით სუნნეთი დასრულდება.

დილის ნამაზის ფარძიც სუნნეთის მსგავსად ილოცება, მაგრამ მამაკაცი ფარძის წინ ყამეთს კითხულობს. სელამის მიცემით ნამაზი დასრულებულია. შემდეგ იტყვის:

اَللّٰهُمَّ اَنْتَ السَّلَامُ وَمِنْكَ السَّلَامُ تَبارَكْتَ يَا ذَا الْجَلَالِ وَالْاِكْرَامِ ۞

,,ელლაჰუმმე ენთეს-სელაამ ვე მინქეს-სელაამ, თებაარექთე იაა ზელ-ჯელაალი ველ-იქრაამ“. შემდეგ იკითხება:

سُبْحَانَ اللّٰهِ وَالْحَمْدُ لِلّٰهِ وَلَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاللّٰهُ اَكْبَرُ وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ اِلَّا بِاللّٰهِ الْعَلِيِّ الْعَظِيمِ ۞

სუბხაანელლაჰი ველ-ხემდულილლააჰი ვე ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ველლააჰუ ექბერ, ველაა ხევლე ველაა ყუვვეთე ილლაა ბილლააჰილ-ალიილ აზიიმ.

მნიშვნელობა:

ალლაჰი ყოველგვარი ნაკლოვანებისგან შორსაა. მადლიერება და ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის. არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა. ალლაჰი უდიდესია. არ არსებობს (ურჩობიდან მორჩილობისაკენ) მობრუნება და (სწორ გზაზე დამბრუნებელი) ძალა გარდა უდიდესი და უძლიერესი ალლაჰის (ძალის)-ა.

ამის შემდეგ ელუზუ ბესმელეთი ერთჯერ აიეთულ ქურსი იკითხება. შემდეგ 33 ჯერ **„სუბხანალლაჰ“** , 33 ჯერ **„ელხამდულილლააჰ**“, 33 ჯერ **„ელლააჰუ ექბერ“**, ითქმება. შემდეგ ამ დუას ვიკითხავთ:

اَللّٰهُ اَكْبَرْ۞ لٰا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَحْدَهُ لٰا شَرِيكَ لَهُ ۞
لَهُ الْمُلْكُ وَلَهُ الْحَمْدُ يُحْيِى وَيُمِيتُ وَهُوَ حَىٌّ
لٰا يَمُوتُ بِيَدِهِ الْخَيْرُ۞ وَهُوَ عَلٰى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ ۞

ელლააჰუ ექბერ ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ვეხდეჰუუ ლაა შერიიქე ლეჰ. ლეჰულ მულქუ ველეჰულ ხემდუ იუხიიი ვე იუმიით. ვეჰუვე ხაიიუნ ლაა იემუუთუ ბიედიჰილ ხაიირ, ვე ჰუვე ღელაა ქულლი შეი'ინ ყადიირ.

მნიშვნელობა:

არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა. ის ერთადერთია. მას მოზიარე არ ჰყავს. ყველაფერი მისია, მადლიერება და ქება-დიდება მას ეკუთვნის. ის გააცოცხლებს და მოკლავს. ის ცოცხალია, არ მოკვდება. ყოველგვარი სიკეთე მის ხელთაა, ის ყველაფრის შემძლეა.

ამის შემდეგ ხელებს აღმართავს და დუას გააკეთებს **(სურათი 15-16)**.

ყველა ნამაზი ასეთნაირად ილოცვება. ორ რექაღათზე (მუხლზე) მეტი ფარძი ნამაზების დროს, მეორე რექაღათის ბოლოს მხოლოდ **„ეთთეხიიაათუ“** იკითება და მესამე და მეოთხე რექაღათზე (მუხლზე) ფათიხას შემდეგ ზემმი

სურე (სხვა ლოცვის თავი) აღარ იკითხება. ოთხ რექაათიანი სუნნეთების დროს, მესამე და მეოთხე რექაათის დროს, ფათიხას შემდეგ ზემმი სურე (ლოცვის თავი) იკითხება. იქინდი ნამაზის და იასი ნამაზის პირველი სუნნეთის ლოცვისას, მეორე რექაღათის ბოლოს **„ეთთეხიათუ“**ს შემდეგ **„ელლაჰუმმე სალლი“** და **„ელლაჰუმმე ბარიქ“** დუები იკითხება. მესამე რექათის დაწყებისას **„სუბხაანექე“** და მის მერე ეღუზუ ბესმელეთი ფათიხა იკითხება. (იქინდი ნამაზის სუნნეთი და იასი ნამაზის პირველი სუნნეთი, **„სუნნეთი ღაირი მუექქედე“**ა და ასეთნაირად ამიტომ ილოცება).

სხვა ნამაზების ნიეთი შემდეგნაირად კეთდება:

იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი შუადღის ნამაზის პირველი სუნნეთის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი შუადღის ნამაზის ფარძის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი შუადღის ნამაზის ბოლო სუნნეთის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი იქინდი ნამაზის სუნნეთის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი იქინდი ნამაზის ფარძის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი საღამოს ნამაზის ფარძის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.


იარაზზი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი საღამოს ნამაზის სუნნეთის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაზზი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი იასი ნამაზის პირველი სუნნეთის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაზზი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი იასი ნამაზის ფარძის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.


იარაზზი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი იასი ნამაზის ბოლო სუნნეთის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.

იარაზზი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი ვითირ ნამაზის სალოცავად **„ალლააჰუ ექბერ“**.




სურათი 1

თექბირი. თვალებით ვუყურებთ სეჯდეს ადგილს. ხელის გულები ყიბლის მიმართულებითაა. ცერა თითებით ვეხებით ყურის ბიბილოებს. ორივე ფეხი ერთმანეთის გასწვრივაა და მათ შორის დაშორება ოთხი თითის ტოლია.




სურათი 2

თექბირი. თვალებით ვუყურებთ სეჯდეს ადგილს. ხელები მკერდთანაა. თითის წვერები მხრების დონეზეა აწეული.




სურათი 3

ყიამი. თავლებით ვუყურებთ სეჯდეს ადგილს. მარცხენა ხელი დადებულია ჭიპის ქვევით და მარჯვენა ხელის ცერით და ნეკით მაჯაზეა შეკრული. ორივე ფეხი ერთმანეთის გასწვრივაა და მათ შორის დაშორება ოთხი თითის ტოლია.



სურათი 4

ყიამი. თვალებით ვუყურებთ სეჯდეს ადგილს. ხელები მკერდზეა, მარჯვენა ხელი მარცხენაზეა დადებული.



სურათი 5

რუქუღი. თვალებით ვუყურებთ ფეხის თითებს. თავი და ზურგი ერთ დონეზეა. ფეხები და მკლავები გამართულია. ხელებით მუხლებს ვეყრდნობით, თითები გაშლილია.




სურათი 6

რუქუღი. თვალებით ვუყურებთ ფეხის თითებს. თავი ზურგთან შედარებით მაღლაა. ხელებით ვეხებით მუხლებს. ხელის თითები ერთმანეთს ეხება.




სურათი 7

სეჯდე. თავი ორ ხელს შუაა დადებული. ცხვირი და შუბლი ძირს ეხება. ხელის თითები ყიბლისკენაა მიმართული. იდაყვები ძირს და ტანს არ ეხება. მუცელი ფეხებს არ ეხება. ფეხის თითები ყიბლისკენაა მიმართული და ქუსლები ერთმანეთს ეხება.




სურათი 8

სეჯდე. ცხვირი და შუბლი ძირს ეხება. თავი ორ ხელს შუაა დადებული, თითები ყიბლისკენაა მიმართული. იდაყვები ტანზე მიკრულია და ძირს ეხება. მუცელი ფეხებთან მიერთებულია. ფეხის ტერფი ძირსაა დადებული. ორივე ფეხი მარჯვნივაა გადახრილი.




სურათი 9

ყაადე. თვალებით ვუყურებთ მუხლებზე დადებულ ხელის თითებს, თითები თავისუფლადაა. მარცხენა ფეხი დაწოლილია და ზედ ვზივართ. მარჯვენა ფეხის ტერფი გამართულია და თითები ყიბლისკენაა მიმართული.



სურათი 10

ყაადე. თვალებით ვუყურებთ მუხლებზე დადებულ ხელის თითებს, თითები თავისუფლადაა. ორივე ფეხი მარჯვნივაა განლაგებული და ძირს ვზივართ.




სურათი 11

სელამი მარჯვნივ. ხელები მუხლებზეა დადებული. ხელის თითები თავისუფლადაა, მარჯვენა ფეხის ტერფი გამართულია, თითები ყიბლისკენაა მიმართული. თავი მარჯვნივაა მიბრუნებული და ვუყურებთ მხარს.




სურათი 12

სელამი მარჯვნივ. ხელები მუხლებზეა დადებული. თითები თავისუფლადაა. ფეხები მარჯვნივაა განლაგებული. თავი მარჯვნივაა მიბრუნებულია და ვუყურებთ მხარს.




სურათი 13

სელამი მარცხნივ. ხელები მუხლებზეა დადებული. ხელის თითები თავისუფლადაა, მარჯვენა ფეხის ტერფი გამართულია, თითები ყიბლისკენაა მიმართული. თავი მარცხნივაა მიბრუნებული და ვუყურებთ მხარს.



სურათი 14

სელამი მარცხვნივ. ხელები მუხლებზეა დადებული, თითები თავისუფლადაა, ორივე ფეხი განლაგებულია მარჯვნივ. თავი მიბრუნებულია მარცხვნივ, ვუყურებთ მხარს.



სურათი 15

დუა. ორივე ხელი შეერთებულია. თითების წვერები მხრების დონეზეა. ხელის გულები სახისკენაა მიმართული.



სურათი 16

დუა. ორივე ხელი შეერთებულია. თითების წვერები მხრების დონეზეა. ხელის გულები სახისკენაა მიმართული. ცერა თითი განცალკევებულია.

ხუთი დროის ნამაზის ლოცვა

1 – დილის ნამაზი

დილის ნამაზი ორი რექაღათი სუნნეთი და ორი რექაღათი ფარძისგან შედგება. ჯერ სუნნეთი შემდეგ ფარძი ილოცება. ნამაზის მლოცველი, აბდესიანი ყიბლის მიმართულებით დადგება და გულით **დილის ნამაზის სუნნეთის ლოცვის** ნიეთს გააკეთებს. ჯერ ორ რექაღათ სუნნეთს ილოცავს. შემდეგ ყამეთს იკითხავს, **დილის ნამაზის ფარძის ლოცვის ნიეთს** გააკეთებს და ორ რექაღათ ფარძს ილოცავს. ქალები არცერთ ნამაზზე ყამეთს არ კითხულობენ. დილის ნამაზის ფარძის დროს ფათიხას შემდეგ გრძელი ლოცვის თავების კითხვა სუნნეთია. სელამის მიცემის შემდეგ ყველა ნამაზის დაბოლოება ერთნაირია.

2 – შუადღის ნამაზი

შუადღის ნამაზის პირველი სუნნეთი 4 რექაღათია. მლოცველი, ჯერ გულით შუადღის **ნამაზის პირველი სუნნეთის ლოცვის** ნიეთს გააკეთებს, როგორც დილის ნამაზის სუნნეთი, ისეთნაირად ჯერ ორ რექაღათ სუნნეთს ილოცავს, დაჯდება და ეთთეხიათის კითხვის შემდეგ ადგება. ორ რექაღათს კიდევ ილოცავს, დაჯდება ეთთეხიათუ, ელლაჰუმმე სალლი, ელლაჰუმმე ბარიქ და დანარჩენ დუებს იკითხავს და სელამს მისცემს.

შუადღის ნამაზის ფარძიც, სუნნეთის მსგავსად ილოცება. თუმცა ფარძის წინ მამაკაცები ჯერ ყამეთს იკითხავენ (ქალები ყამეთს არ კითხულობენ). მლოცველი, გულით **შუადღის ნამაზის ფარძის ლოცვის ნიეთს გააკეთებს.** სამ და ოთხ რექაღათიანი ფარძების მესამე და მეოთხე რექაღათებზე მხოლოდ ფათიხა იკითხება, დამატებით აიეთი ან ზემი სურე არ იკითხება.

შუადღის ნამაზის ბოლო სუნნეთიც დილის ნამაზის სუნნეთის მსგავსად ილოცება. მხოლოდ დაწყებისას **შუადღის ნამაზის ბოლო სუნნეთის ლოცვის** ნიეთს გააკეთებს.

3 – იქინდი ნამაზი

იქინდი ნამაზის სუნნეთი 4 რექაღათია. მლოცველი, ჯერ გულით იქინდი **ნამაზის სუნნეთის ლოცვის** ნიეთს გააკეთებს. როგორც დილის ნამაზის სუნნეთი, ისეთნაირად ჯერ ორ რექაღათ სუნნეთს ილოცავს, დაჯდება, ეთთეხიათის შემდეგ ელლაჰუმმე სალლი ელლაჰუმმე ბარიქ დუებს იკითხავს და ელლაჰუ ექბერ თქმით მესამე მუხლზე ადგება. ჯერ სუბხანეს, შემდეგ ეღუზუ ბისმილით ფათიხას და ზემი სურას იკითხავს. ასეთნაირად მესამე და მეოთხე რექაღათს ილოცავს. დაჯდება, ეთთეხიათუ, ელლაჰუმმე სალლი, ელლაჰუმმე ბარიქ და დანარჩენ დუებს იკითხავს და სელამს მისცემს.

იქინდი ნამაზის ფარძი, შუადღის ნამაზის ფარძის მსგავსად ილოცება. მაგრამ ნიეთი განსხვავდება. მლოცველი, გულით **იქინდი ნამაზის ფარძის ლოცვის ნიეთს გააკეთებს.** ფარძი ნამაზების წინ მამაკაცებმა ყამეთის კითხვა არ უნდა დაივიწყონ.

4 – საღამოს ნამაზი

საღამოს ნამაზი ჯერ ფარძი ილოცება, შედეგ სუნნეთი. მლოცველი ჯერ ყამეთს იკითხავს, შემდეგ გულით **საღამოს ნამაზის ფარძის** ლოცვის ნიეთს გააკეთებს. სამ რექაღათ ფარძს ილოცავს. პირველ ორ რექაღათს დილის ნამაზის ფარძის მსგავსად ილოცავს. ეთეხიათის კითხვის შემდეგ ელლაჰუ ექბერ თქმით მესამე მუხლზე ადგება. მხოლოდ ფათიხას იკითხავს, რუქუღსა და სეჯდეს შეასრულებს,

დაჯდება, ეთთეხიათუ, ელლაჰუმმე სალლი, ელლაჰუმმე ბარიქ, რაბბენა ათინა და მსგავს დუებს იკითხავს და სელამს მისცემს.

ფარძის შემდეგ, **საღამოს ნამაზის სუნნეთის სალოცავად** გულით ნიეთს გააკეთებს და დილის ნამაზის სუნნეთის მსგავსად ორ რექაღათ სუნნეთს ილოცავს.

5 – იასი ნამაზი

იასი ნამაზის პირველი სუნნეთი იქინდი ნამაზის სუნნეთის მსგავსად ილოცება. შემდეგ მლოცველი, ყამეთს იკითხავს და შუადღის ნამაზის ფარძის მსგავსად ოთხ მუხლ ფარძს ილოცავს. ფარძის შემდეგ, იასი ნამაზის ორი მუხლი ბოლოო სუნნეთი ისე ილოცება, როგორც დილის ნამაზის ორი მუხლი სუნნეთი. **განსხვავება მხოლოდ ნიეთებშია.**

ვითირ ნამაზი

ვითირ ნამაზის ლოცვა ვაჯიბია. იასი ნამაზის შემდეგ ილოცება, სამი რექაღათია და ყოველ რექაღათზე ფათიხას შემდეგ ზემი სურა იკითხება. ვითირ ნამაზი შემდეგნაირად ილოცება: მლოცველი ჯერ გულით ნიეთს გააკეთებს **("იარაბბი ნიეთს ვაკეთებ, შენი კმაყოფილებისათვის დღევანდელი ვითირ ნამაზის სალოცავად. ელლააჰუ ექბერ")**. თექბირს აიღებს და საბახნამაზის სუნნეთის მსგავსად ორ რექაღათს ილოცავს. დაჯდება, მხოლოდ ეთთეხიათს იკითხავს და ელლააჰუ ექბერ თქმით მესამე რექაღათზე ადგება. ბისმილით ფათიხას და ზემი სურას კითხვის შემდეგ რუქუღზე წაუსვლელად ხელებს ჩამოუშვებს და ელლააჰუ ექბერ თქმით თექბირს აიღებს. შემდეგ ხელებს შეკრავს და ყუნუთის დუებს იკითხავს. (ყუნუთის დუები წინა გვერდებშია მოცემული). შემდეგ ხელებს ჩამოუშვებს

და ჩვეულებრივ სხვა ნამაზების მსგავსად რუქუღ-სეჯდეს შეასრულებს, ეთთეხიათს, ელლაჰუმმესელლი ელლაჰუმმე ბარიქს და სხვა დუებს იკითხავს და სელამს მისცემს.

ხუთი დროის ნამაზის რექაღათების რაოდენობა:

1 - ფარძი:

დილის: 2, შუადღის: 4, იქინდის: 4, საღამოს: 3, იასის: 4. **სულ 17 რექაღათია.**

2 - ვაჯიბი:

ვითირ ნამაზის მხოლოდ **3 რექაღათია.**

3 - სუნნეთი მუექქედე:

დილის: 2, შუადღის: 4+2, საღამოს: 2, იასის: 2. **სულ 12 რექაღათია.**

4 - სუნნეთი ღაირი მუექქედე:

იქინდის: 4, იასის: 4. **8 რექაღათია.**

ამგვარად დღე ღამის განმავლობაში 5 დროის ნამაზის რექაღათების (ფარძების, ვაჯიბების და სუნნეთების) საერთო რაოდენობა 40-ია.

სეჰივ სეჯდე
(შეცდომის სეჯდე)

სეჰივ სეჯდე ნამაზის ლოცვისას დავიწყებით, ან უყურადღებობით გამოწვეული ნაკლოვანების ან ზედმეტობის გამოსასწორებლად, ლოცვის ბოლოს გასაკეთებელი ვაჯიბი სეჯდეა.

სეჰივ სეჯდე რისთვის კეთდება

სეჰივ სეჯდე ნამაზის ლოცვისას რომელიმე ვაჯიბის გამოტოვების ან დაგვიანების, ფარძის კი მხოლოდ დაგვიანების შემთხვევაში კეთდება. ფარძის გამოტოვების შემთხვევაში სეჰივ სეჯდე არ არის საკმარისი, ნამაზის ხელმეორედ ლოცვაა საჭირო.

ნამაზის სუნნეთებიდან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში სეჰივ სეჯდე არ საჭიროებს.

თუ მლოცველი ხმადაბლა კითხვის ნაცვლად ხმამაღლა იკითხავს, ვითირ ნამაზის დროს ყუნუთს გამოტოვებს, ან ოთხ რექაღათიანი ნამაზის დროს დაავიწყდება და მეორე რექაღათის ბოლოს არ დაჯდება, შეცდომის სეჯდეს გააკეთებს. ასეთნაირად ნაკლოვანება სრულყოფილი გახდება და შეცდომა გამოსწორდება.

როგორ კეთდება სეჰივ სეჯდე

დაშვებული შეცდომის გამო, როდესაც სეჰივ სეჯდეს გაკეთება გახდება საჭირო, მარტოდ მლოცველი ეთთეხიათის წაკითხვის შემდეგ ორივე მხარეს სელამს მისცემს და ორჯერ მიყოლებით სეჯდეს გააკეთებს, იმამი მხოლოდ მარჯვენა მხარეს სელამს მისცემს და ორჯერ

მიყოლებით სეჯდეს გააკეთებს. შემდეგ დაჯდება ეთეხიათს, ელლაჰუმმე სალლი, ელლაჰუმმე ბარიქს და სხვა დუებს იკითხავს და სელამს მისცემს.

ჯუმა ნამაზი

ჯუმა ნამაზი პარსკევ დღეს, შუადღისას ჯემაღათით სალოცავი ფარძი ნამაზია. ხუთი დროის ნამაზის პირობებთან ერთად, ჯუმა ნამაზს ორი პირობა კიდევ აქვს:

1 - ვუჯუბის პირობა (ე.ი. რა პირობებშია სავალდებულო).

2 - სიხხათის პირობა (ე.ი. რა პირობების დაცვით იქნება მიღებული).

ჯუმა ნამაზის ვუჯუბის პირობა შვიდია:

1. მამაკაცი უნდა იყოს (ქალი ან ორსქესიანი (ქალ-კაცა) არ უნდა იყოს).
2. თავისუფალი უნდა იყოს (ტყვეზე, მონაზე, პატიმარზე ჯუმა ნამაზი ფარძი არ არის).
3. მუყიმი უნდა იყოს (მგზავრისთვის, რომელიც 90 კმ-ზე მეტს მიდის ფარძი არ არის).
4. ჯანმრთელი უნდა იყოს (თუ იმდენად ავად იქნება, რომ სალოცავ ადგილამდე ვერ მივა, ფარძი არ არის).
5. მხედველობა უნდა ჰქონდეს (ბრმისთვის ფარძი არ არის)
6. ფეხები ჯანსაღი უნდა ჰქონდეს (პარალიზებულისთვის ფარძი არ არის)

7. ნამაზზე წასასვლელად რაიმე ხელს არ უნდა უშლიდეს (მტრის შიშის, თავსხმა წვიმის, ქარბუქისა და სტიქიური მოვლენების დროს ფარძი არ არის).

ჯუმა ნამაზის სიხხათის პირობა ექვსია:

1. ჯუმა ნამაზის სალოცავი ადგილი ცენტრი უნდა იყოს (ნებადართულ სოფლებშიც შეიძლება).
2. ჯუმა ნამაზი ხელმძღვანელმა, ან ხელმძღვანელობის მიერ დანიშნულმა იმამმა უნდა ალოცოს.
3. ჯუმა ნამაზის ლოცვა შუადღის ნამაზის დროს უნდა შესრულდეს.
4. ჯემაღათის წინაშე ხუთბე უნდა იქნას წაკითხული.
5. იმამის გარდა, არანაკლებ სამი მლოცველი უნდა იყოს.
6. ჯუმის სალოცავი ადგილი ყველასთვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ჯუმა ნამაზის ნიეთი და ლოცვა

თავდაპირველად ჯუმა ნამაზის ოთხი რექაღათი პირველი სუნნეთი ილოცება. ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: ,,იარაბბი ნიეთს ვაკეთებ ჯუმა ნამაზის სუნნეთის სალოცავად, ელლააჰუ ექბერ,“ ასეთნაირად სუნნეთი ილოცება. შემდეგ იმამის მიერ ნაკითხ ხუთბეს მოვისმენთ. შემდეგ ნიეთს გავაკეთებთ და იმამთან ერთად ორ რექაღათ ფარძს ვილოცავთ. ნიეთი შემდეგნაირია: **,,იარაბბი ნიეთს ვაკეთებ ჯუმა ნამაზის ფარძის სალოცავად, მივყვები იმამს."** სელამის მიცემის შემდეგ, ნიეთს გავაკეთებთ ჯუმა ნამაზის ბოლო სუნნეთის სალოცავად და პირველი სუნნეთის მსგავსად ოთხ რექაღათს ვილოცავთ.

შემდეგ ოთხი რექათისგან შემდგარი ზუხრი ახირი[1] ნამაზი ილოცება. ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: **,,იარაბბი ნიეთს ვაკეთებ ზუხრი ახირი ნამაზის სალოცავად**." ამგვარად ჯუმის პირობებიდან რომელიმე სრულყოფილად თუ არ შესრულდა და ჯუმა ნამაზი ყაბული არ გახდა, შუადღის ნამაზი ნალოცად ჩაითვლება. თუ ჯუმა ნამაზი ყაბული გახდა მაშინ ბოლოს გამოტოვებული შუადღის ნამაზის ფარძის ანაზღაურებად ჩაითვლება.

შემდეგ შუადღის ნამაზის ბოლო სუნნეთის მსგავსად ორი რექაღათი დროის სუნნეთი ილოცება. ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: **,,იარაბბი ნიეთს ვაკეთებ დროის სუნნეთის სალოცავად ელლააჰუ ექბერ“**.

მლოცველმა ჯუმა ნამაზის ფარძის შემდეგ თუ ეს 10 რექაღათი არ ილოცა და თუ პირობების ნაკლოვანების გამოც ჯუმა ნამაზი ყაბული არ გახდა, შუადღის ნამაზი ვალად დარჩება. ამიტომ ჯუმის ფარძის შემდეგ ეს ათი რექაღათი არავითარ შემთხევაში არ უნდა გამოვტოვოთ.

ბაირამ ნამაზი

ვისზეც ჯუმა ნამაზის ლოცვა ფარძია, მისთვის ბაირამ ნამაზი ვაჯიბია.

ორი ბაირამ ნამაზი არსებობს: ერთი **რამაზნის ბაირამ ნამაზი** და მეორე **ყურბან ბაირამ ნამაზი.**

ბაირამ ნამაზის ლოცვის დრო მზის ამოსვლიდან 45 წუთის შემდეგ იწყება.

[1] **ზუხრი ახირი:** პიროვნებაზე უკანასკნელად ვალად დარჩენილი შუადღის ნამაზი.

ბაირამ ნამაზი ორი რექაღათია. ჯემაღათით ილოცება. საბახნამაზის ფარძის მსგავსად ილოცება და ყოველ რექაღათზე დამატებით სამი თექბირი აიღება.

სამი თექბირი პირველ რექაღათზე სუბხანექეს კითხვის შემდეგ - ფათიხას კითხვამდე, სამიც მეორე რექაღათზე ფათიხას და ზემმი სურას კითხვის შემდეგ - რუქუღის შესრულებამდე. ეს ექვსი თექბირი ვააჯიბია. ორი რუქუღის თექბირიც ვაჯიბ თექბირებთან ახლოსაა და ისიც ვააჯიბია. იფთითაჰ თექბირი (დასაწყისის თექბირი) ყველა სხვა ნამაზების მსგავსად ბაირამ ნამაზისთვისაც ფარძია. დანარჩენი თექბირები კი სუნნეთია.

ბაირამ ნამაზის დროს, ხუთბე ნამაზის შემდეგ იკითხება. რამაზან ბაირამის ხუთბეზე **ფითრის** შესახებ, ყურბან ბაირამის ხუთბეზე კი **ყურბნის** შესახებ ვაიზი გაკეთდება.

ყურბან ბაირამზე, არაფა დღის დილის ნამაზიდან დაწყებული ბაირამის მეოთხე დღეს იქინდი ნამაზამდე (სულ 23 ნამაზი) ფარძების შემდეგ ამ თექბირის კითხვა ვააჯიბია:

„ელლააჰუ ექბერ, ელლააჰუ ექბერ, ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ველლააჰუ ექბერ. ელლააჰუ ექბერ ველილლააჰილ ხამდ“

ამ თექბირს ქალიც და კაციც, როგორც ჯემაღათით, ისე მარტოდ ლოცვის დროსაც კითხულობენ.

გამოტოვებული ნამაზები

ყველა ზრდასრულ და ჭკვიან მუსლიმანს რელიგიური სხვა წესების დაცვასთან ერთად, ხუთი დროის ნამაზის ლოცვა ევალება. არ უნდა გამოტოვოს არცერთი დროის ნამაზი. ალლაჰუ თეღალა ყურანი ქერიმში 55 ადგილას ყველა მუსლიმანს ნამაზის ლოცვას უბრძანებს. ამასთანავე 33 ადგილას ნამაზი ზექათთან ერთად არის ნაბრძანები.

ნამაზის შესახებ ბევრი აიეთი არსებობს, რაც მის უდიდეს მნიშვნელობაზე მიანიშნებს. ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ერთერთ ხადისში ბრძანებს: **,,ყიამეთის დღეს პიროვნებას პირველად ნამაზის შესახებ მოეკითხება.“** შესაბამისად ნამაზის შესახებ ადვილად პასუხის გამცემი, დანარჩენ საკითხებზეც ადვილად გასცემს პასუხს. მთელ რიგ ფიყჰის (ისლამის საკითხების) წიგნებში ნამაზის ლოცვის, არ გამოტოვებისა და გამოტოვებული ნამაზის სასჯელის სიმკაცრის შესახებ არის გადმოცემული.

პიროვებამ ერთი გამოტოვებული ნამაზის ნაცვლად მილიონობით სადაყა რომ გასცეს, ან მის მიერ შესასრულებელი ორი რექაღათის ნაცვლად სხვამ ასი რექაათიც რომ ილოცოს, ნამაზის ვალი მოხდილი არ ექნება.

ნამაზი ვისზეც ფარძია, მხოლოდ მის მიერ უნდა იქნეს შესრულებული. თუ ვინმეს სიზარმაცით, ან დავიწყებით გამოტოვებული ნამაზები აქვს, უნდა აანაზღაუროს და დაგვიანებით ლოცვის გამო ალლაჰუ თეღალას პატიება უნდა სთხოვოს.

გამოტოვების შემთხვევაში მხოლოდ ფარძი და ვითირ ნამაზების ანაზღაურებაა სავალდებულო. ანაზღაურების მიზნით გამოტოვებული სუნნეთი ნამაზები შემდეგში არ ილოცება.

გამოტოვებული ნამაზები ქერაჰეთის დროის გარდა ყოველთვის ილოცება.

ვისაც გამოტოვებული ნამაზები აქვს, მას შეუძლია თეჰეჯჯუდ, ევვაბინ, დუხა, თესბიხ ნამაზი და ძვირფას ღამეებში სალოცავი სხვა ნაფილე ნამაზებიც ილოცოს. იმის თქმა, რომ ვისაც გამოტოვებული ფარძი ნამაზების ვალი აქვს სხვა ნამაზებს ვერ ილოცავს, ვიდრე გამოტოვებულს არ აინაზღაურებსო, არ არის სწორი. (იბნი აბიდინის წიგნი ტ. 1 გვ. 688.)

ზოგიერთი ნაფილე ნამაზი

პიროვნებამ ფარძი ნამაზების შესრულებასთან ერთად უნდა შეეცადოს ნაფილე ნამაზების (ევვაბინ, დუხა თეჰეჯჯუდი, თესბიხ ნამაზის) ლოცვას. ამ ნამაზების ლოცვა განუსაზღვრელი მადლია. ერთ ხადისი ყუდსში ალლაჰუ თეღალა ბრძანებს: **"ადამიანი ფარძების შესრულებით ჩემი სასჯელისგან გადარჩება, ხოლო ნაფილეებით დამიახლოვდება."**

ევვაბინ ნამაზი

ევვაბინ ნამაზის ლოცვას 100 სიკეთე (ღვთიური ჯილდო) აქვს. ალლაჰუ თეღალა ამ სიკეთის 75-ს ახირეთში და 25-ს ამ ქვეყნად მისცემს. ამ ნამაზის შემსრულებლები მახშერის (განკითხვის დღის) გაჭირვებას არ ნახავენ.

ევვაბინ ნამაზი საღამოს ნამაზის შემდეგ, იასი ნამაზის დროის შესვლამდე ილოცება. 6 რექაღათია. ყოველ ორ რექაღათზე სელამი მიიცემა, ნიეთიც შემდეგნაირად კეთდება: **„იარაბბი ნიეთს ვაკეთებ ევვაბინ ნამაზის სალოცავად ელლააჰუ ექბერ“...**

დუხა ნამაზი

დუხა ნამაზის, ლოცვასაც 100 სიკეთე აქვს. ალლაჰუ თეღალა ამ სიკეთის 75-ს ამქვეყნად, 25-ს იმქვეყნად მისცემს. ამ ნამაზის მლოცველები ამქვეყნად გაჭირვებას არ ნახავენ. დუხა ნამაზის (ყუშლუღის ნამაზი) ლოცვის დრო მზის ამოსვლიდან 45 წუთის შემდეგ იწყება და ზევალამდე[2] გრძელდება. დუხა ნამაზი ყოველ ორ მუხლზე სელამის მიცემით 6 რექაღათი ილოცება. ბოლო 2 რექაღათი დამჯდარი ილოცება. ყოველი ორი რექაღათისთვის ცალ-ცალკე ნიეთი კეთდება.

მაგ: პირველი ორი რექაღათი მოცემულ ამქვეყნიურ ნიღმეთზე მადლიერების გამოხატვის ნიშნად ილოცება: **„იარაბბი ნიეთს ვაკეთებ ნიღმეთი სუბხანიეს სამადლობელოდ დუხა ნამაზის სალოცავად ელლააჰუ ექბერ“.**

მეორე ორი რექაღათი მოცემულ ისლამის ნიღმეთზე მადლიერების გამოხატვის ნიშნად ილოცება: **„იარაბბი ნიიეთს ვაკეთებ ნიღმეთი ისლამიეს სამადლობელოდ დუხა ნამაზის სალოცავად ელლააჰუ ექბერ“.**

მესამე ორი რექაღათი ხზ. მუხამმედ (ს.ა.ვ.)-ის უმმეთიდან ყოფნის ნიღმეთზე მადლიერების გამოხატვის ნიშნად (დამჯდარი) ილოცება: **„იარაბბი ნიეთს ვაკეთებ უმმეთი მუხამმედიდან ყოფნის სამადლობელოდ დუხა ნამაზის სალოცავად „ელლააჰუ ექბერ''.**

---

[2] ზევალი: პერიოდი როცა მზე ზენიტში იმყოფება. შუადღის ლოცვის დროის შესვლამდე 20 წუთის განმავლობაში.

თეჰეჯჯუდ ნამაზი

თეჰეჯჯუდ ნამაზის მადლი უსაზღვროა. ვინც ილოცავს მისი ვედრება მიღებული იქნება და სულიერადაც ამაღლდება. ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ამ ნამაზს ყოველთვის ლოცულობდა. თეჰეჯჯუდ ნამაზის დრო შუა ღამიდან იმსაქამდე გრძელდება (მაგ: თუ შუა დღის ნამაზის დრო დღის 13:30 სთ-ზე იწყება მაშინ თეჰეჯჯუდ ნამაზის დროც ღამის 01:30 სთ-ზე დაიწყება). ეს ექვსი რაქაღათი ერთი ნიეთით ილოცება. ყოველ ორ რექაღათზე სელამი მიიცემა. ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: **„იარაბბი ნიეთს ვაკეთებ თეჰეჯჯუდ ნამაზის სალოცავად ელლააჰუ ექბერ“**.

თესბიხ ნამაზი

თებიხ ნამაზი მთელი სხეულით შესასრულებელი, ერთერთი ყველაზე დიდი მონანიებაა.

ხზ. ფეიღამბერმა (ს.ა.ვ.) თავის ბიძას ხზ. აბბასს (რ.ა.) შემდეგნაირად უთხრა: „ეი ჩემო საყვარელო ბიძა, მე შენ ათი სახის ცოდვის პატიებისათვის ერთ ძვირფას რაღაცას გასწავლი, როცა მას შეასრულებ დიდი თუ პატარა, წარსული თუ მომავალი, ძველი თუ ახალი, შეგნებით თუ შეუგნებლად, ღიად თუ ფარულად ჩადენილი ყველა ცოდვა გეპატიება. ეს თესბიხ ნამაზის ლოცვითაა შესაძლებელი... თუკი ძალა გეყოფა ეს ნამაზი ყოველ დღე ილოცე, ყოველ დღეს თუ ვერ შეძლებ კვირაში ერთხელ ილოცე, თუ ამასაც ვერ შეძლებ თვეში ერთხელ მაინც ილოცე, თუკი ამასაც ვერ შეძლებ წელიწადში ერთხელ ილოცე და ესეც თუ ვერ შეძელი სიცოცხლეში ერთხელ მაინც ილოცე.

თესბიხ ნამაზი როგორ ილოცება?

თესბიხ ნამაზი 4 მუხლისაგან შედგება და 300 - ჯერ შემდეგი თესბიხი იკითხება:

سُبْحَانَ اللّٰهِ وَالْحَمْدُ لِلّٰهِ وَلَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاللّٰهُ اَكْبَرُ

وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ اِلَّا بِاللّٰهِ الْعَلِيِّ الْعَظِيمِ ۞

"სუბხანელლაჰი ველხამდუ ლილლაჰი ველაა ილააჰე ილლელლააჰუ ველლააჰუ ექბერ, ვე ლაა ხევლე ვე ლაა ყუვვეთე ილლაა ბილლაჰილ-ალიილ აზიიმ".

ეს დუა ნამაზში შემდეგი თანმიმდევრობით იკითხება:

15 ჯერ სუბხანექეს შემდეგ (ფათიხას კითხვამდე)

10 ჯერ ზემი სურას შემდეგ

10 ჯერ რუქუღზე (თესბიხის შემდეგ)

10 ჯერ რუქუღიდან გასწორების შემდეგ

10 ჯერ სეჯდეზე (თესბიხის შემდეგ)

10 ჯერ სეჯდეებს შორის დაჯდომისას

10 ჯერ მეორე სეჯდეზე (თებიხის შემდეგ)

ეს დუა ყოველ მუხლზე 75-ჯერ იკითხება.

მესამე და მეოთხე მუხლიც პირველი ორი მუხლის მსგავსად ილოცება. მეორე მუხლზე ეთეხიათის კითხვის შემდეგ ელლაჰუმმე სალლი, ელლაჰუმმე ბაარიქ დუებიც იკითხება, ხოლო მესამე მუხლზე ადგომისას სუბხანექე იკითხება.

ძვირფასი პიროვნებები თესბიხ ნამაზის ხშირად შესრულებას გვირჩევენ. მისი ლოცვის ჩვევად ქცევა მუსთეხაბია. თესბიხ ნამაზის ჯემაათით ლოცვაც დაშვებულია, იმისათვის რომ ვინც ლოცვა არ იციან მათაც სარგებელი ნახონ. იმამი როცაალოცებს ხმამაღლა კითხულობს, ჯემაღათი კი უსმენს.

ჯენაზეს საკითხი

მომაკვდავი მუსლიმანი სახით ყიბლისკენ, მარჯვენა მხარზე უნდა დავაწვინოთ. მასთან ქელიმეი შეჰადეთი და ყურანი უნდა ვიკითხოთ.

როცა გარდაიცვლება ყბა უნდა შევუკრათ, თვალები უნდა დავახურინოთ და ხელები გვერდებზე გავუსწოროთ. რომ არ გასივდეს მუცელზე რკინის საგანი უნდა დავადოთ. სანამ არ დაიბანება მასთან ყურანი ქერიმი არ იკითხება, სხვა ოთახში კითხვა შეიძლება. დაბანის დროს ისე უნდა დავაწვინოთ რომ ფეხები ყიბლის მიმართულებით იყოს. ტანსაცმელი უნდა გავხადოთ, ისე რომ სასირცხო ადგილები არ გამოუჩნდეს. ჯენაზე გამთბარი წყლით დაიბანება.

დამბანელმა თავდაპირველად ხელზე ნაჭერი უნდა დაიხვიოს და სასირცხო ადგილები საფარის მოუხსნელად დაბანოს. პირში და ცხვირში წყლის მიუცემლად აბდესი უნდა ააღებინოს (თუ ცნობილია რომ გარდაცვლილი ჯუნუბი იყო პირში და ცხვირში წყალს გამოუვლებს). თუ ჯუნუბი არ არის, ტუჩების შიგნითა და გარეთა ნაწილის, ცხვირის ხვრელების და ჭიპის ხვრელის მესჰი (სველი ხელით შეხება) საკმარისია.

თავი და წვერი საპნითა და წყლით დაიბანება, მაგრამ თმები არ დაივარცხნება. დამბანელმა მიცვალებული ჯერ მარცხენა მხარზე უნდა დააწვინოს და ზურგის მარჯვენა მხარე დაბანოს, შემდეგ მარჯვენა მხარეს დააწვენს და ზურგის მარცხენა მხარეს დაბანს. შემდეგ თავსა და წელსზევით ტანს ცოტათი წამოაწევიებს და მუცელზე მსუბუქად მასაჟს გაუკეთებს. თუ რაიმე სიბინძურე გამოვა ბლომად წყლით დაბანს. განმეორებით აბდესის აღება და დაბანა აღარ საჭიროებს. სუფთა ნაჭრით შეამშრალებს და ქეფენში გაახვევს.

ქეფენი

ქეფენი გარდაცვლილი მუსლიმანის დასაფლავებისათვის გასახვევი ნაჭერია.

ქეფენი მამაკაცებისათვის ყამისი (პერანგი), იზარი და ლიფაფეა; ქალებისათვის კი ყამისი, იზარი, ლიფაფე, თავსაფარი და მკერდის შესაკრავი ნაჭერია.

საჭირო რაოდენობის ნაჭერი თუ არ იშოვება, მამაკაცებისათვის იზარი და ლიფაფე; ქალებისათვის კი იზარი, ლიფაფე და თავსაფარი საკმარისია. თუ სათანადო რაოდენობის ნაჭერი არ იშოვება, გარდაცვლილის ერთ ნაჭერში შეხვევა და დასაფლავება შეიძლება. ქეფენისთვის ბაზისგან დამზადებული თეთრი ნაჭერის გამოყენება უკეთესია.

ჯენაზე ქეფენში როგორ შეიხვევა

ჯენაზე ჯერ **ყამისში**: (პერანგია რომელიც სხეულს მხრებიდან მუხლების ჩათვლით უნდა ფარავდეს და გვერდები შეკერილი არ უნდა ჰქონდეს),

შემდეგ **იზარში** გაიხვევა: (ნაჭერია რომლითაც გარდაცვლილი თავიდან ფეხების ჩათვლით შეიხვევა),

შემდეგ **ლიფაფეში** შეიხვევა და ორივე ბოლო შეიკვრება. ქეფენში შეხვევას მარცხენა მხრიდან ვიწყებთ, ისე რომ მარჯვენა მხარე ზემოდან მოექცეს. ქეფენს ჯიბე და საყელო არ უკეთდება. გვერდები არც იკვრება და არც იკერება. ქალებისათვის თავსაფარი ყამისის ზევიდან იზარის ქვეშ, მკერდის შესაკრავი კი იზარის ზემოდან ლიფაფის ქვეშ უნდა მოექცეს.

ამრიგად კაცებისთვის ქეფენი 3, ქალებისთვის კი 5 ნაწილია.

ჯენაზე ნამაზი

ჯენაზე ნამაზი გარდაცვლილ მუსლიმან ძმაზე დუის გაკეთების მიზნით შესასრულებელი ფარძი ქიფაიეა.

ჯენაზე ნამაზის ლოცვის პირობები შემდეგია:

1. გარდაცვლილი მუსლიმანი უნდა იყოს. თუ გარდაცვლილის ვინაობა ცნობილი არ არის და მუსლიმანობა საეჭვოა, ჯენაზე არ ილოცება.

2. მუსლიმანი დაბანილი და ქეფენში გახვეული უნდა იყოს.

3. მიცვალებული იმამისა და ჯემაღათის წინაშე უნდა იყოს.

4. მიცვალებულის სხეული მთელი ან ნახევარზე მეტი უნდა იყოს. თუ თავი არ აქვს და სხეულის ნახევარიც არ არის, ჯენაზე არ ილოცება, არც დაიბანება. ერთ თეთრ ნაჭერში შეიხვევა და დაიმარხება.

ჯენაზე ნამაზის ლოცვა

ჯენაზე ნამაზი ოთხი თექბირია და ფეხზე დგომით ილოცება. ამ ნამაზის დროს სეჯდე და რუქუღი არ კეთდება.

იმამი ჯენაზეს გულმკერდის მოპირდაპირედ დადგება. ჯემაღათიც იმამის უკან მწკვრივს გააკეთებს. იმამი ჯემაღათს ჯენაზე კაცია თუ ქალი გამოუცხადებს. იმის მიხედვით ნიეთი გაკეთდება. მაგ: **„იარაბბი ნიეთს ვაკეთებ წინ მდებარე მამაკაცის (ან ქალის) ჯანაზა ნამაზის სალოცავად. ნამაზი ალლაჰის წყალობისათვის, დუა მიცვალებულის სულისთვის, მივყვები იმამს ელლააჰუ ექბერ.“** პირველ თექბირზე ხელები ყურებამდე აიწევა და

ჭიპს ქვემოთ შეიკვრება, სუბხანექე **,,ვეჯელლე სენააუუქე**"-ერთად წაიკითხება. შემდეგ ხელების შეუხსნელად, მეორე თექბირი იმამთან ერთად აიღება, თექბირებს იმამი ხმამაღლა და ჯემაღათი ხმადაბლა ამბობს. მეორე თექბირის შემდეგ **,,ელლაჰუმმე სალლი და ელლაჰუმმე ბაარიქ"** იკითხება. შემდეგ კვლავ ხელების აუღებლად მესამე თექბირი აიღება და ჯენაზეს დუა იკითხება.

ვინც ჯენაზეს დუა არ იცის **ელლაჰუმმე ინნა ნესთეღიინუქეს...,** ესეიგი ყუნუთის დუას იკითხავს, ან დუის ნიეთით **,,ფათიხა"**-ს იკითხავს. შემდეგ მეოთხე თექბირი აიღება, ხელები ჩამოიშვება და სელამი მიიცემა.

მესამე თექბირის შემდეგ საკითხავი ჯენაზეს დუა:

اَللّٰهُمَّ اغْفِرْ لِحَيِّنَا وَمَيِّتِنَا وَشَاهِدِنَا وَغَائِبِنَا وَكَبِيرِنَا وَصَغِيرِنَا وَذَكَرِنَا وَاُنْثَانَا. اَللّٰهُمَّ مَنْ اَحْيَيْتَهُ مِنَّا فَاَحْيِهِ عَلَى الْاِسْلَامِ وَمَنْ تَوَفَّيْتَهُ مِنَّا فَتَوَفَّهُ عَلَى الْاِيمَانِ . وَخُصَّ هٰذَا الْمَيِّتَ بِالرَّوْحِ وَالرَّاحَةِ وَالرَّحْمَةِ وَالْمَغْفِرَةِ وَالرِّضْوَانِ . اَللّٰهُمَّ اِنْ كَانَ مُحْسِنًا فَزِدْ فِى اِحْسَانِهِ وَ اِنْ كَانَ مُسِيئًا فَتَجَاوَزْ عَنْهُ وَلَقِّهِ الْاَمْنَ وَالْبُشْرٰى وَالْكَرَامَةَ وَالزُّلْفٰى بِرَحْمَتِكَ يَا اَرْحَمَ الرَّاحِمِينَ.

,,ელლაჰუმმეღფირ ლიხაიინაა ვე მეიითინაა ვე შააჰიდინაა ვე ღააიბინაა ვე ქებიირინაა ვე საღიირინაა ვე ზექერინაა ვე უნსაანაა. ელლაჰუმმე მენ ეხიეითეჰუუ მინნაა ფე'ეხიიჰი ღალელ ისლაამი ვე მენ თევეფფეითეჰუუ მინნაა ფეთევეფფეჰუუ ღალელ იიმაანი ვე ხუსსე ჰააზელ მეიითე ბირრევხი ვერრაახეთი ვერრახმეთი ველმაღფირეთი ვერრიდვაან, ელლაჰუმმე ინ ქაანე მუხსინენ ფეზიდ ფიი იხსაანიჰიი ვე ინ ქაანე მუსიი'ენ ფეთეჯაავეზ ღანჰუ ვე ლეყყიჰილ ემნე ველბუშრაა ველქერაამეთე ვეზზულფაა ბირახმეთიქე იაა ერხამერრაახიმიინ“.

მნიშვნელობა:

ღმერთო ჩემო, ჩვენ ცოცხლებს, მკვდრებს, აქ მყოფს და არმყოფს, დიდებს და პატარებს, კაცებს და ქალებს აპატიე. ღმერთო ცოცხლები ისლამის გზით გვაცხოვრე. ჩვენგან ვინც მოკვდება, იმანით წაიყვანე. ამ მიცვალებულს გაუადვილე, მოსვენება მიეცი და აპატიე. ღმერთო ეს მიცვალებული თუ მადლიანია, სიკეთე მოუმატე. თუ ცოდვილია, აპატიე. ის დაზღვეული ამყოფე, უმახარობლე წყალობა და შენთან სიახლოვე არგუნე. ეი! მწყალობელთა მწყალობელო.

თუ გარდაცვლილი ბიჭია, ჯენაზეს დუა ღალელ იიმაანის შემდეგ, შემდეგნაირად იკითხება: ,,ელლააჰუმმეჯღელჰუ ლენაა ფერატენ ვეჯღელჰუ ლენაა ეჯრან ვე ზუხრან. ელლაჰუმმეჯღელჰუ ლენაა შააფიღენ ვე მუშეფფეღენ.“

თუ გარდაცვლილი გოგო ბავშვია, ჯენაზეს დუა ღალელ იიმაანის შემდეგ, შემდეგნაირად იკითხება: ,,ელლაჰუმმეჯღელჰაა ლენაა ფერატენ ვეჯღელჰაა ლენაა ეჯრან ვე ზუხრაა. ელლაჰუმმეჯღელჰაა ლენაა შააფიღეთენ ვე მუშეფფეღეთენ“.

მნიშვნელოვანი შეხსენება:

1 - ბევრი ჯენაზეს მლოცველი, მეოთხე თექბირის დროს ხელებს ან სულ არ ხსნიან და ისე სელამს აძლევენ, ან მარჯვნივ სელამის მიცემისას მარჯვენა ხელს ჩამოუშვებენ, მარცხნივ სელამის მიცემისას მარცხენა ხელს ჩამოუშვებენ. ეს ორივე შემთხვევა არასწორია. სინამდვილეში მეოთხე თექბირის შემდეგ ხელები ჯერ ჩამოიჩვება და შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ სელამი მიიცემა. (დურერი ტ.1.გვ53)

2 - ზოგიერთები იმამის მიერ ,,ელლაჰუ ექბერ" თექბირის აღების დროს თავებს მაღლა სწევენ. ესეც შეცდომაა.

3 - ჯენაზეს სალოცავი ადგილი, ან ფეხსაცმელი თუ სუფთა არ არის მაშინ, ფეხსაცმლის გახდა და ზედ დადგომაა საჭირო.

საფლავი და დასაფლავება

ჯენაზეს ლოცვის შემდეგ ოთხივე მხრიდან დაჭერა და წაღება სუნნეთია. თუ შესაძლებელია 40 ნაბიჯით წაღება მაინც საჭიროა. გადაადგილება უნდა მოხდეს ჩქარი ნაბიჯებით და შერყევის გარეშე. ჯენაზეს წაღებისას ხმამაღლა კითხვა ან სასაფლაოზე ჯენაზეს ძირს დადებამდე დაჯდომა მექრუჰია.

საფლავი სულ ცოტა ნახევარი კაცის სიღრმის და ჯენაზეს თავისუფლად ჩასაშვები სიგანის უნდა იყოს. უფრო ღრმად მოთხრა უკეთესია. ამოთხრა როცა დამთავრდება, თუ მიწა მაგარია ლახთი კეთდება. ე.ი. მიცვალებულის მოსათავსებლად ყიბლის მხარეს მიწა გამოითხრება. მიცვალებული საფლავში ყიბლის მხრიდან ჩაესვენება, მარჯვენა მხარზე დაიწვინება, ისე რომ სახე ყიბლისკენ ჰქონდეს მიმართული.

ჩადებისას ითქმება: **,,ბისმილლააჰი ვე ღელაა მილლეთი რესუულილლაჰ.“** ქეფენის თავის და ფეხის მხარე თუ შეკრულია გაიხსნება. მიცვალებულს მიწა ზედ რომ არ დაეყაროს მერთეგები (ფიცრები) მიეფარება და შემდეგ მიწა დაეყრება. ამოთხრილი მიწა დაეყრება და ზედაპირიდან არანაკლებ ერთი მტკაველით ამაღლდება. აქლემის კუზის მსგავსი ფორმა მიეცემა, ოთხკუთხედად არ გაკეთდება. მიცვალებულის ვინაობა რომ არ დაიკარგოს საფლავის ქვაზე წარწერა დაშვებულია. მიცვალებულის სახლში ან სახლის მსგავსად გაკეთებულ ოთახში დამარხვა მექრუჰია, რადგან ასეთი რამ მხოლოდ ფეიღამბრებზეა განკუთვნილი. ძალით წართმეულ მიწაზე დამარხვა დაუშვებელია.

მიცვალებულის ახლობლებზე მისამძიმრება დამარხვიდან სამი დღის განმავლობაში შეიძლება. სამი დღის შემდეგ მექრუჰია.

მიცვალებულის სულისთვის ყურანი ქერიმის ხათმის და ქელიმეი თევხიდის (70 000-ს ჯერ **,,ლაა ილააჰე ილლელლააჰ მუხამმედუნრესუულულლაჰ“**) ხათმის კითხვა და ჩუქება საჭიროა. ამ და მსგავსი ხათმების (მაგ: 41 იასინი, 313 აიეთულ ქურსი, 1000-ჯერ იხლასი) კითხვას მიცვალებულისათვის დიდი მადლი და მნიშვნელობა აქვს. მიცვალებულის სულისათვის ღარიბებსა და გაჭირვებულებზე მატერიალური დახმარების სახით სადაყა გაიცემა.

საფლავის დაკითხვა

როდესაც ადამიანი მოკვდება და საფლავში ჩაასვენებენ, ორი მელაიქი (ანგელოზი) მოვა და მას ალლაჰუ თეღალადან, დინიდან (რჯულიდან), ფეიღამბრიდან, დაკითხვას ჩაუტარებს. ვისაც იმანი და ამელი (რწმენა და

ნამოქმედარი) კარგი აქვს, ალლაჰუ თეღალა იმ ადამიანს მელაიქების კითხვებზე პასუხის გაცემას გაუადვილებს. მაგრამ ურწმუნოები და ცოდვილები დამკითხავ (მუნქერ და ნექირ სახელის) მელაიქებს როგორც კი დაინახავენ შეეშინდებათ და პასუხს ვერ გასცემენ. მელაიქები პასუხის გამცემ მუსლიმანებს ჯენნეთს უმახარობლებენ და მათი საფლავი ჯენნეთის ბაღნარად იქცევა. ხოლო ცოდვილებს და ქააფირებს (ურწმუნოებს) რომლებიც პასუხს ვერ გასეცემენ, მელაიქები ეტყვიან: სირცხვილი შენ! და მათი საფლავი ჯეჰენნემის უფსკრულად გადაიქცევა.

საფლავის კითხვა-პასუხები

– შენი ღმერთი ვინ არის?

– ჩემი ღმერთი ალლაჰუ თეღალაა.

– შენი რჯული რომელია?

– ჩემი რჯული ისლამია.

– შენი ფეიღამბერი ვინ არის?

– ჩემი ფეიღამბერი მუხამმედ-მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ია.

– შენი ქითაბი-წიგნი რომელია?

– ჩემი ქითაბი ყურანი ქერიმია.

– შენი ყიბლე საითკენაა?

– ჩემი ყიბლე ქაღბეი მუაზზამაა.

სასაფლაოს მონახულება

კაცებისა და ქალების მიერ სასაფლაოზე მისვლა და საფლავების მონახულება მენდუბია (მოწონებული ქმედებაა). სასაფლაოზე ერთი ფათიხა და 11 იხლასი იკითხება და მიცვალებულის სულისთვის იჩუქება. ამასთანავე იაასინის და ელჰაქუმუთთექასურ... (თექასურ) სურას კითხვა და ჩუქება მუსთეხაბია. კითხვის მიზნით

საფლავზე ჩამოჯდომა მექრუჰი არ არის, სხვა შემთხვევაში საფლავზე დაჯდომა, დაძინება, დაბინძურება მექრუჰია. თუ საფლავზე ფეხის დადგმა აუცილებელია მაშინ ერთი ფათიხა და 11 იხლასის სურა იკითხება, იქ მყოფი გარდაცვლილების სულებისთვის იჩუქება და შემდეგ ფეხის დადგმა და გავლა შეიძლება. საფლავზე ამოსული ბალახის მოგლეჯა, ხის მოჭრა მექრუჰია, რადგან მწვანე ხეები და ბალახები იქ მწოლიარე მკვდრის სულს ცოდვებს უმსუბუქებს. გამხმარი ხეების და ბალახების მოჭრა შეიძლება, მაგრამ უმჯობესია ამასაც მოვერიდოთ. საფლავზე მოჭრილი ხის სახლში წაღება და დაწვა არ შეიძლება.

სეფერის საკითხი

სეფერი ხმელეთზე აქლემით ან ფეხით 18 საათი სავალი მანძილის, ესეიგი 90 კმ-ის, ზღვაზე კი 60 მილის მანძილზე წასვლაა.

ამ მანძილზე წამსვლელ მგზავრს სტუმარი ჰქვია. რა საშუალებით და რა დროშიც არ უნდა გაიაროს ეს მანძილი, როცა წასვლას განიზრახავს და გზაში ჩადგება, სეფერის პირობებით ისარგებლებს.

სოფლის ან ქალაქის საზღვრებს რომ გასცდება მგზავრად ითვლება. რამაზნის თვეში თუ იმყოფება შეუძლია არ იმარხოს და ეს დღეები შემდეგში აანაზღაუროს. თუ ჯანმრთელობისთვის საზიანო არ იქნება, მისთვის მარხვა უკეთესია.

მგზავრი 4 რექაღათიან ფარძებს 2 რექაღათად ილოცავს. საღამოს ნამაზის ფარძს და ვითირ ნამაზს სრულყოფილად ილოცავს.

მგზავრობისას ხელსაყრელი პირობები და დრო თუ აქვს სუნნეთებს სრულყოფილად ილოცავს. თუ რაიმე სახის საფრთხე ან საშიშროება იქნება სუნნეთებს საერთოდ აღარ ილოცავს.

თუ პიროვნება ოთხ რექაღათიან ფარძებს, მგზავრობისას ორი მუხლის ნაცვლად, შეგნებულად ოთხ მუხლად ილოცავს შეცდომა იქნება. იმის გამო, რომ ფარძის ლოცვისას მეორე რექაღათზე სელამი არ მისცა, სეჰივ სეჯდეს გაკეთებაა საჭირო. თუ მგზავრი ნამაზს იმამთან ერთად ჯემააღეთით ლოცულობს, მაშინ იმამს მიყვება და ოთხივე მუხლს სრულად ილოცავს. თუ თვითონ იმამია ოთხ რექაღათიან ფარძს, ორ რექაღათს ილოცავს და სელამს მისცემს, ჯემაღათში მყოფი მგზავრიც მასთან ერთად სელამს მისცემს. თუ ჯემაღათი მგზავრი არ არის იმამის სელამის მიცემის შემდეგ ლოცვას გააგრძელებს. ყიამის დროს ფათიხას იკითხავს, ან ფათიხას კითხვის ტოლი დროით გაჩერდება და რუქუღს და სეჯდეს გააკეთებს.

ზემოხსენებული მგზავრი თუ მისულ სოფელში ან ქალაქში არანაკლებ 15 დღით გაჩერების გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ მგზავრად აღარ ითვლება და ნამაზს სრულყოფილად ილოცავს. მხოლოდ იქ მისვლამდე (მგზავრობისას) სეფერის პირობებით ისარგებლებს. თუ 15 დღით დარჩენაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მაგრამ ყოველთვის წასვლის მოლოდინში იქნება, თუ გინდ ეს წლობით გაგრძელდეს, მაინც მგზავრად ითვლება.

მგზავრი თუ საკუთარ სოფელში ან ქალაქში წავა, რამდენიც არ უნდა დარჩეს, ის მგზავრად არ ჩაითვლება და ნამაზებს სრულად ილოცავს.

მგზავრი სეფერში ყოფნისას განვლილ 4 რექაღათიან ფარძებს სახლში დაბრუნების შემდეგ ორ რექაღათს ილოცავს. სახლში ყოფნისას განვლილ 4 რექაღათიან ფარძებს თუ სეფერში ყოფნისას აანაზღაურებს, 4 რექაღათს ილოცავს.

საცხოვრებელი ადგილი სამნაირია:

1 - ვათანი ასლი;

2 - ვათანი იყამეთი;

3 - ვათანი სუქნა.

ვათანი ასლი: ის ადგილია სადაც ადამიანი დაიბადა და გაიზარდა, ან დაქორწინდა და საცხოვრებლად იქ დარჩა, ან ადგილი სადაც არც დაბადებულა და არც დაქორწინებულა მაგრამ მუდმივად იქ ცხოვრება გადაწყვიტა.

ვათანი ასლი შეიძლება სხვა ვათანი ასლმა ჩაანაცვლოს. მაგ: ადამიანი სადაც დაიბადა და გაიზარდა ეს მისთვის ვათანი ასლი იყო, მაგრამ როცა საცხოვრებლად სხვა ქალაქში ან სოფელში დასახლდება და (ოჯახის ერთად) იქ დარჩენას გადაწყვეტს, ეს მისთვის ახალი ვათანი ასლი იქნება. ასეთ შემთხვევაში ადრინდელ ვათანი ასლში თუ წავა და 15 დღეზე ნაკლები დროით გაჩერდება, 4 რექაღათიან ფარძებს 2 რექაღათად ილოცავს. ე.ი. სადაც ცხოვრობს ის ადგილია მისი ვათანი ასლი. ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) როდესაც მედინედან თავის ძველ ვათანი ასლში, მექქეში (სადაც დაიბადა, გაიზარდა და დაოჯახდა) წავიდა 4 მუხლიანი ფარძები 2 მუხლად ილოცა.

მამაკაცს ერთზე მეტი მეუღლე, რომ ჰყავდეს და ისინი სხვადასხვა ქალაქში საცხოვრებლად დაასახლოს, ამ არცერთ ქალაქში სეფერში არ იქნება.

ვათანი ასლი ვათანი იყაამეთით არ მოიშლება.

ვათანი იყამეთი: ადგილია სადაც მგზავრი 15 დღეზე მეტი ხნით დარჩენას გადაწყვეტს და ვათანი ასლიდან არანკლებ 90 კმ-ით არის დაშორებული. ვათანი იყამეთში ყოფნის დროს ნამაზები სრულყოფილად ილოცება. ვათანი იყამეთი სხვა ვათანი იყამეთით, ან ვათანი ასლში დაბრუნებით მოიშლება.

ვათანი იყამეთი ვათანი სუქნათი არ მოიშლება.

ვათანი სუქნა: ადგილია სადაც მგზავრი 15 დღეზე ნაკლები ხნით დარჩენას გადაწყვეტს და ვათანი ასლიდან 90 კმ-ით ან უფრო მეტით არის დაშორებული. ვათანი სუქნაში ყოფნის დროს 4 რექაღათიანი ფარძები 2 რექაღათად ილოცება.

ყურანი ქერიმში არსებული თილავეთის სეჯდეები

ყურანი ქერიმში თილავეთის სეჯდეს ადგილები კიდეებში: **سَجْدَه** – ასეთნაირადაა მონიშნული. ყურანის მკითხავი სეჯდეს აიათს როცა წაიკითხავს, მისთვის სეჯდეს გაკეთება ვაჯიბი გახდება. ეს პიროვნება ყიბლის მიმართულებით დადგება, ხელების აწევის გარეშე ,,ელლაჰუ ექბერ“ იტყვის და სეჯდეზე წავა. სეჯდეს დროს 3-ჯერ იტყვის: ,,სუბხაანე რაბბიელ ეღლაა." შემდეგ ,,ელლაჰუ ექბერ“ იტყვის და ფეხზე ადგება. ადგომისას ,,ღუფრანექე რაბბენა ვე ილეიქელ მესიირ“ იტყვის.

სეჯდე აიეთის გამგონზეც თილავეთის სეჯდეს გაკეთება ვაჯიბია.

ყურანი ქერიმში არსებული სეჯდეს აიეთები

1- აღრაფ სურა აიეთი 206
2- რაღდ სურა აიეთი 15
3- ნახლ სურა აიეთი 49
4- ისრა სურა აიეთი 107
5- მერიემ სურა აიეთი 58
6- ჰაჯ სურა აიეთი 18
7- ფურყან სურა აიეთი 60
8- ნემლ სურა აიეთი 25
9- სეჯდე სურა აიეთი 15
10- საად სურა აიეთი 24
11- ფუსსილეთ სურა ა. 37
12- ნეჯმ სურა აიეთი 62
13- ინშიყაყ სურა აიეთი 21
14- ალაყ სურა აიეთი 19

ძვირფას ღამეებში შესასრულებელი ღიბადეთები

მევლუდის ღამე

რებიულ ევველი თვის მეთორმეტე (ე.ი. 11 რიცხვის 12-ზე დამაკავშირებელ) ღამეს, ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) დაბადების ღამეა. ამ ღამეს თესბიხ ნამაზი ილოცება. ნამაზისათვის **ნიეთი შემდეგნაირად კეთდება**: „ია რაბბი შენი კმაყოფილების მოსაპოვებლად ნიეთს ვაკეთებ ნამაზის სალოცავად. ამ ძვირფასი ღამისა და ხზ. ფეიღამბრის მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.) სიძვირფასის ნიშნად მე, ამ უმწეო მორჩილს ცოდვები მაპატიე და შემიბრალე, ელლაჰუ ექბერ."

რეღაიბის ღამე

სამთვეულის დასაწყისი **რეჯების** თვის, პირველი ჯუმა (ე.ი. ხუთშაბათის პარასკევზე დამაკავშირებელი) ღამე **„რეღაიბის ღამეა."** ამ ღამეს საღამოსა და იასი ნამაზს შორის 12 მუხლი „ხააჯეთ ნამაზი" ილოცება. ყოველ 2 მუხლზე სელამი მიიცემა.

ხაჯეთ ნამაზის ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: "ია რაბბი ხზ. ფეიღამბრის მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.) სიძვირფასის ნიშნად შენი კმაყოფილება მომაპოვებინე, ცოდვები მაპატიე და გული შენი ნურით გამინათე. შენს მორჩილ და ღვთისმსახურ პიროვნებებს შორის მამყოფე, ამქვეყნიური და იმქვეყნიური უბედურებებისაგან დამიფარე, ელლაჰუ ექბერ."

ყველა მუხლზე 1ფათიხა, 3 ინნა ენზელნაჰუ... და 12 იხლასის სურა იკითხება. 12 რექაღათის დასრულების შემდეგ 7-ჯერ ან 70-ჯერ სელათი უმმიე იკითხება.

სელათი უმმიე:

اَللّٰهُمَّ صَلِّ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ النَّبِيِّ الْاُمِّيِّ وَعَلٰى اٰلِهٖ وَصَحْبِهٖ وَسَلِّمْ

"ელლაჰუმმე სალლი ღელაა სეიიდინაა მუხამმედინი ნნებიიილ-უმმიი ვე ღელაა აალიჰიი ვე სახბიჰიი ვე სელლიმ."

სეჯდე კეთდება და სეჯდეზე 70 ჯერ შემდეგი თესბიხი იკითხება:

سُبُّوحٌ قُدُّوسٌ رَبُّنَا وَرَبُّ الْمَلٰئِكَةِ وَالرُّوحِ

სუბბუუხუნ ყუდდუუსუნ რაბბუნაა ვე რაბბულ მელააააიქეთი ვერრუუხ.

სეჯდედან თავის აწევის შემდეგ, დამჯდარი, ერთხელ ეს დუა იკითხება:

رَبِّ اغْفِرْ وَارْحَمْ وَتَجَاوَزْ عَمَّا تَعْلَمُ اِنَّكَ اَنْتَ الْاَعَزُّ الْاَكْرَمُ

რაბბიღფირ ვერხემ ვეთეჯაავეზ ღემმაა თეღლემ. ინნექე ენთელ ეღეზზულ ექრემ.

კვლავ სეჯდე კეთდება და 70 ჯერ პირველ სეჯდეზე ნაკითხი "სუბბუუხუნ ყუდდუუსუნ რაბბუნაა ვე რაბბულ მელააააიქეთი ვერრუუხ" თესბიხი იკითხება.

მიღრაჯის ღამე

რეჯების თვის 27-ე (ე.ი. 26 რიცხვის 27-ზე დამაკავშირებელ) ღამეს მიღრაჯის ღამეა. ამ ღამეს იასი ნამაზის შემდეგ 12 მუხლი ხააჯეთ ნამაზი ილოცება. ყველა მუხლზე ერთი ფაათიხა და 10 იხლასის სურა იკითხება. ყოველ 2 რექაღათზე სელამი მიიცემა.

ნამაზის შემდეგ:

4 ფაათიხა-ი შერიფე;

100 ჯერ შემდეგი თესბიხი:

سُبْحَانَ اللّٰهِ وَالْحَمْدُ لِلّٰهِ وَلَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاللّٰهُ اَكْبَرُ

وَلَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ اِلَّا بِاللّٰهِ الْعَلِيِّ الْعَظِيمِ

სუბხაანელლააჰი ველ-ხამდუ ლილლააჰი ვე ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ველლააჰუ ექბერ. ვე ლაა ხავლე ვე ლაა ყუვვეთე ილლაა ბილლააჰილ ღალიიილ ღაზიიმ."

100-ჯერ:

اَسْتَغْفِرُ اللّٰهَ الْعَظِيمَ وَاَتُوبُ اِلَيْكَ

,,ესთაღფირულლააჰ ელღაზიიმ ვე ეთუუბუ ილეიქ“ იკითხება.

100 ჯერ: ,,ელლაჰუმმე სალლი ღელაა სეიიდინა მიხამმედინ ვე ღელაა ალი სეიიდინა მუხამმედ“ იკითხება.

ზემოხსენებული ნამაზის, 12 რექაღათის ნაცვლად 100 რექაღათის ლოცვაც შეიძლება.

ბერათის ღამე

შაღბანის თვის მეთხუთმეტე (ე.ი. 14 რიცხვის 15-ზე დამაკავშირებელი) ღამე ბერათის ღამეა. ამ ღამეს 100 მუხლი ნამაზი ილოცება, ვინც ამ ნამაზს ილოცავს და ამ წლის განმავლობაში გარდაიცვლება როგორც შეჰიდი ისე ჩაითვლება.

ამ ნამაზის ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: „ია რაბბი ნიეთს ვაკეთებ შენი კმაყოფილების მოსაპოვებლად ნამაზის სალოცავად, ცოდვები გვაპატიე და გულები შენი ნურით გაგვიბრწყინე. გაშავებული გულისგან და ცხოვრების სიდუხჭირისგან გადაგვარჩინე, გულწრფელ მორწმუნეთა რიგებში დაგვამკვიდრე. ელლაჰუ ექბერ.“

ყოველ ორ რექათზე სელამი მიიცემა. ყოველ რექაათზე ერთი ფაათიხა და 10 იხლასის სურა იკითხება და ასე 100 მუხლი ილოცება.

ნამაზის შემდეგ საკითხავები:

14 ჯერ:

اَسْتَغْفِرُ اللّٰهَ الْعَظِيمَ وَاَتُوبُ اِلَيْكَ

,,ესთეღფირულლააჰ ელ ღაზიიმ ვე ეთუუბუ ილეიქ“,

14 ჯერ:

اَللّٰهُمَّ صَلِّ وَسَلِّمْ وَبَارِكْ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ وَعَلٰى اٰلِ مُحَمَّدٍ

,,ელლაჰუმმე სალლი ვე სელლიმ ვე ბაარიქ ღელაა სეიიიდინაა მუხამმედინ ვე ღალაა აალი მუხამმედ“.

14-ჯერ ფათიხა,

14-ჯერ აიეთულ-ქურსი,

14-ჯერ ლეყედ ჯააექუმ,

14-ჯერ "იაასიინ" თქმის შემდეგ 1 იასინი,

14-ჯერ იხლასი,

14-ჯერ ყულ ეუზუ ბირაბბილ ფელეყ,

14-ჯერ ყულ ეღუზუ ბირაბბინნას,

14 ჯერ შემდეგი დუა:

,,სუბხაანელლააჰი ველხემდუ ლილლააჰი ველაა ილააჰე ილლელლაჰუ ველლაჰუ ექბერ. ველაა ხევლე ველაა ყუვვეთე ილლაა ბილლააჰილ ღალიიილ ღაზიიმ“.

14-ჯერ სელავათი იკითხება (სელაათი მუნჯიეს კითხვა უკეთესია).

ამის შემდეგ დუა გაკეთდება.

ყადირის ღამე

ყადირის ღამეს 4 რექაღათი ნამაზი ილოცება. ორ რექაღათზე სელამი მიიცემა.

პირველ რექაღათზე 1 ფაათიხა 3 ინნაენზელნაჰუ იკითხება,

მეორე რექაღათზე 1 ფაათიხა 3 იხლასის სურა იკითხება.

მესამე და მეოთხე რექაღათი პირველი ორი რექაღათის მსგავსად ილოცება.

ამ ნამაზის ნიეთი შემდეგნაირად კეთდება: **,,ია რაბბი ამ ღამის მადლით, ხზ. ფეიღამბრის ხურმეთით, შენი წყალობით, ჩემი მონანიება მიიღე. ვისაც აპატიე და შენი ნური არგუნე მეც იმათ მიმაკუთვნე, ელლაჰუ ექბერ.**

ნამაზის შემდეგ იკითხება:

اَللّٰهُ اَكْبَرُ اَللّٰهُ اَكْبَرُ لَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَاللّٰهُ اَكْبَرُ

اَللّٰهُ اَكْبَرُ وَ لِلّٰهِ الْحَمْدُ

,,ელლაჰუ ექბერ, ელლაჰუ ექბერ, ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ველლააჰუ ექბერ, ელლაჰუ ექბერ ველილლააჰილ-ხამდ“.

100 ჯერ ინნაა ენზელნაა,

100 ჯერ ელემ ნეშრახლექე,

100 ჯერ:

اَللّٰهُمَّ اِنَّكَ عَفُوٌّ كَرِيمٌ تُحِبُّ الْعَفْوَ فَاعْفُ عَنّٖى

,,ელლაჰუმმე ინნექე ღაფუვვუნ ქერიიმუნ თუხიბბულ ღაფვე ფეღფუ ღენნიი.“

მარხვა

ისლამის მესამე პირობა მარხვაა.

მარხვა ღიბადეთის ნიეთით (მიზნით) იმსაქიდან მზის ჩასვლამდე ჭამა-სმისგან და სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავებაა.

მარხვის ფარძები

1. ნიეთის გაკეთება;
2. ნიეთის დასაწყისის და დასასრულის ცოდნა;
3. იმსაქიდან მზის ჩასვლამდე მარხვის მომშლელი პირობებისგან თავის შეკავება.

მარხვის დასაწყისის დროს **"იმსაქი,"** დასასრულის დროს კი "**იფთარი"** ჰქვია.

მარხვის სახეები

ექვსი სახის მარხვა არსებობს:

1. ფარძი,
2. ვაჯიბი,
3. სუნნეთი,
4. მენდუბი,
5. ნაფილე,
6. მექრუჰი.

1 - ფარძი: რამაზნის თვეში მარხვა, რამაზნის თვეში გამოტოვებული მარხვის ანაზღაურება და ქეფფარეთი (რამაზნის თვეში არასაპატიო მიზეზით მოშლილი მარხვის ჯარიმის სახით 60 დღე მარხვა).

2 - ვაჯიბი: მოშლილი ნაფილე მარხვის ანაზღაურება და შეპირებული მარხვაა.

3 - სუნნეთი: მუხარრემის თვის მე-9 და მე-10 დღეს ე.ი. აშურა დღეს მარხვაა.

4 - მენდუბი: ყოველ თვეში 3 დღე მარხვა. ამ სამი დღის განსაკუთრებულად "ეიიამი ბიიზის" დღეებში (სავსე მთვარის პერიოდში - 13-14-15 რიცხვებში) მარხვაც მენდუბია.

5 - ნაფილე: ამ ჩამოთვლილი მარხვის სახეობების და მექრუჰი მარხვის გარდა დანარჩენ დღეებში მარხვა ნააფილეა.

6 - მექრუჰი: მხოლოდ აშურა დღეს (მე-9 ან მე-11 დღეების გარეშე), რამაზნის ბაირამის პირველ დღეს და ყურბან ბაირამის 1, 2, 3, 4 დღეს მარხვა თახრიმენ (ჰარამთან მიახლოებული) მექრუჰია.

მარხვა თავის მხრივ ორნაირია:

1. **მარხვა რომლისთვისაც ღამით ნიეთის გაკეთება აუცილებელია.** ესენია: გამოტოვებული რამაზნის მარხვა, მოშლილი ნაფილე მარხვის ასანაზღაურებლად (დღეში-დღე) მარხვა, ქეფფარეთ (ჯარიმის) მარხვა, ისეთი შეპირებული მარხვა რომლის დროც განსაზღვრული არ არის.

2. **მარხვა რომლისთვისაც ღამით ნიეთის გაკეთება არ არის აუცილებელი.** ესენია: რამაზნის თვის მარხვა, განსაზღვრული დროისთვის შეპირებული მარხვა და ნაფილე მარხვა. ამ სახეობის მარხვისთვის ნიეთი შეიძლება გაკეთდეს როგორც ღამე ისე ყაზაყუშლუღამდე. რამაზნის თვეში რაც არ უნდა ის ნიეთი გაკეთდეს (ნაფილე თუ სხვა) მაინც რამაზნის მარხვად ჩაითვლება.

ფაქტორები, რომლის დროსაც მარხვა მოიშლება და დღეზე დღის დაჭერაა საჭირო

1. მარხვის არ დავიწყების შემთხვევაში ყელში რაღაცის გადაცდენა.
2. ცხვირის ან პირის გამოვლებისას შეცდომით ყელში წყლის გადაცდენა.
3. რამაზნის თვეში მარხვაზე ნიეთის არ გაკეთება და ჭამა.
4. დავიწყებით ჭამის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რომ მარხვა არ მოშლილა, იმის ფიქრით რომ მარხვა მოიშალაო რაღაცის შეგნებით ჭამა.
5. პირში მოხვედრილი თოვლის ან წვიმის წვეთის მისდაუნებურად გადაყლაპვა.
6. ნემსის გაკეთება.
7. ცხვირში წამლის ჩაწვეთება.

8. ყურში ზეთის (წამლის) ჩაწვეთება.
9. შეცდომით (გაუგებრობით) იმსაქის შემდეგ ჭამის გაგრძელება.
10. შეცდომით, გაუგებრობით მზის ჩასვლამდე იფთრის გაკეთება.
11. პირღებინების შემთხვევაში უკან გადაყლაპვა.
12. მეუღლისა და საყვარელი ადამიანის გარდა სხვისი ნერწყვის გადაყლაპვა.
13. საკუთარი ნერწყვის ჯერ გარეთ გამოტანა და შემდეგ გადაყლაპვა.
14. წყლით ან ცხიმით დასველებული თითის სასირცხო ადგილზე გაყრა.
15. კბილიდან სისხლდენის დროს, სისხლის ნერწყვზე მეტი ან ნერწყვის ტოლი რაოდენობით ყოფნის შემთხვევაში გადაყლაპვა.
16. კვამლის ყელში გადაცდენა.

ფაქტორები, რომლის დროსაც საჭიროა დღეზე დღის და ქეფფარეთის (ჯარიმის სახით 60 დღე) მარხვა

1. შეგნებით ჭამა და სმა.
2. შეგნებით სქესობრივი კავშირი.
3. შეგნებით სიგარეტის მოწევა.
4. ღიიბეთის შემდეგ, მიუხედავად იმისა რომ მარხვა არ მოშლილა, იმის ფიქრით რომ მარხვა მოიშალაო, შეგნებით მარხვის მოშლა.
5. შეგნებით მეუღლის, საყვარელი ადამიანის ნერწყვის გადაყლაპვა.

ზემოხსენებულ შემთხვევებში საჭიროებს ერთ დღეზე ერთი დღის და უწყვეტად ჯარიმის სახით ორი თვის მარხვა.

მარხვის დროს მექრუჰია

1. უმიზეზოდ რაღაცის გემოს გასინჯვა.
2. უმიზეზოდ რაღაცის გაღეჭვა.
3. ადრე გაღეჭილი და გემო გასული კევის გაღეჭვა.
4. კოცნა.
5. მეუღლეზე ჩახუტება და მოხვევა.
6. პირში ნერწყვის დაგროვება და გადაყლაპვა.
7. სისხლის გაღება.

ფაქტორები რომელიც მარხვას არ მოშლის

1. დავიწყებით სმა, ჭამა და სქესობრივი კავშირი.
2. შეხედვით ან ფიქრით გამოწვეული, სასქესო ორგანოდან სითხის გამოდენა.
3. ძილის დროს ორგაზმი.
4. კოცნა, თუ ორგაზმს არ გამოიწვევს.
5. ,,ხაჯამათი."
6. ნახველის გადაყლაპვა.
7. ცხვირში არსებული სითხის გადაყლაპვა.
8. ყურში წყლის გადაცდენა
9. კბილებს შორის დარჩენილი (სოიოზე პატარა) ნამცეცის გადაყლაპვა
10. ძალაუნებურად პირღებინება
11. თვალების შეღებვა.
12. ღიიბეთი (ჭორაობა)
13. თვალში წამლის ჩაწვეთება.

თერავიჰ ნამაზი

თერავიჰ ნამაზი რამაზნის თვის სუნნეთია.

იგი ყველა მუსლიმანი მამაკაცისა და ქალისათვის შესასრულებელი სუნნეთი მუექქედეა. თერავიჰ ნამაზი 20 მუხლია. ამის ჯემაღეთით ლოცვა სუნნეთია, მარტოდ ლოცვაც შეიძლება. იასი ნამაზსა და ვითირ ნამაზს შორის ილოცება. ყოველ ორ ან ოთხ რექაღათზე სელამი მიიცემა. ყოველი სელამის შემდეგ ცოტა ხნით მოცდა სუნნეთია, ამ დროს სელავათი, სელათი უმმიე, აიათები ან დუები იკითხება.

(სელათი უმმიე: "ელლაჰუმმე სალლი ღელაა სეიიდინაა მუხამმედინი ნნებიიილ-უმმიი ვე ღელაა აალიჰიი ვე სახბიჰიი ვე სელლიმ.")

ფეხზე ადგომისას ,,ელლაჰუმმე სალლი ღელაა სეიიდინა მუხამმედინ ვე ღელაა აალი სეიიდინაა მუხამმედ" იკითხება.

თუ ჯემაღეთში შააფი მეზჰების მიმდევრებიც არიან, მაშინ იმამი ყოველ ორ რექაღათზე სელამს მისცემს.

იღთიქაფი

იღთიქაფი მესჯიდში სადაც 5 დროის ნამაზი ჯემაღეთით სრულდება, ან მესჯიდის დანიშნულების მქონე ადგილას იღთიქაფის ნიეთით გარკვეული დროით დარჩენაა. იღთიქაფი სამი სახისაა: ვაჯიბი, სუნნეთი მუექქედე და მუსთეხაბი.

შეპირებული იღთიქაფი ვაჯიბია. რამაზნის თვის ბოლოო ათი დღის განმავლობაში შესრულებული იღთიქაფი სუნნეთი მუექქედეა, სხვა დროს შესრულებული იღთიქაფი მუსთეხაბია.

იღთიქაფის პირობები: იღთიქაფში შემსვლელი მუსლიმანი ჭკვიანი უნდა იყოს. ჯუნუბი, ჰაიზიანი და ნიფასიანი არ უნდა იყოს. იღთიქაფისათვის ნიეთი უნდა გააკეთოს. იღთიქაფი მესჯიდში ან მესჯიდის დანიშნულების ადგილზე უნდა შესრულდეს. ვაჯიბი იღთიქაფის დროს მარხული ყოფნა აუცილებელია.

ქალებისათვის თავიანთ სახლებში მესჯიდად გამოყენებული ადგილები მესჯიდის მნიშვნელობისაა.

არასაპატიო მიზეზით მესჯიდიდან გასვლა ან მეუღლესთან ინტიმური კავშირი იღთიქაფს მოშლის. რელიგიური ან ბუნებრივი აუცილებელი საჭიროებების დროს მესჯიდიდან გასვლა იღთიქაფს არ მოშლის. მაგ: ჯუმა ნამაზის ლოცვისათვის უახლოეს მეჩეთში წასვლა.

ფითრის სადაყა

ფითრა რამაზნის თვეში გასაცემი ვაჯიბი სადაყაა. ფითრის გასაცემ მდგომარეობაში მყოფ ყველა მუსლიმანის მიერ ფითრის გაცემა ვაჯიბია.

ფითრის სადაყის გაცემის აუცილებლობის პირობები:

მუსლიმანი უნდა იყოს, თავისუფალი უნდა იყოს, აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების გარდა ნისაბის რაოდენობის ქონებას უნდა ფლობდეს. ფითრის გაცემისათვის ზექათისგან განსხვავებით არ არის აუცილებელი ქონება მატებადი იყოს, ან პიროვნება მას ერთი წლის განმავლობაში ფლობდეს.

ვისზეც ზექათის მიცემა შეიძლება, მასზე ფითრაც მიიცემა.

ფითრის სადაყის გაცემის დრო, რამაზან ბაირამის დღეს იმსაქიდან იწყება და ბაირამ ნამაზის ლოცვამდე გრძელდება, მაგრამ ადრე გაცემაც შეიძლება.

ზექათი

ისლამის მეოთხე პირობა ზექათია.

ზექათი წლიური ქონებრივი იბადეთია. მდიდარი მუსლიმანების მიერ უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოგების მიზნით, ძვირფას ყურანში ჩამოთვლილ 8 ჯგუფიდან ერთერთზე, თავისი ქონების ორმოციდან ერთი ნაწილის სრულად გაცემას ნიშნავს.

ზექათის გაცემის აუცილებლობის პირობები: ზრდასრულ, ჭკვიან, თავისუფალ და ვალის არმქონე მუსლიმანს, რომელსაც აუცილებელი საჭიროებების გარდა ნისაბის რაოდენობის ქონება გააჩნია და ამ ქონებას ერთი წლის განმავლობაში ფლობს, მის მიერ ზექათის გაცემა ფარძია (აუცილებელია). ასევე აუცილებელია ეს ქონება მატებადი იყოს (ე.ი. საქონელი რომელიც რაღაც შემოსავალს იძლევა, მრავლდება, ან გაყიდვით ფულადი მოგება აქვს). ნისაბის რაოდენობაზე მეტი ოქრო ან ვერცხლი თუ აქვს,

მატებადიც რომ არ იყოს ზექათის გაცემა მაინც საჭიროებს.

ნისაბი: ზექათის გაცემის აუცილებლობისათვის, რელიგიით დადგენილი ზღვარია. პიროვნების მიერ აუცილებელი საჭიროებებისა და ვალის გარდა, 80,18 გრამი ოქროს, ან მისი ღირებულების ფულის და სავაჭრო საქონელის მფლობელობაა.

აუცილებელი საჭირო ქონება: საცხოვრებელი სახლი, ინვენტარი, ტანსაცმელი, ხელსაწყოები, წიგნები, ტრანსპორტი (ცხენი, მანქანა) და სურსათია.

გასაცემი ზექათი ფულის შემთხვევაში 40-ში ერთია. ცოცხალი საქონლის შემთხვევაში კი: 40 ცხვარში ერთი, 5 აქლემში ერთი ცხვარი, 30 ძროხაში 2 წლის ხბო.

მადნეულისგანაც ზექათი გაიცემა.

ოშური

ოშური მიწიდან აღებული მოსავლის ზექათია. აღებული მოსავლის 10-ში ერთი გაიცემა, თუ ფულით ირწყვება მაშინ 20-ში ერთი უნდა გაიცეს.

მოსავალი რომლებისგანაც ოშური გაიცემა: ხორბალი, სიმინდი, კომბოსტო, ქერი, კარტოფილი, ბრინჯი, საზამთრო, კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, შვრია, ზეთის ხილი, თაფლი, შაქრის ჭარხალი, ხილი და სხვა. მუსლიმანებმა, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეწევიან, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან აღებული მოსავლისგან ოშური უნდა გასცენ.

ზექათის მისაცემი ადგილები

ეს თევზე სურას 60-ე აიათშია განმარტებული:

1. ღარიბი (ნისაბის რაოდენობის ქონების არმქონე);

2. ღატაკი (საერთოდ არაფრის მქონე);

3. ზექათის აკრეფით დავალებული პირები;

4. ისეთი არამუსლიმანები, რომლებიც გვსურს მუსლიმანი გახდნენ და ისლამის მიმართ გულები გაუთბენ. ასეთებს ,,მუელლეფეი ყულუუბ“ ჰქვიათ;

5. მონობისაგან გასათავისუფლებელი პიროვნებები;

6. მუსლიმანი რომელსაც ვალის გადახდისათვის საკმარისი ქონება არ აქვს;

7. ,,ფიი სებიილილლააჰ“ (ე.ი. ღმერთის გზაზე მყოფები, რწმენის გამავრცელებლები);

8. უფულოდ დარჩენილ მგზავრები.

ზექათის ამ რვა კატეგორიიდან რომელიმეზე მიცემა შეიძლება, მაგრამ არაფრის მქონე ღატაკებზე და ღმერთის გზაზე მყოფებზე მიცემა საუკეთესოა.

ჰაჯობა

ისლამის მეხუთე პირობა ჰაჯობაა.

ჰაჯობა ზილხიჯჯეს თვეში იხრამით შემოსილი, არაფა დღეს არაფათზე ვაყფე (გაჩერება), შემდეგ კი ტავაფის (ქაბეს ირგვლივ 7-ჯერ შემოვლა) შესრულებაა.

ყველა მუსლიმანისთვის რომელსაც შესაძლებლობა აქვს, სიცოცხლეში ერთხელ ჰაჯობაზე წასვლა ფარძია.

ჰაჯობაზე წასვლის აუცილებლობის პირობები (რა შემთხვევაშია ფარძი):

1. მუსლიმანი უნდა იყოს;
2. ზრდასრული უნდა იყოს;
3. ჭკვიანი უნდა იყოს (გონებაშეზღუდული არ უნდა იყოს);

4. თავისუფალი უნდა იყოს;

5. ძირითადი საყოფაცხოვრებო საჭიროების გარდა, იმდენ თანხას უნდა ფლობდეს რომ წასვლისა და უკან დაბრუნების ხარჯები და მის დაბრუნებამდე ოჯახში დარჩენილები უზრუნველყოს;

6. არამუსლიმანურ ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანის მიერ ჰაჯობაზე წასვლის ფარძობის ცოდნა.

ჰაჯობის შესრულების პირობები :

1. ჯანმრთელად ყოფნა;

2. მშვიდობიანი და უსაფრთხო მგზავრობის უზრუნველყოფა;

3. ქალის ქმართან ერთად, ან ახლო ნათესავთან მაჰრემთან (ვისთანაც ნიქახი დაუშვებელია - ვაჟიშვილი, ძმა, მამა) ერთად წასვლა;

4. ქვრივი ან განქორწინებული ქალის იდდეთის დროის გასვლა (დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ 3 თვე და 10 დღე უნდა გავიდეს);

5. ისეთი შეზღუდვა არ უნდა ჰქონდეს როგორიცაა პატიმრობა ან ტვეობა.

ჰაჯობის სიხხათის (ყაბულობის) პირობები:

1. იხრამი (ჰაჯობის ნიეთით იხრამში შესვლა);
2. ჰაჯობის დრო (ზილხიჯჯეს თვე);
3. ადგილი (ქაბე და არაფატი);
4. ისლამი (მუსლიმანი უნდა იყოს).

ჰაჯობისა და უმრეს შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წიგნი: **"ჰაჯობა და უმრე"**

ყურბანი

ყურბანი ალლაჰუ თეღალასთან დაახლოების მიზნით ღიბადეთის ნიეთით ყურბან ბაირამის დღეებში, ხუთი სახის პირუტყვიდან (ცხვარი, თხა, ძროხა, კამეჩი, აქლემი) ერთერთის შეწირვაა.

ვისაც ფითრის სადაყის გაცემა ეკუთვნის, მას ყურბნის დაკვლაც ევალება. ე.ი. ნისაბის რაოდენობის ქონების მფლობელ, ყველა თავისუფალ და მგზავრობაში არ მყოფ მუსლიმანისათვის ვაჯიბია.

ყურბნის დამკვლელი, ყურბანს თავის სანაცვლოდ იკვლება. გადმოცემულია რომ ალლაჰის წყალობისათვის გულწრფელი ნიეთით დაკლული ყურბნიდან გამონადენ სისხლის პირველ წვეთთან ერთად მას ცოდვები ეპატიება.

ყურბნის დაკვლის დრო

ყურბნის დაკვლის დრო ყურბან ბაირამის პირველი, მეორე და მესამე დღეა. პირველ დღეს დაკვლა უფრო ძვირფასია.

ყურბნის დაკვლის წესი და ნიეთი

საყურბნე ცხოველი უწყინრად ყიბლისკენ მარცხენა ფერდით დაიწვინება. სამჯერ თექბირი შემდეგნაირად იკითხება: „ელლააჰუ ექბერ, ელლააჰუ ექბერ ლააილააჰე ილლელლააჰუ ველლააჰუ ექბერ, ელლააჰუ ექბერ ვე ლილლააჰილ ხამდ“.

შემდეგ ასეთნაირად ნიეთი კეთდება: „იარაბბი მე შენს წინაშე იმდენად ცოდვილი ვარ, რომ საკუთარ თავს ყურბნად უნდა გწირავდე, მაგრამ შენ ადამიანის ყურბნად შეწირვა აკრძაკლული გაქვს, ამიტომ ჩემს ნაცვლად ამ ყურბანს ვკლავ, ყაბული გამიხადე ია რაბბი.“

შემდეგ „ბისმილლაჰი ელლააჰუ ექბერ“ თქმით ყურბანი დაიკვლება.

უკეთესია თუ თავის ყურბანს ყველა თვითონ დაკლავს. თუ არ შეუძლია სხვას მინდობილობით დააკვლევინოს და თვითონაც დაესწროს.

ყურბნის დაკვლის შემდეგ უზენაეს ალლაჰზე მადლობის ნიშნად ორი მუხლი ნამაზი ილოცება.

ყურბნის ხორცი სამ ნაწილად გაიყოფა. ერთი ნაწილი ოჯახის წევრებს; მეორე ნაწილი ახლობლებს, ნათესავებსა და მეზობლებს; მესამე ნაწილი კი სადაყის სახით გაჭირვებულებზე გაიცემა.

აქიქა ყურბანი

უზენაეს ალლაჰზე მადლიერების გამოხატვის მიზნით ახალდაბადებული ბავშვისათვის დაკლულ ყურბანს „აქიქა ყურბანი“ ეწოდება. აქიქა ყურბნის დაკვლა მუსთეხაბია. მისი შეწირვა ბავშვის დაბადებიდან ყოველთვის შეიძლება. მეშვიდე დღეს დაკვლა უკეთესია.

დაბადებიდან მეშვიდე დღეს ბავშვის თმები შეიჭრება, თმის წონის რაოდენობის ოქრო ან ვერცხლი სადაყად გაიცემა და ყურბანი დაიკლება. გოგო და ბიჭი შვილებისათვის (განურჩევლად) თითო ყურბანი უნდა დაიკლას. ზოგიერთი სწავლული კი ბრძა-ნებს, რომ ბიჭისათვის ორი ყურბანი უნდა დაიკლას. აქიქა ყურბანი ისეთივე სრულ-ყოფილი და უნაკლო უნდა იყოს, როგორც ვაჯიბია.

აქიქა ყურბნის ძვლები, ბავშვის ჯანმრთელად და უვნებლად გაზრდის იმედით, არ უნდა დავამტვრიოთ. ასევე დასაშვებია ძვლების დამტრევა იმ მიზნითა და იმედით, რომ ბავშვი ქედმაღალი და უზნეო არ აღიზარდოს. (ეს ორივე მუსთეხაბია).

აქიქა ყურბნის მფლობელს შეუძლია ხორცი თავად მიირთვას, სხვებს გაუმასპინძლდეს, ან კიდევ ხორცის ერთი ნაწილი ან მთლიანი გააჩუქოს.

ცოდვების რაობა და მთავარი ცოდვები

ცოდვა: ალლაჰუ თეაღლას მიერ აკრძალულის (ჰარამის) გაკეთებაა.

ცოდვები ორ ჯგუფად იყოფა:

1. დიდი ცოდვები;
2. პატარა ცოდვები.

დიდი ცოდვები:

1. შირქი (უზენაეს ალლაჰზე მოზიარის გაჩენა);
2. ადამიანის მოკვლა;
3. პატიოსან ქალზე ცილისწამება;
4. გარყვნილობა, მრუშობა;
5. ბრძოლის ველიდან გამოქცევა;
6. ჯადოს გაკეთება;
7. ობოლის ქონების მითვისება;
8. მშობლებზე ურჩობა და მათ სამართლიან მითითებებზე დაუჯერებლობა;
9. ჰარემი შერიფში (ქაბეს ტერიტორიაზე) ცოდვების ჩადენა; (ჰარემში ჩადენილი პატარა ცოდვა დიდ ცოდვად ითვლება. დიდი ცოდვის ჩამდენსაც ორმაგი ცოდვა დაეწერება).
10. მევახშეობა;

11. ქურდობა;

12. ალკოჰოლური სასმელის მიღება.

დაჟინებით, ხშირად ჩადენილი პატარა ცოდვებიც დიდ ცოდვად ითვლება.

ცოდვებისაგან გადარჩენის გზები: თევბე და მონანიება

როგორც თვალსაჩინო ჭუჭყის წყალითა და საპნით გაწმენდაა შესაძლებელი, ადამიანის ჯეჰენნემში წამყვანი, სულიერი ავადმყოფობისა და სიბინძურისაგან გათავისუფლებაც უზენაესი ალლაჰის წინაშე მონანიებით, პატიების თხოვნითა და მისი შიშიდან გამომდინარე თვალიდან გადმოდენილი სინანულის ცრემლითაა შესაძლებელი.

ყველა ადამიანი უცოდვილო და უმანკო არსებად იბადება. ხზ. ფეიღამბერიც (ს.ა.ვ.) გადმოგვცემს რომ ჩვილი ბავშვის გული სარკის მსგავსად სუფთაა. რომელი ადამიანიც გულში, ეჭვს, ბოროტებას, ზიზღს, სიძულვილს, შურსა და მსგავს ცუდ თვისებებს ჩაიდებს ეს მას სავალალო შედეგამდე მიიყვანს. თუ ადამიანი ამ თვისებებისაგან არ განთავისუფლდება მისი წასასვლელი ადგილი ჯეჰენნემი იქნება (უზენაესმა ალლაჰმა გვაშოროს). ამ სულიერი ავადმყოფობისაგან გადარჩენა გულიდან ცუდი განზრახვებისა და გრძნობების გაქარწყლებით, და სინანულის ცრემლების გადმოდენითაა შესაძლებელი.

ადამიანმა ცოდვებისაგან განწმენდისათვის გამუდმებით ისთიღფარი უნდა იკითხოს, ანუ ალლაჰს პატიება უნდა სთხოვოს. ამის გაკეთებას განსაკუთრებით ღამღამობით ნამაზის ლოცვით, სელავათების კითხვით და სხვა ვედრებების შესრულებით უნდა შევეცადოთ.

იმედის მოწყვეტა არ არის სწორი

„მე საკმაოდ ბევრი სიკეთე და ღვთისმსახურება შევასრულე, ჯენნეთი დავიმსახურე“ ასეთი ფიქრი, ამის ასე დაჯერება და შესაბამისად საკუთარი თავის ალლაჰის სასჯელისაგან დაცულად მიჩნევა ურწმუნოების ნიშანია. ასევე: „მე ბევრი ცოდვა ჩავიდინე, ალლაჰის სასჯელი არ ამცდება და ჩემთვის გადარჩენის გზა არ არსებობს“ მსგავსად იმედის გაწყვეტა და დაჯერებაც ურწმუნოების ნიშანია.

ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: „მორწმუნე შიშსა და იმედს შორის უნდა იყოს." ანუ ალლაჰის წყალობის იმედი არ უნდა გაიწყვიტოს და საკუთარი ნაკლოვანების გამოც უნდა ეშინოდეს. რომ ითქვას: „ჯენნეთში მხოლოდ ერთი ადამიანი უნდა შევიდეს,“ უნდა თქვას „ნეტავი ეს პიროვნება მე ვარ?“ და იმედი არ მოიწყვიტოს. ხოლო რომ ითქვას: „ჯეჰენნემში მხოლოდ ერთი ადამიანი უნდა შევიდეს,“ კვლავ უნდა თქვას „ნეტავ ეს პიროვნება მე ვარ?“ და შეეშინდეს.

ერთერთ ხადისი ყუდსში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „თუ ჩემი მორჩილი ერთი მტკაველით დამიახლოვდება, მე მას ერთი მეტრით დავუახლოვდები, თუ ის ჩემთან სიარულით წამოვა მე მისკენ სირბილით წავალ.“ ეს ძვირფასი ხადისი ყუდსი გამოხატავს: „მორწმუნე რომელიც უზენაესი ალლაჰისაგან პატიებას და შეწყალებას ითხოვს უზენაესი ალლაჰიც მას აპატიებს და შეიწყალებს.“

რა შემთხვევაში გახდება თევბე მიღებული

ადამიანი ჩადენილი ცოდვის ზიანს უნდა აცნობიერებდეს. რადგან ცოდვები ადამიანს ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ბედნიერებას დააკარგვინებს.

ადამიანი ჩადენილი ცოდვის გამო უნდა დამწუხრდეს და გულით უნდა მოინანიოს.

მიზნად უნდა დაისახოს რომ კიდევ ერთხელ მსგავს ცოდვას აღარ ჩაიდენს. ჩადენილი ცოდვა მაშინვე უნდა მოინანიოს, და სანაცვლოდ სიკეთე უნდა გააკეთოს. ყველაზე დიდი ისთიღფარი (მონანიება) თესბიხ ნამაზია. ასევე თუ ვინმეს რამეს დაუშავებს, პატიება უნდა სთხოვოს. თუ გული მაინც ცოდვებისკენ იქნება მიდრეკილი, მხოლოდ ენით შესრულებულ ისთიღფარს შედეგი არ ექნება.

დიდი ისთიღფარი

سُبْحَانَ اللّٰهِ وَبِحَمْدِهٖ سُبْحَانَ اللّٰهِ الْعَظِيمِ

اَسْتَغْفِرُ اللّٰهَ الْعَظِيمَ وَاَتُوبُ اِلَيْكَ

სუბხაანელლააჰი ვე ბიხამდიჰიი სუბხაანელლააჰილ-ღეზიიმ ესთეღფირულლააჰ ელღეზიიმ ვე'ეთუუბუ ილეიქ.

ვისაც დიდი ცოდვები აქვს ჩადენილი, იმან შემდეგი დუა ბევრჯერ უნდა იკითხოს:

اَللّٰهُمَّ مَغْفِرَتُكَ اَوْسَعُ مِنْ ذُنُوبِى وَرَحْمَتُكَ اَرْجٰى

عِنْدِى مِنْ عَمَلِى

"ელლაჰუმმე მეღფირეთუქე ევსეღუ მინ ზუნუუბიი ვე რახმეთუქე ერჯაა ღინდიი მინ ღემელიი."

ადამიანის უზნეობისა და ცოდვის ჩადენის უმთავრესი მიზეზი ნეფსი ემმარეა. ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: შენი ყველაზე დიდი მტერი ნეფსია, რომელიც მთელ შენს სხეულს მოიცავს."

ნეფსი ემმარეს შესახებ მიფთახულ ყულუბის წიგნში შემდეგნაირად არის გადმოცემული:

ნეფსი ემმაარე

ადამიანი შინაგანად ორნაირი ბუნებისაა. ერთი უზენაესი ალლაჰის ჯელალ (მრისხანება) სახელიდან გამომდინარეობს და ცხოველური ბუნება ჰქვია. მეორე კი უზენაესი ალლაჰის ჯემალ (წყალობა) სახელიდან გამომდინარეობს და (მელაიქური) კეთილი ბუნებაა. ეს ორი ძალა ადამიანში ერთმანეთს ებრძვის. ამ ორ ძალას თავისი მბრძანებელი ჰყავს. ცხოველური ბუნების მბრძანებელი ამქვეყნიური სურვილებისკენ მისწრაფებას კარნახობს და მისი მრჩეველი შეითანია. ხოლო კეთილი ბუნების მბრძანებლები მელაიქები არიან და ისინი იმქვეყნიური სურვილისაკენ არიან მიმართულნი. ცხოველური ბუნების სურვილი ჭამა-სმა და ამქვეყნიური სიამოვნებისაკენ მისწრაფებაა, ე.ი. ამქვეყნიური სიამოვნება რაც არის, მათგან ძალას მოიკრებს და კეთილ (მელაიქურ) ბუნებაზე უპირატესობას მოიპოვებს. მელაიქურ ბუნებას ზიქრი, ღიბადეთი, ალლაჰის ბრძანებების შესრულება და აკრძალულებისგან შორს ყოფნა სიამოვნებს. ამის შესრულებით ცხოველურ ბუნებაზე გაიმარჯვებს.

ცხოველური ბუნება ცუდს კარნახობს და მას „ნეფსი ემმაარე“ ჰქვია. მელაიქური ბუნება კი კარგს კარნახობს და სიფათი სააფიე ჰქვია (როდესაც ადამიანი ამ თვისებას დაეუფლება, სრულყოფილი მორჩილი იქნება).

როგორც ზემოთ აღინიშნა ადამიანის ორგანიზმში ეს ორი ძალა ერთმანეთთან მუდმივ ჭიდილშია და რომელსაც უპირატესობა ექნება, ადამიანს ის მართავს.

ჯიჰადი

ჯიჰადი მხოლოდ უზენაესი ალლაჰის რელიგიის (ისლამის) გავრელებისათვის მთელი ძალისხმევით მსახურებაა. მუსლიმანი ყოველდღიური იბადეთის შესრულებასთან ერთად ჯიჰადითაც არის დავალებული. ბიდღათზე და მცდარი გზის მიმდევრებზე შებრძოლება, ასევე რწმენისა და ზნეობის განადგურების მცდელობაზე მთელი ძალისხმევით შეწინააღმდეგება ყველა მუსლიმანის ვალია.

ჯიჰადი უზენაესი ალლაჰის სიტყვების (ყურანის) ამაღლებისათვის (ესეიგი ქელიმეი თევხიდის გავრცელებისა და მუსლიმანების რწმენის დაცვისათვის და ურწმუნოების მიერ ამ ძვირფასი რწმენის მიღებისათვის) სრულდება. ჭეშმარიტება და ცრურწმენა ერთმანეთს ყოველთვის ეწინააღმდეგება, ამიტომაც ჯიჰადი ყიამეთის დღემდე გაგრძელდება. ეს აშკარა ჯიჰადია, ასევე არსებობს ფარული ჯიჰადი, რომელიც პიროვნების მიერ საკუთარ ნეფსთან ბრძოლაა.

ეს საკითხი თევბე სურას 41-ე აიეთის თეფსირში ასეა გადმოცემული: რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოთ, ახალგაზრდა იქნებით თუ მოხუცი, დაოჯახებული თუ დასაოჯახებელი, დასაქმებული თუ უმუშევარი, მარტივი იქნება თუ რთული ვისაც ძალა შეგწევთ ჯიჰადი შეასრულეთ. ფიზიკურად და მატერიალურად ვისაც რისი შესაძლებლობა გაქვთ, იმით ჯიჰადი შეასრულეთ. თუ თქვენ ამის შესახებ ცოდნა გექნებათ და ამის შესრულებით დაკავდებით თქვენთვისვე იქნება სასარგებლო.

ეს აიეთი მიგვანიშნებს რომ ჯიჰადის შესრულება „ცოდნის მიღებითაც“ არის შესაძლებელი, რადგან მტერთან შებრძოლებამდე საკუთარ ნეფსს უნდა შევებრძოლოთ.

ამას „ჯიჰადი ექბერი“ ანუ ყველაზე დიდი ჯიჰადი ეწოდება. ესეიგი გარე მტრებთან ბრძოლამდე, ჯერ საკუთარი ნეფსი უნდა დავამარცხოთ. ეს კი საკუთარი თავისათვის კარგის და ცუდის, სასარგებლოსა და უსარგებლოს გარჩევით მოხდება.

ჯიჰადის შესრულება ყველა მუსლიმან მამაკაცსა და ქალბატონზე ფარძია.

მუსლიმანების, საზოგადოების წინაშე არსებული მოვალეობები

1 - მეზობლის წინაშე არსებული მოვალეობა

ოჯახის წევრებისა და ნათესავების შემდეგ, ჩვენთვის ყველაზე ახლოს მყოფი, მეზობლები არიან. მეზობლის ჰახი ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა გავუფრთხილდეთ და ხელით, ენით ან სხვაგვარი ქმედებით ისინი არ უნდა შევაწუხოთ. რადგან ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: **"მე ჯებრაილმა მეზობლის ჰახის შესახებ იმდენი რჩევა დარიგება მომცა, რომ მეგონა თითქოსდა მეზობელი მეზობლის ქონების მემკვიდრე გახდებოდა."**

2 - სტუმრის წინაშე არსებული მოვალეობა

ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: **"ვისაც ალლაჰუ თეღალასი და ახირეთის დღის სჯერა, სტუმარს პატივი სცეს."** სადაც სტუმარი მივა იქ ხვავი და ბარაქა იმატებს. ერთერთ ხადისში ნაბრძანებია: "**სტუმარი სახლში ათი წილით (ნასიბით) მივა, ერთ წილს შეჭამს და ცხრას იქ დატოვებს."** ვისი სახლის პირობებიც ხელსაყრელია, ისლამის პრინციპებზე ყურადღების გამახვილებით, სტუმრის მიღება და გამასპინძლება ძალიან მნიშვნელოვანი მოვალეობაა.

3 - სხვა მოვალეობები

ა) სხვების უფლებები უნდა დაიცვას და ზიანი არავის უნდა მიაყენოს. სხვის ღირსებასა და ქონებრივ უფლებებს უნდა გაუფრთხილდეს.

ბ) სიკეთე უნდა აკეთოს და არავისი არ უნდა შეშურდეს;

გ) არავის უნდა დასცინოს;

დ) სხვისი ნაკლოვანებისა და შეცდომების გამოაშკარავებას არ უნდა ცდილობდეს.

ზოგიერთი დუები

სახლიდან გასვლის დროს საკითხავი დუა

بِسْمِ اللّٰهِ تَوَكَّلْتُ عَلَى اللّٰهِ لَا حَوْلَ وَلَا قُوَّةَ اِلَّا بِاللّٰهِ الْعَلِيِّ الْعَظِيمِ

ბისმილლააჰი თევექქელთუ ღელელლააჰ. ლა ხევლე ვე ლა ყუვვეთე ილლაა ბილლააჰილ ღალიილ ღეზიმ.

მნიშვნელობა:

ალლაჰის სახელით გავდივარ, ალლაჰს მივენდობი, არ არსებობს (ურჩობიდან მორჩილობისაკენ) მობრუნება და (სწორ გზაზე დამბრუნებელი) ძალა გარდა უდიდესი და უზენაესი ალლაჰის (ძალის)-ა.

დილით, საღამოს და განსაკუთრებით ხალხმრავლობაში საკითხავი დუა

لَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ

لَهُ الْمُلْكُ وَلَهُ الْحَمْدُ يُحْيِي وَيُمِيتُ وَهُوَ حَيٌّ

لَا يَمُوتُ بِيَدِهِ الْخَيْرُ وَهُوَ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ

ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ვეხდეჰუუ ლაა შერიიქე ლეჰ. ლეჰულ მულქუ ველეჰულ ხემდუ იუხიიი ვე იუმიით. ვეჰუვე ხაიიუნ ლაა იემუუთუ ბიედიჰილ ხაიირ, ვე ჰუვე ღელაა ქულლი შეი'ინ ყადიირ.

მნიშვნელობა:

არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა. ის ერთადერთია. მას მოზიარე არ ჰყავს. ყველაფერი მისია, მადლიერება და ქება-დიდება მას ეკუთვნის. ის გააცოცხლებს და მოკლავს. ის ცოცხალია, არ მოკვდება. ყოველგვარი სიკეთე მის ხელთაა, ის ყველაფრის შემძლეა.

ეს დუა ყოველ დილით და საღამოს 11 ჯერ იკითხება. ქალაქში გასვლისას, გზაში, ქუჩაში და ყველგან იკითხება. ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: **ვინც ამ დუას წაიკითხავს ალლაჰუ თეღალა მას მილიონობით მადლს დაუწერს, მილიონობით ცოდვას აპატიებს, და საფეხურს მილიონობით აუმაღლებს.** ვინც ამ დუას წაიკითხავს მისი რწმენა განახლდება და გაძლიერდება. ეს დუა ყველაზე კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ხზ. ფეიღამბრის შეფაღეთი დავიმსახუროთ.

ტრანსპორტში დაჯდომისას საკითხავი დუა

بِسْمِ اللّٰهِ مَجْرٰيهَا وَمُرْسٰيهَا اِنَّ رَبّٖى لَغَفُورٌ رَحٖيمٌ

ბისმილლააჰი მეჯრააჰა ვე მურსააჰაა ინნე რაბბი ლეღეფუურუ რრახიიმ

მნიშვნელობა:

(და დაჯექით მასში) ალლაჰის სახელითაა წასვლაც და გაჩერებაც. უეჭველად ჩემი ღმერთი ძალიან მოწყალე და მპატიებელია.

დილით და საღამოს საკითხავი დუა

سُبْحَانَ اللهِ مِلْئَ الْمِيزَانِ وَمُنْتَهَى الْعِلْمِ وَمَبْلَغَ الرِّضٰى وَزِنَةَ الْعَرْشِ

სუბხაანელლააჰი მილ'ელ-მიიზაან ვე მუნთეჰელ ღილმი ვე მებლეღერრიზაა ვეზინეთელ ღარში.

მნიშვნელობა:

ვადიდებ ალლააჰუ თეღალას მიზანის, უსაზღვრო ცოდნის, უდიდესი წყალობისა და არშის სიმძიმის ოდენობით.

ეს დუა დილას და საღამოს სამჯერ იკითხება. ვინც იკითხავს დღეგრძელი იქნება, ბედნიერი იქნება, იმანით გარდაიცვლება, საფლავის ტანჯვისაგან გადარჩება. სირატის ხიდის გავლასა და ჯენნეთში შესვლას გაუადვილებს.

საპირფარეშოში შესვლისას საკითხავი დუა

اَعُوذُ بِاللهِ مِنَ الْخُبُثِ وَالْخَبَائِثِ

ეღუუზუ ბილლააჰი მინელხუბუსი ველხებაა'ის.

მნიშვნელობა:

ალლაჰს მივენდობი სიბინძურისა და ყოველგვარი დაბინძურებისაგან (შეითნისაგან, ურწმუნოებისგან და ცოდვილობისაგან).

საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ საკითხავი დუა

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ الَّذٖى اَذْهَبَ عَنَّا الْاَذٰى وَعَافَانٖى مِنْ ذٰلِكَ

ელხემდუ ლილლააჰილლეზიი ეზჰებე ღენნელ ეზაა ვე ღააფაანიი მინ ზაალიქ.

მნიშვნელობა:

მადლობა ალლააჰუ თეღალას, რომელმაც რაც მაწუხებდა მომაცილა და მისგან გამათავისუფლა.

ვინც საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ ამ დუას იკითხავს, საშარდე გზებისა და ნაწლავური დაავადებები არ დაემართება.

საპირფარეშოში ორივე პროცესი ჩამჯდარი მდგომარეობით უნდა გაკეთდეს.

საპირფარეშოში და აბანოში მარცხენა ფეხით შესვლა და მარჯვენათი გამოსვლაა საჭირო. სახლში და ჯამეში კი მარჯვენა ფეხით შესვლა და მარცხენათი გამოსვლაა საჭირო.

ცუდი სიზმრის ნახვის შემდეგ შესასრულებელი ვედრება

ვინც საშიშ სიზმარს ნახავს იმისათვის, რომ ცუდად არ ახდეს, ჰუველლაჰულლეზი... აიეთიდან დაიწყებს და ხაშრ სურას ბოლომდე იკითხავს. ერთ ფათიხას, 11 იხლასს იკითხავს, ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) სულს აჩუქებს და იტყვის: ,,იარაბბი, თუ ეს ნანახი სიზმარი სასიკეთოა ამიხდინე, თუ საზიანოა სიკეთედ მიქციე. თუ სასიკეთოა ჩვენთვის, თუ საზიანოა მტრებისთვის იყოს.

კარგი სიზმრის მალე ახდენისათვის ერთ ფათიხას, 11 იხლასის სურას იკითხავს და ხზ. ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) სულს აჩუქებს.

გამდიდრებისათვის საკითხავი დუა

ვისაც ალლაჰუ თეღალას დახმარებით გამდიდრება სურს, ეს დუა დილით და საღამოს სამჯერ უნდა წაიკითხოს:

يَا حَمِيدَ الْفِعَالِ ذَا الْمَنِّ عَلٰى جَمِيعِ خَلْقِهِ بِلُطْفِهِ

იაა ხამიიდელ ფიღაალი ზელმენნი ღელაა ჯემიიღი ხალყიჰიი ბილუტფიჰიი.

მნიშვნელობა:

ეი!!! მთელი ქმედებების გამო სანაქებო და შენივე წყალობით გაჩენილებზე უანგაროდ სიკეთის მიმცემო ჩემო ღმერთო.

ძილის წინ საკითხავი დუა

اَللّٰهُمَّ بِاسْمِكَ اَمُوتُ وَاَحْيٰى

ელლააჰუმმე ბისმიქე ემუუთუ ვე ეხიიაა

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო შენი სახელით მოვკვდები (დავიძინებ), შენი სახელით გავცოცხლდები (გავიღვიძებ).

გაღვიძების შემდეგ საკითხავი დუა

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ الَّذِى اَحْيَانَا بَعْدَ مَا اَمَاتَنَا

وَاِلَيْهِ الْبَعْثُ وَالنُّشُورُ

ელჰემდუ ლილლააჰილლეზიი ეხიაანაა ბეღდე მაა ემაათენაა ვე ილეიჰილ ბეღსუ ვენნუშუურ.

მნიშვნელობა:

მადლობა ალლაჰუ თეღალას, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენ გაგვაცოცხლა. სიკვდილის შემდეგ მან უნდა გაგვაცოცხლოს და მას უნდა დავუბრუნდეთ.

ბევრჯერ კითხვით დიდი სარგებლის მომტანი დუები

اَللّٰهُمَّ اَرِنَا الْحَقَّ حَقًّا وَارْزُقْنَا الْاِتِّبَاعَ اِلَيْهِ

وَاَرِنَا الْبَاطِلَ بَاطِلاً وَارْزُقْنَا الْاِجْتِنَابَ عَنْهُ

ელლაჰუმმე ერინელ ხაყყე ხაყყენ ვერზუყნელ ითთიბააღე ილეიჰი ვე ერინელ ბაატილე ბაატილენ ვერზუყნელ იჯთინააბე ღენჰუ.

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, ჩვენ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად გვაჩვენე, და მასზე მიყოლა გვარგუნე. მცდარი მცდარად გვაჩვენე და მისგან შორს გვამყოფე.

اَللّٰهُمَّ يَا مُقَلِّبَ الْقُلُوبِ ثَبِّتْ قَلْبِى عَلٰى دِينِكَ وَطَاعَتِكَ الْاِسْلَامِ

ელლაჰუმმე იაა მუყალლიბელ ყულუუბი, სებბით ყალბიი ღელაა დიინიქე ვე ტააღეთიქელ ისლაამ.

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, ეი გულების შემცვლელო, ჩემი გული შენს რწმენაზე და ისლამის მორჩილებაზე მტკიცედ დააყენე.

უბედურება შემთხვეული პიროვნების დანახვისას საკითხავი დუა

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ الَّذٖى عَافَانٖى مِمَّا ابْتَلَاكَ بِهٖ وَفَضَّلَنٖى عَلٰى كَثٖيرٍ مِمَّنْ خَلَقَ تَفْضٖيلاً

ელხემდუ ლილლააჰილლეზიი ღააფაანიი მიმმებთელააქე ბიჰიი ვე ფედდელენიი ღელაა ქესიირინ მიმმენ ხალეყე თეფდიილაა.

მნიშვნელობა:

მადლობა ალლაჰუ თეღალას, რომელმაც გადამარჩინა იმ უბედურებას რომელიც შენ შეგემთხვა. და ბევრ სრულყოფილად გაჩენილზე უნფრო სრულყოფილი გამხადა.

ეს ვედრება უბედურება შემთხვეული პიროვნების დანახვისას იკითხება, რათა მსგავსი უბედურება ჩვენც არ შეგვემთხვას.

ადამიანმა სხვას არ უნდა დასცინოს და არ უნდა შეარცხვინოს, რადგან შესაძლოა მასაც იგივე გადახდეს თავს.

დილის ნამაზის სუნნეთსა და ფარძს შორის საკითხავი დუა

يَا حَىُّ يَا قَيُّومُ يَا ذَا الْجَلَالِ وَالْاِكْرَامِ

اَسْأَلُكَ اَنْ تُحْيِىَ قَلْبِى بِنُورِ مَعْرِفَتِكَ اَبَدًا

يَا اَللّٰهُ يَا اَللّٰهُ يَا اَللّٰهُ يَا بَدِيعَ السَّمٰوَاتِ وَالْاَرْضِ

იაა ხაიიუ იაა ყაიიუუმუ, იაა ზელჯელაალი ველ იქრაამ. ეს'ელუქე ენ თუხიიე ყალბიი ბინუური მეღრიფეთიქე ებედენ. იაა ალლააჰუ, იაა ალლააჰუ, იაა ალლააჰუ, იაა ბედიიღესსემაავაათი ველ ერდ.

მნიშვნელობა:

ეი უკვდავო და მარადიულო ჩემო ალლაჰო, ეი მრისხანებისა და წყალობის პატრონო, ეი უსაზღვროდ ლამაზი ცისა და დედამიწის გამჩენო, ეი ჩემო ალლაჰო, ეი ჩემო ალლაჰო, ეი ჩემო ალლაჰო, მსურს რომ შენი სიბრძნის ნურით გული მარადიულად გამიცოცხლო.

ვინც ამ დუას დილის ნამაზის სუნნეთსა და ფარძს შორის სამჯერ იკითხავს, მას იმანით გარდაცვალება ნასიბი გაუხდება.

დილით ადრე ადგომის მნიშვნელობა

რიზყი (სარჩო) დილით მზის ამოსვლამდე ნაწილდება, ამიტომ ამ დროს ფხიზლად უნდა შევხვდეთ. ვინც ამ დროს ძილით გაატარებს, ის სარჩოს სრულყოფილად ვერ მიიღებს. დილით **დიდმა თუ პატარამ, ოჯახის ყველა წევრმა უნდა გაიღვიძოს.** თუ ისურვებენ მზის ამოსვლის შემდეგ კვლავ დაიძინებენ.

სასურველია დუები სამსამჯერ წავიკითხოთ. რადგან სამჯერ წაკითხვა, მისი ყაბულობის მიზეზი გახდება.

მცირფასი სელავათები

ყოველდღიურად ხზ. ფეიღამბრისათვის (ს.ა.ვ) ბევრი სელავათი უნდა ვიკითხოთ, განსაკუთრებით კი სელათი მუნჯიე, სელათი ფეთხიე და სელათი ნაარიე. თუ რაიმე გასაჭირის შემთხვევაში ამ სელავათების ხათმს წავიკითხავთ და დუას გავაკეთებთ, ალლაჰუ თეღალა დუას მიიღებს და გასაჭირიდან გვიხსნის. სელათი მუნჯიეს ხათმი 1000-ჯერ, სელათი ნარიეს ხათმი კი 4444-ჯერ კითხვაა.

სელაათი მუნჯიე

اَللّٰهُمَّ صَلِّ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ وَ عَلٰى اٰلِ سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ صَلاَةً تُنْجِينَا بِهَا مِنْ جَمِيعِ الْاَهْوَالِ وَالْاٰفَاتِ وَ تَقْضِى لَنَا بِهَا جَمِيعَ الْحَاجَاتِ وَتُطَهِّرُنَا بِهَا مِنْ جَمِيعِ السَّيِّئَاتِ وَ تَرْفَعُنَا بِهَا عِنْدَكَ اَعْلَى الدَّرَجَاتِ وَ تُبَلِّغُنَا بِهَا اَقْصَى الْغَايَاتِ مِنْ جَمِيعِ الْخَيْرَاتِ فِى الْحَيَاةِ وَ بَعْدَ الْمَمَاتِ اِنَّكَ عَلٰى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ.

ელლაჰუმმე სალლი ღელაა სეიიდინაა მუხმმედინ, ვე ღელაა ალი სეიიდინაა მუხამმედინ სელაათენ თუნჯიინაა ბიჰაა მინ ჯემიიღილ ეჰვაალი ველ ააფაათ. ვე თექდი

ლენაა ბიჰაა ჯემიიღელ ხააჯაათ ვე თუტაჰჰირუნაა ბიჰაა მინ ჯემიიღი სსეიიაათ ვე თერფეღუნაა ბიჰაა ღინდექე ეღლედდერეჯაათ ვე თუბელლიღუნაა ბიჰაა ეყსალ ღააიაათ. მინ ჯემიიღილ ხაირაათი ფილ ხაიაათი ვე ბეღდელ მემაათ. ინნექე ღელაა ქულლი შეი'ინ ყადიირ.

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, ხზ. მუხამმედი (ს.ა.ვ) და მისი ახლობლები შეიწყალე, ისეთი წყალობით რომ ჩვენ ყოველგვარი უბედურებისა და უსიამოვნებისგან გადაგვარჩინო, რაც გვესაჭიროება მოგვცე, ყოველგვარი ცოდვისაგან გაგვწმინდო, შენს წინაშე ყველაზე მაღალ საფეხურზე აგვიყვანო, სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც მიგვაღწევინო სასიკეთო მაღალ მიზნებს. უეჭველია, რომ შენ ყველაფრის შემძლე ხარ.

სელააათი ფეთხიე

اَللّٰهُمَّ صَلِّ وَسَلِّمْ وَبَارِكْ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ الْفَاتِحِ لِمَا اُغْلِقَ وَالْخَاتِمِ لِمَا سَبَقَ نَاصِرِ الْحَقِّ بِالْحَقِّ وَالْهَادِى اِلٰى صِرَاطِكَ الْمُسْتَقِيمِ وَعَلٰى اٰلِهِ حَقَّ قَدْرِهِ وَ مِقْدَارِهِ الْعَظِيمِ.

ელლაჰუმმე სალლი ვე სელლიმ ვე ბაარიქ ღელაა სეიიდინაა მუხამმედინილ ფაათიხი ლიმაა უღლიყე ველ ხაათიმი ლიმაა სებეყე. ნაასირილ ხაყყი ბილ ხაყყი ველ ჰაადიი ილაა სირაატიქელ მუსთეყიიმ. ვე ღელაა აალიჰიი ხაყყა ყადირიჰიი ვე მიყდაარიჰილ ღეზიიმ.

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, (სიკეთისაკენ მიმავალი) ჩარაზული კარების გამღებს, ბოლოს მოსულ ფეიღამბერს (ს.ა.ვ.), ჭეშმარიტების სამართლიანობით დამცველ, შენი სწორი გზის მაჩვენებელ ხზ. ფეიღამბერსა (ს.ა.ვ) და მის ახლობლებს, მისი მაღალი წოდების საპატივცემულოდ, რახმეთი, მშვიდობა და ბარაქა მიეცი.

სელაათი ნაარიიე

اَللّٰهُمَّ صَلِّ صَلَاةً كَامِلَةً وَ سَلِّمْ سَلَامًا تامًّا

عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ الَّذِى تَنْحَلُّ بِهِ الْعُقَدُ

وَ تَنْفَرِجُ بِهِ الْكُرَبُ وَ تُقْضٰى بِهِ الْحَوَائِجُ وَ تُنَالُ بِهِ

الرَّغَائِبُ وَ حُسْنُ الْخَوَاتِمِ وَ حُسْنُ الْخَوَاتِمِ

وَ يُسْتَسْقَى الْغَمَامُ بِوَجْهِهِ الْكَرِيمِ وَ عَلٰى اٰلِهٖ وَ صَحْبِهٖ

فِى كُلِّ لَمْحَةٍ وَ نَفَسٍ بِعَدَدِ كُلِّ مَعْلُومٍ لَكَ.

ელლაჰუმმე სალლი სალაათენ ქაამილეთენ ვე სელლიმ სელაამენ თაამმენ ღელაა სეიიდინაა მუხამმედინილ ლეზიი თენხელლუ ბიჰილ ღუყადუ ვე თენფერიჯუ ბიჰილ ქურაბუ ვე თუყდაა ბიჰილ ხევააიჯუ ვე თუნაალუ ბიჰირ რაღააიბუ ვე ხუსნულ ხავაათიმი ვე ხუსნულ ხავაათიმი ვე იუსთესყალ ღამაამუ ბივეჯჰიჰილ ქერიიმ ვე ღელაა აალიჰიი ვე სახბიჰიი ფი ქულლი ლემხეთინ ვე ნეფესინ ბი ღედედი ქულლი მეღლუუმინ ლექ.

მნიშვნელობა:

ეი ჩემო ალლაჰო, ჩვენს ფეიღამბერ ხზ. მუხამედ მუსტაფას (ს.ა.ვ), რომლის პატივისცემის ნიშნადაც ყველა კვანძს (გაჭირვებას) ხსნი, დარდსა და ნაღველს აქარწყლებ, ყველა საჭიროებას აკმაყოფილებ, სურვილებს ლამაზი დასასრულით აგვირგვინებ, ვისი სიძვირფასის ნიშნადაც ღრუბელს წვიმად აქცევ, მას მის ახლობლებსა და სახაბეებს შენთვის კარგად ცნობილი თითოეული სულიერის ყოველი შეხედვისა და თითოეული ამოსუნთქვის რაოდენობის სრულყოფილი წყალობა და სრული მშვიდობა მიეცი.

ახზაბის დუა

اَللّٰهُمَّ مُنْزِلَ الْكِتَابِ سَرِيعَ الْحِسَابِ اِهْزِمِ الْاَحْزَابَ. اَللّٰهُمَّ اهْزِمْهُمْ وَانْصُرْنَا عَلَيْهِمْ وَزَلْزِلْهُمْ. اَللّٰهُمَّ يَا مُجِيبَ الْمُضْطَرِّينَ وَيَا صَرِيخَ الْمَكْرُوبِينَ. اِكْشِفْ عَنَّا هَمَّنَا وَغَمَّنَا وَكُرْبَتَنَا فَاِنَّكَ تَرٰى مَا نَزَلَ بِنَا وَبِالْمُؤْمِنِينَ جَمِيعًا. اَللّٰهُمَّ اسْتُرْ عَوْرَاتِنَا وَاٰمِنْ رَوْعَاتِنَا يَا اَكْرَمَ الْاَكْرَمِينَ وَيَا اَرْحَمَ الرَّاحِمِينَ. بِحَقِّ اسْمِكَ الْعَظِيمِ الْاَعْظَمِ. وَ بِمَعَاقِدِ الْعِزِّ مِنْ عَرْشِكَ وَ مُنْتَهَى الرَّحْمَةِ مِنْ كِتَابِكَ وَ مُنْتَهَى الْفَضْلِ فِى نَبِيِّكَ الرَّحْمَةِ وَ بِحَقِّ حُبِّ ذَاتِكَ. اَللّٰهُمَّ بِحُبِّ ذَاتِكَ تَحَصَّنَّا يَا اَللّٰهُ لَا اِلٰهَ اِلَّا اللّٰهُ سَيِّدُنَا مُحَمَّدٌ رَسُولُ اللّٰهِ حَقًّا وَصِدْقًا. اَللّٰهُمَّ شَفِّعْهُ فِينَا بِجَاهِهِ عِنْدَكَ. اِنَّكَ عَلٰى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ. لَا حَوْلَ وَ لَا قُوَّةَ اِلَّا بِاللّٰهِ الْعَلِيِّ الْعَظِيمِ.

ელლააჰუმმე მუნზილელ ქითააბ, სერიიღელ ხისააბ, იჰზიმილ ეხზააბ. ელლაჰუმმეჰზიმჰუმ ვენსურნაა ღელეიჰიმ ვე ზელზილჰუმ.

ელლააჰუმმე იაა მუჯიიბელ მუზტარრიინ ვეიაა სარიიხალ მექრუუბიინ. იქშიფ ღენნაა ჰემმენაა ვე ღამმენაა ვექურბეთენაა ფეინნექე თერაა მაა ნეზელე ბინაა ვებილ მუ'მინიინე ჯემიიღაა.

ელლაჰუმმესთურ ღევრაათინაა ვე აამინ რევღაათინაა იაა ექრამელ ექრამიინ ვე იაა ერხემერრაახიმიინ. ბი ხეყყისმიქელ ღეზიიმილ ეღზაამ. ვე ბიმეღააყიდილ ღიზზი მინ ღერშიქ ვე მუნთეჰერრახმეთი მინ ქითააბიქე ვე მუნთეჰელ ფეზლი ფიი ნებიიქერრახმეთი ვე ბი ხაყყი ხუბბი ზაათიქ.

ელლაჰუმმე ბიხუბბი ზაათიქე თეხესსანნაა იაა ალლააჰ, ლაა ილააჰე ილლელლაჰ სეიიდუნაა მუხამმედუნ რასუულულლაჰი ხაყყან ვესიდყან.

ელლაჰუმმე შეფფიღჰუ ფიინაა ბიჯააჰიჰიი ღინდექე ინნექე ღელაა ქულლი შეი'ინ ყადიირ.

ლაახევლე ველაა ყუვვეთე ილლაა ბილლაჰილ ღელიილ ღეზიიმ.

ხათმის დუა

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمِينَ وَالصَّلٰاةُ وَالسَّلٰامُ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ وَعَلٰى اٰلِهٖ وَصَحْبِهٖ اَجْمَعِينَ.

وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلٰينَا فَانْصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرِينَ. وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلٰينَا فَانْصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرِينَ. وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلٰينَا وَاَنْتَ اَكْرَمُ الْاَكْرَمِينَ.

اَللّٰهُمَّ اجْعَلْ هٰذَا الْخَتْمَ الشَّرِيفَ وَالْفَاتِحَةَ الشَّرِيفَةَ وَالْاِخْلَاصَ الشَّرِيفَ وَالصَّلَوَاتِ الشَّرِيفَةَ اَوَّلًا هَدِيَّةً وَاصِلَةً اِلٰى رُوحِ نَبِيِّ الرَّحْمَةِ رَسُولِ الثَّقَلَيْنِ اِمَامِ الْحَرَمَيْنِ مُحَمَّدٍ الْمُصْطَفٰى صَلَّى اللّٰهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ وَاِلٰى اَرْوَاحِ اَهْلِ بَيْتِهٖ وَاٰلِهٖ وَاَصْحَابِهٖ رِضْوَانُ اللّٰهِ تَعَالٰى عَلَيْهِمْ اَجْمَعِينَ وَاِلٰى اَرْوَاحِ جَمِيعِ الْاَنْبِيَاءِ وَالْمُرْسَلِينَ صَلَوَاتُ اللّٰهِ وَسَلَامُهُ عَلَيْهِمْ اَجْمَعِينَ وَاِلٰى اَرْوَاحِ جَمِيعِ سِلْسِلَةِ سَادَاتِنَا الْكِرَامِ قَدَّسَ اللّٰهُ اَسْرَارَهُمْ اَجْمَعِينَ.

اَللّٰهُمَّ اجْعَلْ هٰذَا جُزْءًا مِنْ جُزْءِ صَدَقَاتِ النَّبِيِّ صَلَّى اللّٰهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ جُزْءًا مِنْ جُزْءِ هَدِيَّاتِ سِلْسِلَةِ سَادَاتِنَا الْكِرَامِ اِلٰى اَرْوَاحِنَا اِلٰى اَرْوَاحِ

اٰبائِنَا وَاُمَّهاتِنَا وَاَقْرِبائِنَا وَتَعَلُّقَاتِنَا وَلِجَمِيعِ مَنْ لَهُمْ حَقٌّ عَلَيْنَا خَاصَّةً اِلٰى هِدَايَةِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ وَ اَوْلَادِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ خَاصَّةً اِلٰى خَلَاصِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ وَ اَوْلَادِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ خَاصَّةً اِلٰى سَلَامَةِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ وَ اَوْلَادِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ خَاصَّةً اِلٰى قَهْرِ اَعْدَاءِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ وَ اَوْلَادِ اُمَّةِ مُحَمَّدٍ.

اَللّٰهُمَّ انْصُرْ مَنْ نَصَرَ الدِّينَ وَاخْذُلْ مَنْ خَذَلَ الْمُسْلِمِينَ بِحَقِّ اَسْرَارِ سَيِّدِ الْمُرْسَلِينَ وَبِحَقِّ اَسْرَارِ جَمَالِكَ يَا جَمِيلُ جَلَّ جَلَالُهُ يَا قَاهِرُ يَا قَهَّارُ يَا مُهْلِكُ يَا مُمِيتُ يَا ضَارُّ يَا قَاهِرُ يَا قَهَّارُ يَا مُهْلِكُ يَا مُمِيتُ يَا ضَارُّ يَا قَاهِرُ يَا قَهَّارُ يَا مُهْلِكُ يَا مُمِيتُ يَا ضَارُّ.

اَللّٰهُمَّ مُنْزِلَ الْكِتَابِ سَرِيعَ الْحِسَابِ، اِهْزِمِ الْاَحْزَابَ، اَللّٰهُمَّ اهْزِمْهُمْ وَانْصُرْنَا عَلَيْهِمْ وَزَلْزِلْهُمْ. اَللّٰهُمَّ يا مُجِيبَ الْمُضْطَرِّينَ، وَيَا صَرِيخَ الْمَكْرُوبِينَ، اِكْشِفْ عَنَّا هَمَّنَا وَغَمَّنَا وَكُرْبَتَنَا فَاِنَّكَ تَرٰى مَا نَزَلَ بِنَا وَبِالْمُؤْمِنِينَ جَمِيعًا. اَللّٰهُمَّ اسْتُرْ عَوْرَاتِنَا وَاٰمِنْ رَوْعَاتِنَا يَا اَرْحَمَ الرَّاحِمِينَ.

اَللّٰهُمَّ ارْزُقْنَا حِفْظَ الْمُرْسَلِينَ وَ اِلْهَامَ الْاَنْبِيَاءِ وَفَهْمَ الْاَوْلِيَاءِ بِكَرَمِكَ يَا اَكْرَمَ الْاَكْرَمِينَ وَبِرَحْمَتِكَ يَا اَرْحَمَ الرَّاحِمِينَ سُبْحَانَ رَبِّكَ رَبِّ الْعِزَّةِ عَمَّا يَصِفُونَ وَسَلَامٌ عَلَى الْمُرْسَلِينَ، وَالْحَمْدُ لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمِينَ.

სადილის დუა

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ اَلْحَمْدُ لِلّٰهِ اَلْحَمْدُ لِلّٰهِ الَّذٖى اَطْعَمَنَا وَسَقَانَا وَجَعَلَنَا مِنَ الْمُسْلِمٖينَ. اَلْحَمْدُ لِلّٰهِ رَبِّ الْعَالَمٖينَ. وَالصَّلٰوةُ وَالسَّلَامُ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ وَعَلٰى اٰلِهٖ وَصَحْبِهٖ اَجْمَعٖينَ .

"وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا اَنْتَ مَوْلَانَا فَانْصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرٖينَ" (٣ دفعه)

اَللّٰهُمَّ صَلِّ عَلٰى سَيِّدِنَا مُحَمَّدٍ بِعَدَدِ اَنْوَاعِ الرِّزْقِ وَالْفُتُوحَاتِ يَا بَاسِطُ الَّذٖى يَبْسُطُ الرِّزْقَ لِمَنْ يَشَاءُ بِغَيْرِ حِسَابٍ. اُبْسُطْ عَلَيْنَا رِزْقًا وَاسِعًا مِنْ كُلِّ جِهَةٍ مِنْ خَزَائِنِ غَيْبِكَ بِغَيْرِ مِنَّةِ مَخْلُوقٍ بِمَحْضِ فَضْلِ كَرَمِكَ بِغَيْرِ حِسَابٍ. يَا اَكْرَمَ الْاَكْرَمٖينَ وَيَا اَرْحَمَ الرَّاحِمٖينَ. اِفْتَحِ الْبَابَ يَا اَللّٰهُ اِفْتَحِ الْبَابَ يَا اَللّٰهُ اِفْتَحِ الْبَابَ يَا اَللّٰهُ يَا اَللّٰهُ يَا كَافٖى يَا فَتَّاحُ يَا مُفَتِّحُ فَتِّحْ بِالْخَيْرِ. اَللّٰهُمَّ اغْفِرْ صَاحِبَ هٰذَا الطَّعَامِ وَالْاٰكِلٖينَ. اَللّٰهُمَّ اجْعَلْ دَوْلَتَهُمْ دَائِمًا اَوْلَادَهُمْ عَالِمًا صَالِحًا وَلَا تُسَلِّطْ عَلَيْهِمْ ظَالِمًا اَللّٰهُمَّ زِدْ وَلَا تَنْقُصْ نِعْمَةً كَثٖيرَةً بِحُرْمَةِ الْفَاتِحَةِ.

ელჰემდუ ლილლააჰ. ელჰემდუ ლილლააჰ. ელჰემდუ ლილლააჰილლეზიი ეტღემენაა ვე სეყაანაა ვე ჯეღელენაა მინელ მუსლიმიინ. ელჰემდუ ლილლააჰი რაბბილ ღაალემიინ. ვესსელაათუ ვესსელაამუ ღელაა სეიიდინაა მუხამმედინ ვე ღელაა აალიჰიი ვესახბიჰიი ეჯმეღიინ.

"ვეღფუ ღენნაა ვეღფირ ლენაა ვერჰემნაა ენთემევლაანაა ფენსურნაა ღელელ ყავმილ ქააფირიინ. (სამჯერ)

ელლააჰუმმე სალლი ღელაა სეიიდინააა მუხამმედინ ბიღედედი ენვააღირრიზყი ველ ფუთუუხაათ. იაა ბაასიტულლეზიი იებსუტურრიზყე ლიმენ იეშაა'უ ბიღეირი ხისააბ. იაა ექრემელ ექრემიინე ვე იაა ერჰემერრააჰიმიინ. იფთეხილბააბე იაა ალლააჰ, იფთეხილბააბე იაა ალლააჰ, იფთეხილბააბე იაა ალლააჰ. იაა ალლააჰუ იაა ქააფიი იაა ფეთთაახუ იაა მუფეთთიხუ ფეთთიხ ბილ ხაიირ.

ელლააჰუმმეღფირ საახიბე ჰააზეტტეღაამი ველააქილიინ. ელლააჰმმეჯღელ დევლეთენაა დაა'იმაა, ევლაადენაა ღაალიმენ სალიხაა, ვე ლაა თუსელლიტ ღელეინაა ზაალიმაა, ელლააჰუმმე ზიდ ვე ლაა თენყუს ნიღმეთენ ქესიირათენ ბიხურმეთილ ფაათიხა.

ოცდათორმეტი ფარძი

იმანის პირობები	: ექვსი
ისლამის პირობები	: ხუთი
აბდესის ფარძი	: ოთხი
ღუსლის ფარძი	: სამი
თეიემმუმის ფარძი	: ორი
ნამაზის ფარძი	: თორმეტი
სულ	**: ოცდათორმეტი**

იმანის პირობები

1. ალლაჰუ თეღალაზე იმანი;
2. მელაიქებზე იმანი;
3. ქითბებზე იმანი;
4. ფეიღამბრებზე იმანი;
5. ახირეთის დღეზე: სიკვდილის შემდეგ გაცოცხლებაზე დაჯერება;
6. ბედისწერაზე იმანი: იმის დაჯერება რომ ყველაფერი უზენაესი ალლაჰის ცოდნით, სურვილითა და გაჩენით ხდება.

ისლამის პირობები

1. ქელიმეი შეჰადეთის (სიტყვით დამოწმების) წარმოთქმა;
2. ნამაზის ლოცვა;
3. ზექათის გაცემა;
4. რამაზნის თვეში მარხვა;
5. ჰაჯობის შესრულება.

ღუსლის ფარძები

1. პირის წყლით კარგად გამოვლება;

2. ცხვირის წყლით კარგად გამოვლება;

3. მთელი სხეულის გულდასმით დაბანა.

აბდესის ფარძები

1. პირისახის დაბანა;

2. მკლავების იდაყვების ჩათვლით დაბანა;

3. თავის ოთხი ნაწილიდან ერთ-ერთის მესჰის გაკეთება (სველი ხელით შეხება);

4. ფეხების კოჭების ჩათვლით დაბანა.

თეიემმუმის ფარძები

1. ნიეთი;

2. ხელების მიწაზე ორჯერ შეხება და მესჰი.

ნამაზის ფარძები

ნამაზის გარეთა ფარძები:

1. ჰადესიდან თაჰარეთი;

2. ნეჯასეთიდან თაჰარეთი;

3. სეთრი ავრეთი;

4. ისთიყბაალი ყიბლე;

5. ვაქით;

6. ნიეთი.

ნამაზის შიგნითა ფარძები:

1. იფთითახ თექბირი;

2. ყიამი;

3. ყირაათი;

4. რუქუღი;

5. სეჯდე;

6. ყაადეი აახირე.

ორმოცდათოთხმეტი ფარძი

1. მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰის წინაშე ზიქრის შესრულება.[1] ჰელალით მოგებული სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა;
2. აბდესის აღება;
3. ხუთი დროის ნამაზის ლოცვა;
4. ჯუნუბობისას ღუსლის აბდესის აღება;
5. რიზყისთვის (სარჩოსთვის) უზენაეს ალლაჰზე მინდობა;
6. საკვების ჰელალი გზით მოპოვება;
7. ალლაჰუ თეღალას მიერ მოცემული ნიღმეთებით დაკმაყოფილება;
8. თევექქული (ალლაჰუ თეღალაზე მინდობა);
9. ყაზაზე (ე.ი. ალლაჰუ თეღალას მხრიდან მოვლენილ შემთხვევებზე) დაკმაყოფილება;
10. ნაზომები ნიღმეთის სანაცვლოდ მადლიერების გამოხატვა;
11. უბედურების მოთმენა;
12. ცოდვების მონანიება (თევბეს გაკეთება);
13. ღიბადეთის გულით (იხლასით) შესრულება;
14. შეითანის მტრად ცნობა;
15. ყურანის მტკიცებულებად (დოგმად) ცნობა;
16. სიკვდილისთვის მზადყოფნა;
17. სიკეთისკენ (ალლაჰის ბრძანებების შესრულებისკენ)

[1] ზიქრი: გულით ან ენით სრულდება. გულით შესრულებულ ზიქრს ხაფიი (ფარული) ეწოდება. ყურანი ქერიმის, ქელიმეი თევხიდის, სელავათების და სხვა დუების კითხვა კი ენით შესრულებული ზიქრია, რასაც ზიქრი ჯეჰრი ეწოდება.)

მოწოდება და ცუდის (ალლაჰის აკრძალულების) დაგმობა;

18. ღიიბეთზე და ცუდი რამეების მოსმენაზე მორიდება;

19. მშობლებზე დამორჩილება და მათზე სიკეთის კეთება;

20. ნათესავების მონახულება;

21. ამანათზე მოფრთხილება;

22. რელიგიურად მიუღებელ ხუმრობაზე მორიდება;

23. ალლაჰუ თეღალაზე და ფეიღამბერზე მორჩილება;

24. ცოდვებზე მორიდება და უზენაეს ალლაჰზე მინდობა;

25. ალლაჰუ თეღალას კმაყოფილებისთვის სიყვარული და ალლაჰუ თეღალას კმაყოფილებისთვის სიძულვილი;

26. ყველაფერზე უზენაესი ალლაჰის მოვლენილი სასწაულის თვალით შეხედვა;

27. თეფექქური (ალლაჰუ თეღალას სიძლიერეზე, სიდიადეზე და ადამიანის გაჩენის მიზეზებზე ფიქრი);

28. რელიგიური ცოდნის მიღება;

29. ვინმეს მიმართ ცუდი ვარაუდისგან თავის არიდება;

30. სხვისი არ დაცინვა;

31. ჰარამისგან თვალის მორიდება;

32. ყოველთვის მართალი ყოფნა;

33. ამპარტავნობისა და გარყვნილობისგან შორს ყოფნა;

34. ჯადოს არ გაკეთება;

35. აწონვისა და გაზომვისას სამართლიანი ყოფნა;

36. ალლაჰუ თეღალას სასჯელის შიში;

37. ღატაკზე (ერთი დღის სარჩოს არ მქონეზე) სადაყის მიცემა;

38. ალლაჰუ თეღალას რახმეთიდან-წყალობიდან იმედის

არ დაკარგვა;

39. ნეფსის ცუდ ზრახვებზე მიყოლისგან შორს ყოფნა;
40. ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების არ მიღება;
41. ალლაჰუ თეღალასა და მუ'მინებზე ცუდი ვარაუდისგან განრიდება;
42. ზექათის გაცემა და ქონებრივი ჯიჰადის შესრულება;
43. ჰაიზისა და ნიფასის დროს მეუღლესთან სქესობრივი კავშირის დაუმყარებლობა;
44. ყოველგვარი ცოდვისგან გულის გასუფთავება;
45. ობოლის ქონებაზე ხელშეუხებლობა;
46. თავმდაბლობა;
47. ლივათას (ერთსქესიანთა სქესობრივი კავშირის) და მრუშობის არ გაკეთება;
48. ხუთი დროის ნამაზის გამოუტოვებლად შესრულება;
49. უსამართლოდ ხალხის ქონების არ მითვისება;
50. ალლაჰუ თეღალაზე არაფრის გატოლება;
51. (ამა თუ იმ საქმის) სხვის დასანახად არ შესრულება;
52. ტყუილზე არ დაფიცება;
53. მიცემული სადაყის არ დამადლება.

რელიგიური შეკითხვები
მუსლიმანი ბავშვებისათვის

კითხვა: შენ მუსლიმანი ხარ?

პასუხი: ელხემდულილლაჰ მუსლიმანი ვარ.

კითხვა: მუსლიმანი ვარ თქმა რას ნიშნავს?

პასუხი: ალლაჰუ თეღალას ერთის ცნობას, ყურანი ქერიმისა და მუხამმედ (ს.ა.ვ)-ის დამოწმებას.

კითხვა: რა დროის შემდეგ მუსლიმანი ხარ?

პასუხი: "ბელაა" თქმის შემდეგ მუსლიმანი ვარ.

კითხვა: "ბელაა" თქმა რას ნიშნავს?

პასუხი: მისაქს (სიტყვის მიცემას) ნიშნავს. ე.ი. როდესაც ალლაჰუ თეღალამ ჩვენი სულები გააჩინა, მათ ჰკითხა: "ელესთუ ბირაბბიქუმ" (მე თქვენი ღმერთი არ ვარ?). სულებმაც ''ბელაა" (დიახ ჩვენი ღმერთი ხარ) უპასუხეს. მას შემდეგ მუსლიმანი ვარ.

კითხვა: შენი ღმერთი ვინ არის?

პასუხი: ალლაჰუ თეღალა.

კითხვა: შენ ვინ გაგაჩინა?

პასუხი: ალლაჰუ თეღალამ.

კითხვა: შენ ვისი მორჩილი ხარ?

პასუხი: ალლაჰუ თეღალას მორჩილი ვარ.

კითხვა: რომ გკითხონ "ღმერთი რამდენია," რა პასუხს გასცემ?

პასუხი: ვუპასუხებ რომ ღმერთი ერთია.

კითხვა: ალლაჰუ თეღალა, რომ ერთია ამის დამამტკიცებელი რა არის?

პასუხი: ყურანიდან იხლასის სურას პირველი აიეთია.

კითხვა: ამის მნიშვნელობა რა არის?

პასუხი: "შენ თქვი", (რომ ეი ჩემო ძვირფასო! ფეიღამბერო) ''ალლაჰუ თეღალა ერთია".

კითხვა: ალლაჰუ თეღალას ერთობის დამამტკიცებელი ლოგიკური არგუმენტი რა არის?

პასუხი: ამ სამყაროს არსებობა, სამყაროში არსებული წონასწორობა და ამ წონასწორობის გაგრძელება.

კითხვა: ალლაჰუ თეღალას ზაათის (პიროვნულობის) მიმართ ფიქრი შეიძლება?

პასუხი: არ შეიძლება. იმიტომ, რომ ჭკუა ალლაჰუ თეღალას ზაათის მიმართ უსუსურია. მხოლოდ მისი თვისებების მიმართ ფიქრი შეიძლება.

კითხვა: იმანი იეისი რა არის?

პასუხი: ფირღავნის მსგავსად სიკვდილის დროს იმანის გაკეთებაა.

კითხვა: ეს იმანი მიღებულია?

პასუხი: არ არის მიღებული.

კითხვა: თევბე იეისი რა არის?

პასუხი: მორწმუნე (იმანისა და ამელის მქონე) პიროვნების მიერ გარდაცვალებისას ცოდვების მონანიება და პატიების თხოვნაა.

კითხვა: ასეთი თევბე მიღებულია?

პასუხი: დიახ მიღებულია.

კითხვა: შენი რელიგია რომელია?

პასუხი: ჩემი რელიგია ისლამია.

კითხვა: შენი ქითაბი (წიგნი) რომელია?

პასუხი: ჩემი ქითაბი (წიგნი) ყურანი ქერიმია.

კითხვა: შენი ყიბლის მიმართულება საითკენაა?

პასუხი: ჩემი ყიბლე ქააბეი მუაზზამაა.

კითხვა: ვისი შთამომავალი ხარ?

პასუხი: ხზ. ადემის (ა.ს.) შთამომავალი ვარ.

კითხვა: ვისი ხალხიდან ხარ?

პასუხი: ხზ. იბრაჰიმის ხალხიდან ვარ.

კითხვა: ვისი უმმეთიდან (ვისი მიმდევარი) ხარ?

პასუხი: ხზ. მუხამმედის (ს.ა.ვ.) უმმეთიდან ვარ.

კითხვა: ჩვენი ფეიღამბერი სად დაიბადა და ახლა სად არის?

პასუხი: მექქეში დაიბადა. 50 წლის შემდეგ მედინეში ჰიჯრეთი გააკეთა (გადასახლდა). ახლა იქ მდებარე "რავზაი მუტაჰჰარაშია.'' (რავზაი მუტაჰჰარა მისი საფლავის სახელია)

კითხვა: ჩვენს ხზ. ფეირამბერს რამდენი სახელი აქვს?

პასუხი: ჩვენს ფეიღამბერს ბევრი ლამაზი სახელი აქვს, მაგრამ ოთხის ცოდნა აუცილებელია. ესენია: მუხამმედ, მუსტაფა, ახმედ, მახმუდ.

კითხვა: ჩვენი ფეიღამბრის მიერ ყველაზე მეტად გამოყენებული სახელი რომელია?

პასუხი: ხაზრეთი მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)

კითხვა: ჩვენი ფეიღამბრის მამას რა ჰქვია?

პასუხი: ხზ. აბდულლაჰი.

კითხვა: დედის სახელი რა არის?

პასუხი: ხზ. ემინე.

კითხვა: რძის დედობილის სახელი რა არის?

პასუხი: ხალიმე ხათუნი.

კითხვა: დამბადებელი ბებიაქალის სახელი რა არის?

პასუხი: შიფა ხათუნი.

კითხვა: ბაბუის სახელი რა არის?

პასუხი: აბდულმუტტალიბი.

კითხვა: ხზ. ფეიღამბერს ოფიციალურად რომელი წლიდან მოუვიდა ფეიღამბრობა?

პასუხი: 40 წლის იყო, როცა ოფიციალურად ფეიღამბერი გახდა.

კითხვა: ფეიღამბერი რომ გახდა, შემდეგ რამდენი წელი იცოცხლა?

პასუხი: 23 წელი იცოცხლა.

კითხვა: რამდენი წლის ასაკში გარდაიცვალა?

პასუხი: 63 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კითხვა: ჩვენ ფეიღამბერს რამდენი გოგო ჰყავდა?

პასუხი: ოთხი გოგო ჰყავდა: 1. ზეინები, 2. რუქიე, 3. უმმუ გულსუმ, 4. ფატიმა (რადიელლააჰუ ღენჰუნნე).

კითხვა: ხზ. ფეიღამბერს რამდენი ვაჟიშვილი შეეძინა?

პასუხი: სამი ვაჟიშვილი შეეძინა: 1. ყასიმ, 2. აბდულლაჰ, 3. იბრაჰიმ (რადიელლააჰუ ღენჰუმ).

კითხვა: ხზ. ფეიღამბრის მეუღლეების სახელებს ჩამოთვლი?

პასუხი: ჩამოვთვლი:

1. ხზ. ხატიჯე; 2. ხზ. სევდე; 3. ხზ. აიშე; 4. ხზ. ჰაფსა; 5. ხზ. ზეინებ ბინთი ხუზეიმე; 6. ხზ. უმმუ სელემე; 7. ხზ. ზეინებ ბინთი ჯაჰში; 8. ხზ. ჯუვეირიე; 9. ხზ. უმმუ ხაბიბე; 10. ხზ. საფიე; 11. ხზ. მეიმუნე; 12. ხზ. მარიიე (რადიელლააჰუ ღენჰუნნე)

ხზ. ხატიჯე ჩვენი ფეიღამბრის პირველი მეუღლეა. ის ფეიღამბერზე 15 წლით უფროსი იყო. ფეიღამბერთან ერთად 25 წელი იცოცხლა.

კითხვა: ფეიღამბრის 53 წლის შემდეგ დაქორწინების ზოგიერთ მიზეზს ჩამოთვლი?

პასუხი: ხზ. ფეიღამბერი სხვადასხვა ტომის ისლამთან დაახლოების მიზნით, ასევე ცოლების საშუალებით ქალებისათვის საჭირო საკითხების სწავლების მიზნით, ზოგიერთის გაჭირვებისგან დახსნის და მფარველობის მიზნით დაქორწინდა. ძირითადი მიზანი ქალების საშუალებით ისლამის გავრცელებაა.

კითხვა: ხზ. ფეიღამბრის ბოლო გარდაცვლილი მეუღლე რომელია?

პასუხი: ხზ. უმმუ სელემე (რ. ღენჰა.)

კითხვა: ამქვეყნად მოსულ და მოსასვლელ ადამიანებს შორის ყველაზე ძვირფასი ვინ არის?

პასუხი: ხზ. ფეიღამბერი მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.)-ია.

კითხვა: ხზ. ფეიღამბრის ყველაზე ცნობილი და ძვირფასი შვილიშვილები რომლებია?

პასუხი: ხზ. ხასანი და ხზ. ხუსეინი (რ.ღენჰუმა).

კითხვა: ესენი ვისი შვილებია?

პასუხი: ხზ. ალის და ხზ. ფატიმას.

კითხვა: ვის შეიძლება ეწოდოს ფეიღამბერი?

პასუხი: ფეიღამბერი ალლაჰუ თეღალას ბრძანებების ადამიანებზე უნკალოდ მიტანისათვის ალლაჰუ თეღალას მიერ მოვლენილი პირია.

კითხვა: ალლაჰუ თეღალას მიერ კაცობრიობაზე გამოგზავნილი ფეიღამბრების რაოდენობა რამდენია?

პასუხი: ხზ. ფეიღამბრისგან ერთი გადმომცემის მიხედვით 124.000, სხვა გადმომცემის მიხედვით 224.000.

კითხვა: ყურანი ქერიმში რამდენი ფეიღამბრის სახელია მოხსენებული?

პასუხი: ოცდარვა.

კითხვა: მათ სახელებს ჩამოთვლი?

პასუხი: დიახ ჩამოვთვლი:

ადემ, იდრის, ნუჰ, ჰუუდ, საალიჰ, იბრააჰიმ, ლუუტ, ისმააილ,ისხააყ, იააყუბ, იუუსუფ, ეიიუბ, შუააიბ, მუუსაა, ჰაარუუნ, დაავუდ, სულეიმან, ილიას, ელიესა, ზულქიფლ, იუნუს, ზექერიია, იახია, იისაა, უზეირ, ლოყმან, ზულყარნეინ, და ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.).

ზოგიერთი სწავლულის მიხედვით უზეირი, ლოყმანი და ზულყარნეინი (ა.ს.) ევლიები არიან.

კითხვა: ხზ. მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ.) რომელ წელს დაიბადა და რომელ წელს გარდაიცვალა?

პასუხი: ხზ. ფეიღამბერი (ს.ა.ვ.) ჩვენი წელთაღრიცხვით 571 წელს რებიულ ევველი თვის მეთორმეტე ღამეს, ორშაბათს დაიბადა და რებიულევველი თვის მეთორმეტე დღეს 632 წელს გარდაიცვალა.

კითხვა: ხზ. ფეიღამბერმა მექქეი მუქერრემედან მედინეი მუნევვერეში ჰიჯრეთი როდის გააკეთა?

პასუხი: ჩვენი წელთაღრიცხვით 622 წელს ჰიჯრეთი გააკეთა (გადასახლდა). აქედან იწყება მუსლიმანური წელთაღრიცხვა.

კითხვა: მელაიქი რა არის?

პასუხი: ალლაჰუ თეღალას მიერ ნურისგან (სინათლისგან) გაჩენილი, სასურველ ფორმაში შემსვლელი და ყოველთვის ღიბადეთის გამკეთებელი უცოდვილო არსებაა.

კითხვა: ოთხი დიდი მელაიქი რომელია?

პასუხი: ჯებრაილ, მიქაილ, ისრაფილ და აზრაილ (ა.ს.)-ია.

კითხვა: ოთხი დიდი ქითაბი (წიგნი) რომელია და რომელ ფეღამბერს მიეცათ?

პასუხი: თევრათი ხზ. მუსა (ა.ს.)-ს, ზებური ხზ. დავუდ (ა.ს.)-ს, ინჯილი ხზ. ისა (ა.ს.)-ს, ყურანი ქერიმი ჩვენ ფეიღამბერს ხზ. მუხამმედ (ს.ა.ვ.)-ს.

კითხვა: სუხუფი რას ნიშნავს? რამდენია და რომელ ფეიღამბერს მიეცათ?

პასუხი: ალლაჰუ თეღალას მიერ 4 ქითაბის გარდა ჯებრაილ (ა.ს.)-ის მეშვეობით ზოგიერთ ფეიღამბერზე გამოგზავნილ გვერდებს სუხუფი ეწოდება. მათი რიცხვი ასია:

ადემ (ა.ს.) 10

შით (ა.ს.)........................... 50

იდრის (ა.ს.) 30

იბრაჰიმ (ა.ს.) 10

კითხვა: მეზჰები რა არის?

პასუხი: მეზჰები შერიათის ერთ-ერთი გზაა, რომელიც მუჯთეჰიდების მიერ ედილლეი შერღიედან (ისლამის დებულებებიდან) გამოყვანილი კანონების ერთობლიობაა.

კითხვა: ეჰლი სუნნეთ ველ ჯემაღეთის ითთიყადში მეზჰების იმამები რამდენია?

პასუხი: ორი

კითხვა: ვინ და ვინ?

პასუხი: იმამი ებუ მუხამმედ მაათურიდი და იმამი ებულ ხასენილ ეშღარი.

კითხვა: ეჰლი სუნნეთ ველ ჯემაღეთის ამელში მეზჰები რამდენია?

პასუხი: ოთხი.

კითხვა: რა და რაა?

პასუხი: ხანეფი,შააფი, მალიქი და ხანბელი მეზჰებია.

კითხვა: შენი ითთიყადში მეზჰები რა არის?

პასუხი: ეჰლი სუნნეთი ველ ჯემაღათი მეზჰებია.

კითხვა: ამელში შენი მეზჰები რომელია და იმამი ვინ არის?

პასუხი: ხანეფი მეზჰებია და იმამი აზამ ებუ ხანიფეა.

კითხვა: ჩვენი ითთიყადში მეზჰების იმამი ვინ არის?

პასუხი: იმამი ებუ მანსურ მუხამმედ მათურიდია (რახიმეჰულლაჰ).

კითხვა: იმამი ებუ მანსურ მუხამმედ მათურიდი საიდანაა?

პასუხი: სემერყანდის, სოფელ მათურიდიდანაა.

კითხვა: მათურიდი როდის გარდაიცვალა?

პასუხი: ჰიჯრეთით 333 წელს.

კითხვა: შააფი, მაალიქი და ხანბელი მეზჰების მიმდევრების, ითთიყადში იმამი ვინ არის?

პასუხი: ხზ. ებულ ხასენილ ეშღარი (რახიმეჰულლაჰ).

კითხვა: ხზ. ებულ ხასენილ ეშღარი საიდანაა და როდის გარდაიცვალა?

პასუხი: ბასრადანაა და ჰიჯრეთით 324 წელს გარდაიცვალა;

კითხვა: ნამაზის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევა რამდენია?

პასუხი: სამია.

კითხვა: ჩამოთვლი?

პასუხი: ჩამოვთვლი: 1 - ძილი, 2 - ომში ბრძოლის დროს დროის უქონლობა, 3 - დავიწყება.

კითხვა: ოცდათორმეტ ფარძს ჩამოთვლი?

პასუხი: ჩამოვთვლი: 6 იმანის პირობა; 5 ისლამის პირობა; 4 აბდესის ფარძი; 3 ღუსლის ფარძი; 2 თეიემმუმის ფარძი; 12 ნამაზის ფარძი.

კითხვა: იმანის პირობები რომლებია?

პასუხი: ალლაჰუ თეღალას არსებობასა და ერთობაზე; მელაიქებზე; ქითბებზე; ფეიღამბრებზე; ახირეთის დღეზე; ბედისწერაზე, ყოველივე კარგისა და ცუდის ალლაჰუ თეღალას მიერობაზე დაჯერება.

კითხვა: ისლამის პირობები რამდენია?

პასუხი: ხუთი: 1-ქელიმეი შეჰადეთის (სიტყვით დამოწმების) წარმოთქმა; 2-ნამაზის ლოცვა; 3-მარხვა; 4-ზექათის გაცემა; 5-ჰაჯობაზე წასვლა.

კითხვა: აბდესის ფარძი რამდენია?

პასუხი: ოთხია:

1. პირისახის დაბანა;

2. მკლავების იდაყვების ჩათვლით დაბანა;

3. თავის ოთხი ნაწილიდან ერთ-ერთის მესჰის გაკეთება (სველი ხელით შეხება);

4. ფეხების კოჭების ჩათვლით დაბანა.

კითხვა: ღუსლის ფარძი რამდენია?

პასუხი: სამია:

1. პირის წყლით კარგად გამოვლება.

2. ცხვირის წყლით კარგად გამოვლება.

3. მთელი სხეულის გულდასმით დაბანა.

კითხვა: ღუსლის აბდესს აღწერ?

პასუხი: აღვწერ: ნიეთი გაკეთდება. ხელები დაიბანება. პირველ რიგში (სუფთაც რომ იყოს) სასქესო ორგანოები დაიბანება.

ბისმილით ნამაზის აბდესის მსგავსად აბდესი აიღება. თუ ფეხებთან წყალი გროვდება, ფეხები ბოლოს დაიბანება, თუ არა და ფეხების დაბანაც საჭიროა.

ამ აბდესის აღებისას პირისა და ცხვირის გამოვლების დროს წყალი ბლომად მიიცემა. ამრიგად ღუსლის დროს პირში და ცხვირში ბლომად წყლის მიცემის ფარძიც შესრულებული იქნება.

თავზე სამჯერ წყალი დაისხმება და დაიბანება. დაბანისას თმის, ულვაშის და წვერის ქვეშაც წყალი უნდა გატარდეს და დასველდეს.

მარჯვენა მხარზე წყალი სამჯერ დაისხმება და დაიბანება. მარცხენა მხარზე წყალი სამჯერ დაისხმება და დაიბანება. მთელი სხეული (ჭიპის ღრუს ჩათვლით), გულდასმით დაიბანება.

კითხვა: თეიემმუმის ფარძი რამდენია?

პასუხი: ორია:

1. ნიეთი;

2. ხელების მიწაზე ორჯერ შეხება და მესჰი.

კითხვა: თეიემმუმი როგორ კეთდება?

პასუხი: თეიემმუმის დაწყებისას ნიეთი კეთდება. ორივე ხელით სუფთა მიწას შევეხებით, ჯერ სახეზე მოვისვამთ, შემდეგ კვლავ მიწას შევეხებით და ჯერ მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავზე, შემდეგ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავზე მესჰს გავაკეთებთ.

კითხვა: ნამაზის ფარძი რამდენია?

პასუხი: თორმეტია: 6 შიგნითა და 6 გარეთა.

კითხვა: გარეთა ფარძები რომელია?

პასუხი: ჰადესიდან თაჰარეთი, ნეჯასეთიდან თაჰარეთი, სეთრი ავრეთი, ისთიყბალი ყიბლე, ვაქით, ნიეთი.

კითხვა: შიგნითა ფარძები რომელია?

პასუხი: იფთითახ თექბირი, ყიამი, ყირაათი, რუქუღი, სეჯდე, ყაადეი ახირე (ეთთეხიათის კითხვის ტოლი დროით დაჯდომა).

კითხვა: დღეში რამდენი ნამაზია?

პასუხი: დღეში 5 დროის ნამაზია: დილის ნამაზი, შუადღის ნამაზი, იქინდი ნამაზი, საღამოს ნამაზი და იასი ნამაზი.

კითხვა: ეს ნამაზები რამდენი რაქაღათია (მუხლია)?

პასუხი: დილის ნამაზი 4 რექაღათია. ორი სუნნეთი, ორი ფარძი. ჯერ სუნნეთი ილოცება, შემდეგ ფარძი.

შუადღის ნამაზი 10 რექაღათია. 4 პირველი სუნნეთი, 4 ფარძი და 2 ბოლო სუნნეთი.

იქინდი ნამაზი 8 რექაღათია. 4 სუნნეთი და 4 ფარძი.

საღამოს ნამაზი 5 რექაღათია. 3 ფარძი და 2 სუნნეთი.

იასი ნამაზი 13 რექაღათია. 4 პირველი სუნნეთი, 4 ფარძი, 2 ბოლო სუნნეთი და 3 ვითირ ნამაზი, ეს ვაჯიბია.

დღეში სულ 40 რექაღათი ნამაზია.

კითხვა: ნამაზის დროს ზემმი სურე თუ დაგვავიწყდა როგორ უნდა მოვიქცეთ?

პასუხი: სეჰივ სეჯდე უნდა გავაკეთოთ.

კითხვა: რა შემთხვევაში კეთდება სეჰივ სეჯდე?

პასუხი: სეჰივ სეჯდე კეთდება ვაჯიბის გამოტოვების ან დაგვიანების, ფარძის კი მხოლოდ დაგვიანების შემთხვევაში.

კითხვა: თუ სეჰივ სეჯდე არ გაკეთდა რა იქნება?

პასუხი: ნამაზი არასრულყოფილი იქნება.

კითხვა: სეჰივ სეჯდე როგორ კეთდება?

პასუხი: მარტოდ მლოცველი ეთთეხიათის წაკითხვის შემდეგ ორივე მხარეს (იმამი მხოლოდ მარჯვენა მხარეს) სელამს მისცემს, ორჯერ მიყოლებით სეჯდეს გააკეთებს დაჯდება ეთეხიათს, ელლაჰუმმე სალლი, ელლაჰუმმე ბარიქს და სხვა დუებს იკითხავს და სელამს მისცემს.

კითხვა: სეჰვი სეჯდეს აუცილებლობის რამდენიმე შემთხვევას ჩამოთვლი?

პასუხი: ჩამოვთვლი:

ზემმი სურეს დავიწყების შემთხვევაში;

ვითრი ნამაზის დროს ყუნუთის თექბირის ან ყუნუთის დუების, ან ორივეს დავიწყების შემთხვევაში.

ოთხ რექაღათიანი ნამაზის ლოცვისას, მეორე რექათზე დაჯდომის დროს ეთთეხიათის შემდეგ, დავიწყებით სალლი ბარიქ დუების თუნდაც ნაწილის (ელლაჰუმმე სალლი ღელაა მუხამმედ) კითხვის შემთხვევაში, რითაც მესამე რექაღათი დაგვიანდა.

კითხვა: რა ეწოდება იმ ძვირფას ღამეებს, რომლებსაც განსაკუთრებით ღვთისმსახურებით ვატარებთ?

პასუხი: ყანდილის ღამეები.

კითხვა: რამდენი ყანდილია?

პასუხი: 5 ყანდილია: 1- მევლუდ ყანდილი; 2 - რეღაიბ ყანდილი; 3 - მირაჯ ყანდილი; 4 - ბერათ ყანდილი; 5 - ყადირის ღამე.

კითხვა: მევლუდ ყანდილი რა არის?

პასუხი: ხზ. ფეიღამბრის დაბადების ღამეა.

კითხვა: რეღაიბ ყანდილი რა არის?

პასუხი: ხზ. ემინეს ხზ. ფეიღამბერზე ფეხმძიმობის გრძნობის ღამეა.

კითხვა: მიღრაჯ ყანდილი რა არის?

პასუხი: მიღრაჯი ღამეა როდესაც ხზ. ფეიღამბერმა (ს.ა.ვ.) უზენაესი ალლაჰის უსაზღვრო ძალისა და მიპატიჟების საფუძველზე, როგორც უდიდესი სასწაული, ცასა და მთელს სამყაროში იმოგზაურა და საკუთარი თვალით იხილა.

კითხვა: ბერათ ყანდილი რა არის?

პასუხი: ყურანი ქერიმის ლევხი მახფუზიდან სემაი დუნიაზე (პირველ სართულ ცაზე) ჩამობრძანების, ადამიანების მომავალი ერთი წლის ცხოვრებისა და სარჩოს განსაზღვრის, ალლაჰუ თეღალას მიერ მუსლიმანებზე დახმარების და ცოდვების პატიების ღამეა.

კითხვა: ყადირის ღამე რა არის?

პასუხი: ყურანი ქერიმის სემაი დუნიიდან ხზ. ფეიღამბერზე ჩამობრძანების დაწყების ღამეა.